პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 იანვარი **ორშაბათი** 2011
№017 (13314) ფასი 60 თეთრი



## ხუთეულში

**მწვრთნელი ენდო, ფაჩულიამ გაამართლა**

↳12

# სიჭინავა ისევ პრეზიდენტია






↳2



## ესეც რვა: სალუქვაძეც ვოლგაში

↳4



↳4

ბაქოში ზეიმია
## ინტერმა მოიგო

მილანში დარდობენ
## ინტერმა წააგო



↳6

## თასზე საუკეთესო უნივერსიტეტია

*ქორქია-საკანდელაკიძის მემორიალი*

↳12



## თემურ ქეცბაიას კონტრაქტამდე სხვა საფიქრალი აქვს



↳2



*საქართველოს ჩემპიონატი*

## ლომინეიშვილი მეხუთედ!

↳11

## ისევ ლადო, ისევ გოლი

...და უშეცდომო კალაძე




↳4

*ქართული ლეგიონის ამბები*

# ქართული ფეხბურთი

● ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# რა მძიმე ყოფილა...

## სიჭინავას პრიორიტეტები: ნატვრა 2012-14, ათასი საზრუნავი და...გამართული ქართული

22 იანვარს "ჰოლიდეი ინში" გამართული ყრილობის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი - XIX ყრილობაზე პრეზიდენტობის კანდიდატი მხოლოდ **ზვიად სიჭინავა** გახლდათ. მოქმედი პრეზიდენტი ფედერაციის ოცმა სუბიექტმა წარადგინა და ყველაფერი ნათელი იყო, თუ "ვინმე" არ ჩაერეოდა. ყრილობას უეფას აღმასკომის წევრი **ფრანტიშეკ ლავრინეკი** ესწრებოდა.

ხმის მიცემის დაწყებამდე კი სიჭინავამ პრიორიტეტებზე ილაპარაკა:

- შესაძლოა, ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ თემურ ქეცბაიას საქართველოში დაბრუნება გამართლებული ნაბიჯი იყო. უპირველესი პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებია. იქნებ, 2012 წლის ევროპის და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოვხვდეთ.

პრიორიტეტულია ეროვნული ჩემპიონატიც. გარკვეული საკითხები უკვე მოგვარდა, მაგალითად, "ტორპედოს" ძმები ფხაკაძეები პატრონობენ, ანუ "ვისოლი", თბილისის "დინამოს" - რომან ფიფია, "მადნეული" ბოლნისის "სიონზე" ზრუნავს. თუმცა გაცილებით მეტია გასაკეთებელი და ჩვენი ამოცანა ფეხბურთზე შეყვარებული და მისი თანადგომის მსურველი ხალხის მოძებნაა.

უმნიშვნელოვანესია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. "დინამოში" ამ მიმართულებით უკვე მუშაობენ. 2010 წელს გადმოგვეცა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, რომლის რეკონსტრუქციაშიც უეფა დაგვეხმარება და 2012 წლისთვის ევროთამაშების მასპინძლობა შესაძლებელი იქნება.

სამწუხაროდ, მძიმე ვითარებაა რეგიონებში. ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლაა მოსალოდნელი: 2011 წელს ფიფა თელავში ქალთა ნაკრების ბაზის მშენებლობაში დაგვეხმარება, რომელიც რეგიონული ბაზის ფუნქციასაც შეითავსებს.

ბავშვთა ფეხბურთზეც ვიტყვი: ბავშვები არსად არიან რეგისტრირებული და უცებ რამდენიმე კაცი მათ გაზრდაზე პრეტენზიას აცხადებს. 2011 წელს შევუდექით საფეხბურთო სკოლების ლიცენზირებას. ფიფას დახმარება მხოლოდ იმ კლუბებზე განაწილდება, რომლებიც საფეხბურთო სკოლებში თანხას დააბანდებენ. არ არსებობს ბავშვების დაზღვევა. სხვათა შორის, 2011-2012 წლებში ფედერაცია უმაღლესი და პირველი ლიგების ყველა ფეხბურთელის დაზღვევას აპირებს.

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში საფეხბურთო სკოლებში მომეცადინეთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. ფეხბურთს იმიტომაც არ თამაშობენ, რომ ბავშვები არც დაზღვეულები არიან და არც პირობები გააჩნიათ. თუ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში 32.000 ფეხბურთელი იყო, ახლა მხოლოდ 17.000-ია!

სამწუხაროდ, მსაჯის პროფესია პრესტიჟული არ არის. საამისოდ არბიტრებს ანაზღაურება უნდა გავუზარდოთ და მათი ინტერესები დავიცვათ. მსაჯებს ხშირად აგინებენ და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ. ჩვენი ამოცანა კი ფეხბურთში დასაქმებული ყველა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამავე დროს, უნდა აღვადგინოთ სამსაჯო აკადემია, რომელიც მიზეზთა გამო დაიხურა.

29 დეკემბერს ჩვენი სპონსორი კომპანია "სოკარი" გახდა. გაძლევთ პირობას, რომ არჩევის შემთხვევაში ახალი კომპანიების მოსაზიდად ვიმუშავებ, რადგან ფული თუ არის, უნდა დაიხარჯოს კიდეც ისე, როგორც "ქართუ" და "სოკარი" აკეთებენ. პირველი საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასას" არემონტებს, "სოკარი" კი იმავე ბაზის მოედანს.

2010 წელს სახელმწიფომ გამოგვიყო თანხა, რაც ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების შეკრებებისთვის და თამაშებზე გასამგზავრებლად საკმარისი იყო. სამწუხაროდ, გვეგონა, 2011 წელს უვალოდ დავხვდებოდით, მაგრამ ვალების დაფარვის პროცესი ერთი წლით გაგვეწელა. თუმცა ეს ქართულ ფეხბურთს არ დაეტყობა და არც ფედერაციის, ნაკრებებისა და მსაჯების საქმიანობა შეფერხდება.

კარგი ურთიერთობა გვაქვს ფიფა-უეფასთან. მარტში უეფას არჩევნებია და მხარს მიშელ პლატინის დავუჭერთ, რადგან მის საფეხბურთო პოლიტიკას ვიზიარებთ.

და ბოლოს: ჩემი ქართულით ბევრი უკმაყოფილო იყო და გპირდებით, საპრეზიდენტო ვადაში უკეთ ვისწავლი.

დელეგატები მაინცდამაინც არ აქტიურობდნენ და კენჭისყრაც მალე დასრულდა: 33 ხმოსნიდან ყრილობას მხოლოდ სამი არ დაესწრო, "სიონიდან" - **გიორგი არევაძე**, "ზესტაფონიდან" - **ილია კოკაია** და "დინამოდან" - **რომან ფიფია.** დანარჩენმა ოცდაათივე დელეგატმა სიჭინავა აირჩია.

ახალი აღმასკომის ასარჩევად მალე მორიგი ყრილობა ჩატარდება და გენერალურ მდივანსაც განახლებული აღმასკომი დაამტკიცებს.

ყრილობის შემდეგ სიჭინავას პირველი მცირე კომენტარი "ლელომ" ჩამოართვა:

**- პრეზიდენტობის პირველი ხანმოკლე ვადა ჩანაფიქრების განსახორციელებლად საკმარისი არ იყო. ახლა მეტი დრო და, ალბათ, საშუალებაც გექნებათ.**

- სიმართლე გითხრათ, გუშინ საღამოს ყველაზე მეტად ვიგრძენი, რა მძიმე ტვირთი უნდა ვზიდო, "მანდრაჟიც" კი გამიჩნდა. ახლა უმძიმესი სამუშაო მომიწევს. საქმის საკეთებლად დიდი დროა, მაგრამ პასუხისმგებლობაც დიდია. ყველა პროექტის ბოლომდე მიყვანა და იმედების გამართლება ძნელი იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და სანერვიულო თანამდებობაა. მთავარია, რას და როგორ გააკეთებ, გულშემატკივარი და საზოგადოება რომ არ შემოგიტრიალდეს.

შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა:

- წამოწყებული საქმეები გაგრძელდება. დაწყებულია მოლაპარაკება თემურ ქეცბაიასთან, საქართველოს ნაკრებს 2012 წლის ბოლომდე რომ უხელმძღვანელოს. მისი ორი წლით შენარჩუნება ნომერი პირველი ამოცანაა. ნაკრებს საინტერესო წელი ელის, ვეთამაშებით სომხეთს, ხორვატიას, ისრაელს და სხვებს.

**- რა იქნება პირველი რეფორმა, რომელსაც არჩევის შემდეგ განახორციელებთ.**

- რაც შეეხება რეფორმებს, ბევრია გასაკეთებელი, ასარჩევია ახალი აღმასკომი, სახელმწიფოსთან და უეფა-ფიფასთან თანამშრომლობა გასაგრძელებელი და უფრო უკეთაა ასაწყობი...

**- ეროვნულ ჩემპიონატში კლუბებს ძალიან უჭირთ. ამ მიმართულებით რა ცვლილებებს გეგმავთ?**

- კლუბების წარმომადგენლებს პარასკევს ველაპარაკე. ჩემპიონატს თუ პარტნიორი არ ეყოლება, მისი დონის დაქვეითება ნაკრების შედეგებზეც აისახება. პრობლემა ისიც არის, ეროვნულის წევრთა 70 პროცენტი კლუბებში რომ არ თამაშობს ან გასინჯვებზე დადის. მალხაზ ასათიანის დონის ფეხბურთელიც კი კლუბს ეძებს...

რაც შეეხება სხვა სიახლეებს: "ქართუ ბანკისა" და "სოკარის" მეშვეობით ათენის ოლიმპიური სტადიონის დარი საფარი ჩამოგვივა. პარალელურად დაიწყება "მიხეილ მესხისა" და ლაგოდეხის ბაზის რეაბილიტაცია.

საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ბათუმში კარგი სტადიონი უნდა აშენდეს. ბათუმში ყველაფერია, სტადიონის გარდა და, იმედია, მშენებლობა 2012 წელს დასრულდება. რეგიონებში ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პროექტებიც არსებობს, მაგრამ სანამ არ გავაკეთებთ, მანამდე მათზე ლაპარაკი არ მსურს.

**- ეროვნულ ჩემპიონატს მომავალი სეზონიდან ვინ მიხედავს – ფედერაცია თუ პროფლიგა?**

- პროფლიგამ ზაფხულში უნდა მოგვაწოდოს პროექტი, როგორ აპირებს ჩემპიონატის ჩატარებას და ვისი თანადგომით. მნიშვნელოვანია სატელევიზიო პროექტიც, რომელიც ფეხბურთის პოპულარიზაციის გარდა ფულსაც უკავშირდება. ამ ასპექტების გათვალისწინებით პროფლიგამ სრულყოფილი პროექტი უნდა წარმოადგინოს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ეროვნული ნაკრების პრესკონფერენცია

# თემურ ქეცბაია: კონტრაქტი არსად გაიქცევა, მე სხვა რამ მაღელვებს: უთამაშებელი მოთამაშეები



**ყრილობა-არჩევნების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებია და გუნდის მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიასთან კონტრაქტის 2 წლით გახანგრძლივებაზე უკვე დაიწყო მოლაპარაკება. ბუნებრივია, საინტერესოა, თავად ქეცბაიას პოზიცია. ნაკრების თავკაცმა ნაყრილობევს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა.**

- უპირველესად ბატონ ზვიადს ახალი ვადით არჩევას ვულოცავ. ქართულ ფეხბურთში გასაკეთებელი ბევრია და მინდა მას ამ რთულ საქმეში წარმატება ვუსურვო. რაც შეეხება ახალ კონტრაქტს, მართალია, ჩვენ ვისაუბრეთ, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიგვილია. ფედერაციასთან ამ წლის ბოლოს მიმთავრდება კონტრაქტი, დრო საკმაოდ გვაქვს. თუ რეალურად მიდგა საქმე კონტრაქტის გაგრძელებაზე, დეტალურად მოვილაპარაკებთ და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

**- ახალი კონტრაქტის გაფორმებისას თქვენთვის რა იქნება პრიორიტეტი?**

- 2010 წელი ეროვნული ნაკრებისთვის წარმატებული იყო, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. სამუშაო კიდევ ბევრია და ეს წელი დაგვანახვებს, თუ რა შეუძლია ჩვენს ნაკრებს. რაც შეეხება პრიორიტეტს, ჩემთვის პრიორიტეტი მუდამ ერთია - ფეხბურთი.

**- 9 თებერვალს კვიპროსზე სომხეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავთ. ამ თამაშისთვის სანაკრებო შემადგენლობა უკვე გამოაცხადეთ. ამ მატჩსაც ექსპერიმენტებისთვის გამოიყენებთ თუ მარტის თამაშების ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იქნება?**

- ხორვატიასთან საშინაო და ისრაელთან საგარეო მატჩები კარს მოგვადგა და ექსპერიმენტებისთვის ახლა არ გვცალია. სომხეთთან სათამაშოდ ის შემადგენლობა გამოვიძახეთ, რომლის 90 პროცენტი ხორვატიასა და ისრაელთან მატჩებში ითამაშებს. არ დაგიმალავთ და, გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით, მიზეზი ჩვენი ფეხბურთელების უკლუბოდ ყოფნაა. ალბათ ნახეთ სომხეთთან თამაშისთვის ნაკრებში გამოძახებულთა სია, რომელშიც არ არის მალხაზ ასათიანი. ასე ჩავთვალეთ საჭიროდ, რადგან ასათიანი უკლუბოდაა და არც ერთ გუნდში არ ვარჯიშობს. შესაბამისად, გვირჩევნია, 9 თებერვლის მატჩში ასათიანის ნაცვლად სხვა ფეხბურთელებს მივცეთ თავის წარმოჩენის შანსი. იმედს ვიტოვებთ, რომ მალხაზი მალე გუნდს მოძებნის და ნაკრებსაც დაუბრუნდება. ნაკრების განვლილ მატჩებში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ის კვლავაც გუნდის წამყვან ფიგურად მიგვაჩნია. ჩვენ მას დაველოდებით და იმედია, მალე უკლუბოდ აღარ იქნება.

**- ლევან ყენიაზე რას გვეტყვით?**

- თურქეთში ვიყავი ჩასული, გელზენკირხენის „შალკეს" სწორედ იქ ჰქონდა მოსამზადებელი შეკრება და ყენიაც ვნახე. სამწუხაროდ, მან ანთალიაში ტრავმა მიიღო და ახლაც ვერ არის მწყობრში.

**- ხორვატიასთან და ისრაელთან მატჩებისთვის თუ იქნება ყენია ნაკრებში?**

- ღმერთმა ქნას, გამოჯანმრთელდეს, გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლოს, თამაში შეძლოს და, ცხადია, ნაკრებშიც გამოვიძახებთ.

**- ფამაგუსტას „ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელი იყავით და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში გაყვანით ამ კლუბს ახალი ისტორია შეუქმენით. 30 იანვარს კლუბის იუბილეზე თქვენც ხართ მიპატიჟებული...**

- 30 იანვარს „ანორთოსისი" 100 წლის ხდება. მოხარული ვარ, რომ კლუბის საუკუნოვან იუბილეში მივიღებ მონაწილეობას. მით უმეტეს, ამ გუნდში ფეხბურთელიც ვიყავი, მწვრთნელიც და „ანორთოსისში" გატარებულ პერიოდს ახლაც დიდი სიამოვნებით ვიგონებ. ამ იუბილეში ბევრი ცნობილი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას და მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჟაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გამოცემაში გადაბეჭდვა კანონით აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტსალი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# 4YOU, ქართველებო, ინგლისელებთან!

მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში შესანიშნავად თამაშობს საქართველოს ფუტსალის ნაკრები. ესტონეთის იოლად ძლევის შემდეგ (8:0) ევრო 2012-ის ჯგუფური ტურნირი **ზაალ ჩიტალაძის** განვრთნილებმა ინგლისის დიდი ანგარიშით დამარცხებით განაგრძეს 4:0.

თავი გამოიჩინეს **დავით ბობოხიძემ, ზურაბ შერმადინმა, არჩილ სებისკვერაძემ** და **ლევან კობაიძემ**. ბობოხიძე და სებისკვერაძე 4-4 გოლით ჯგუფის ბომბარდირები არიან, მაკედონიელი **დარკო რანგოტოვის** ანგარიშზე კი 3 გოლია.

მასპინძელმა მაკედონიამ მეორე მატჩი მოიგო, ამჯერად ესტონეთთან - 6:2, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე საქართველოა. ელიტრაუნდში მხოლოდ გამარჯვებული გადის და ამ უფლების მოსაპოვებლად საქართველოს დღეს მაკედონიასთან ფრეც ჰყოფნის.

**საქართველო-ინგლისი 4:0**

**საქართველო: ჯამბურია, კობაიძე, მაყაშვილი, ბობოხიძე (კაპიტანი), სებისკვერაძე;** კეფაშვილი (მეკარე), ჭანუყვაძე, კაკაბაძე, დევდარიანი, შერმადინი, მაისაია, ლუკავა.

გოლები: 1:0 ბობოხიძე (16), 2:0 სებისკვერაძე (30), 3:0 შერმადინი (32), 4:0 კობაიძე (36).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 12:0 | 6 |
| 2. მაკედონია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:3 | 6 |
| 3. ინგლისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |
| 4. ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:14 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატი. სამზადისი

# ბაიამ მერანი ვერ გახედნა

**ბაია-მერანი 1:2**

გოლები: 1:0 ქობალია (25), 1:1 კაკუშაძე (59), 1:2 ამბროლაძე (87)

ბაია (პირველ ტაიმში): **სომხიშვილი,** სვირავა, აქუბარდია, რ. ონიანი, ვართაგავა, ქვარცხავა, რიგვავა, სიხარულია, შ. ლომია, წურწუმია, ქობალია.

(მეორე ტაიმში): მაქაცარია, გ. ქირია, აქუბარდია, მამულია, თ. აკობია, გუჯეჯიანი, ნ. შონია, მალიჩავა, კ. ახალაია, ჩანგელია, კუკავა.

მერანი: შეროზია, იობაშვილი, ჟვანია, სუხიაშვილი, კაკუშაძე, ილურიძე, დ. ბერუაშვილი, თურმანიძე, კუჭუხიძე, ამბროლაძე, ტაპე.

შეცვლაზე შევიდნენ: ჩალაძე, ტორაძე, ჯოელი, ფონიავა, მელიავა, წონორია, ფაცაცია.

მართალია, „ბაია" მასპინძელი იყო, მაგრამ პირველი ლიგის ლიდერთან დამარცხდა. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა მარტვილელები პირველ ტაიმში კი დაჯაბნა, მაგრამ ერთზე მეტი ბურთი ვერ გაიტანა. „მერანმა" შესვენების შემდეგ უკეთ ითამაშა და საბოლოოდ 2:1 მოიგო.

ზუგდიდელები 28 იანვარს საქართველოში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ ერევნის „ულისს" გაეჯიბრებიან. თუმცა შესაძლოა, ქომეთიანის გუნდმა მანამდე კიდევ ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატაროს.

**დავით ცაბაძე**

# ცოტაძე და, მენთეშაშვილი ამუშავდება, ხორვატი გაიმერელდება

**ზესტაფონი-სამტრედია 7:1**

გოლები: 1:0 აფციაური (35), 2:0 აფციაური (39), 3:0 დვალი (41), 4:0 დვალი (43), 5:0 ლომია (55), 6:0 შ. გრიგალაშვილი (64), 6:1 გ. ალავერდაშვილი (67), 7:1 ელიავა (82).

ზესტაფონი (პირველ ტაიმში): მამალაძე, ალადაშვილი, გრუიცა, გ. ონიანი, გორგიაშვილი, გაჩეჩილაძე, ბაბუნაშვილი, აფციაური, ჭანკოტაძე, დვალი, წინამძღვრიშვილი.

ზესტაფონი (მეორე ტაიმში): რ, კვასხვაძე, ნ. გრიგალაშვილი, კობახიძე, გრუიცა (55. გაგოშიძე), ელიავა, ბენაშვილი, გორგიაშვილი (55. სანიკიძე), ჩიხლაძე, შ. გრიგალაშვილი, ლომია, სარდალიშვილი.

სამტრედია: ჯინჭარაძე, გიორგობიანი, ქარჩილავა, ხუმარაშვილი, დვალიშვილი, გავაშელიშვილი, ნინუა, მიქაბერიძე, ხვადაგიანი, რუხაია, ალავერდაშვილი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: თევზაძე, ხაჟალია, კეკელიძე, ბოხუა.

ესპანეთში შეკრებაზე გამგზავრებამდე ზესტაფონელებმა ამხანაგური მატჩი „სამტრედიასთან" გამართეს. თამაშს „დავით აბაშიძეზე" 500-მდე გულშემატკივარი დაესწრო. მართალია, **გია გეგუჩაძემ** ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც დიდი ანგარიშით მოიგეს. ზესტაფონელთაგან გრიპის გამო არ უთამაშია **ნიკა გელაშვილს, გოგი ფიფიასა** და კიდევ სამ ფეხბურთელს. ახალწვეულ **ზურაბ მენთეშაშვილს** მსუბუქი ტრავმა აწუხებს და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. შევიტყვეთ, რომ ტესტირებაზე მყოფი ხორვატი მცველი **გორან გრუიცა** მოწონებას იმსახურებს და როგორც ჩანს, „ზესტაფონი" მასთან კონტრაქტს გააფორმებს.

**დავით ცაბაძე**



ზურაბ მენთეშაშვილი

ბენდელას ტურნირი

# პირველი ქულები ახალი დებულებით

„ბენდელას თასზე" პირველი ტური დასრულდა. A ჯგუფში „ზესტაფონის" დუბლებმა რევაზ ძოძუაშვილის აკადემიის გუნდი შინ 4:1 დაამარცხეს და ტურნირის დებულების თანახმად 4 ქულა მიითვალეს (სამი ან მეტი გოლის სხვაობით მოგებაზე დამატებით ერთი ქულა ინერება). ამ ჯგუფში მეორე ადგილზე 2 ქულით ცხინვალის „სპარტაკია", რომელმაც მარტვილის „მერანს" პენალტების სერიაში 3:2 სძლია.

თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობამ „ვიტ ჯორჯიას" სარეზერვო გუნდი 3:0 დაამარცხა და B ჯგუფში გალიდერდა. რუსთავის „იმედმა" კი „ზოოვეტს" 11-მეტრიანების სერიაში 4:2 მოუგო და 2 ქულით მეორე ადგილზეა.

მეორე ტურის შეხვედრები ხვალ, 25 იანვარს გაიმართება. A ჯგუფში თბილისში „სპარტაკი" „ზესტაფონის" დუბლებს ეთამაშება, ზესტაფონში კი მარტვილის „მერანი" ძოძუაშვილის აკადემიის გუნდს შეხვდება. რაც შეეხება B ჯგუფს, რუსთავში, ჯერ „გაგრა" და „ვიტ ჯორჯია" ითამაშებენ, მერე კი „დინამო" და „ზოოვეტი".

**დავით ცაბაძე**

დინამო. სამზადისი

# სტანდარტული გამარჯვება

თურქულ შეკრებაზე გამგზავრების წინ „დინამომ" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ისე როგორც წინა ოთხ შეხვედრაში, შაბათსაც მოიგო. **კახა კაჭარავას** გუნდმა ამჯერად პირველი ლიგის ერთ-ერთ ლიდერსა და საქართველოს თასის ნახევარფინალისტს „გაგრას" აჯობა; თუმცა მეტოქეთა შემადგენლობებს ოპტიმალური ნამდვილად არ ეთქმოდა: „დინამოს" შემადგენლობაში კვლავაც არ უასპარეზიათ **გიორგი ლორიას, შოთა კაშიას** და **რობერტინიოს** (გასინჯვაზე მყოფი მრავალრიცხოვანი უცხოელი ფეხბურთელების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა უკან გააბრუნეს), ხოლო „გაგრას" წამყვან ფეხბურთელთა ჯგუფი (**ნაკონეჩნი, ორდინსკი, ჯიშკარიანი, ოვონიკოკო, ტყეშელაშვილი, შარიქაძე, ხუციძე**) აკლდა. ამის მიუხედავად, საფეხბურთო სკოლა „ავაზას" ხელოვნურსაფრიან მოედანზე ჩატარებული სპარინგმატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და სუსხიანი ამინდის მიუხედავად, გულშემატკივართა ინტერესიც გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში, „დინამოსა" და „გაგრას" საკონტროლო შეხვედრას იმაზე მეტი ქომაგი ესწრებოდა, ვიდრე თბილისსა ან რუსთავში ჩატარებულ რომელიმე ოფიციალურ მატჩს...

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ამ შეხვედრას... გარკვეული „ინტრიგა" ახლდა! ალბათ, ბევრს ემახსოვრება, რომ 2010 წლის ბოლოს, საქართველოს თასის მეოთხედფინალში **ანატოლი პისკოვეცის** დამოძლვრილმა „გაგრამ" თავის ქომაგებს მართლაც რომ სასიამოვნო სიურპრიზი მიუძლვნა და ორი მატჩის ჯამში „დინამოს" აჯობა! თუმცა, იმის მერე „დინამოში" ბევრი რამე (გნებავთ, ვინმე) შეიცვალა და გუნდში დაბრუნებულ კახი კაჭარავასაც, ფაქტობრივად, ახალი კოლექტივის შექმნა უწევს. ამ შემთხვევაში კი, უპირველეს ყოვლისა, სელექციას ვგულისხმობთ: თურქეთში გამგზავრებამდე ჩატარებული ხუთ საკონტროლო მატჩში „დინამოს" შემადგენლობაში 30-მა ფეხბურთელმა ითამაშა, საიდანაც ნახევარზე მეტი... პოტენციური ახალწვეული გახლდათ! თუმცა, როგორც ამ ბოლო დროს არის „წესად დამკვიდრებული", გასინჯვაზე მყოფი ზოგიერთი უცხოელი ფეხბურთელის შესაძლებლობებში დასარწმუნებლად... ერთი ტაიმიც საკმარისი ხდებოდა; მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ 16 პოტენციური ახალწვეულიდან „დინამოში" კარიერას მხოლოდ 5 გააგრძელებს: **თორნიკე ზარქუა** (მეკარე), **გიორგი ციმაკურიძე, მარკო მაროვიჩი** (მცველები), **ნიკა კვეკვესკირი** (ნახევარმცველი), **დიმიტრი ტატანაშვილი** (თავდამსხმელი). არადა, „ლელოს" მკითხველს ემახსოვრება, სულ ახლახან საკუთარ თავს როგორ რეკლამას უკეთებდა „დინამოს" ზოგიერთი პოტენციური ახალწვეული: ერთმა — „ლივერპულში" ვთამაშობდიო, მეორემ, — ახალი ზელანდიის ნაკრებშიო, მესამემ, — „ლაციოს" გაზრდილი ვარო და ასე შემდეგ. თუმცა, ეს სხვა სასაუბრო თემაა და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ „სატრანსფერო ზღაპრებს" აუცილებლად დავუბრუნდებით: ბოლოს და ბოლოს, უკვე საკმარისზე მეტი დრო გავიდა, ჩვენი ტრადიციული რუბრიკა-სერიალი („სიცრუის დეტექტორი") მკითხველისათვის რომ არ შეგვითავაზებია. მით უფრო, რომ მხოლოდ უცხოელებს არ უყვართ „ზღაპრის გუდისთვის" პირის მოხსნა, - მშვიდად იყავით, ჩვენი თანამემამულეებიც არაფერში ჩამორჩებიან და ვიდრე ზამთრის „სატრანსფერო ფანჯარა" დაიხურება, იმისთანა ზღაპრებს უნდა ველოდოთ, თქვენი მოწონებული...

თუმცა, სჯობს, ისევ „დინამო"-„გაგრას" საკონტროლო მატჩს დავუბრუნდეთ, რომლის მონაწილეებიც ისეთი მონდომებით ასპარეზობდნენ, ძვალში და რბილში გამტარი სიცივე საერთოდ რომ არ შეაწუხებდათ; რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ორივე კლუბის წარმომადგენლებზე, გულშემატკივრებზე, ამ სტრიქონების ავტორსა და „ლელოს" ფოტოკორესპონდენტ **ალექსანდრე კოტორაშვილზე**, - „ნაღდი" ზამთარი, ალბათ, ახლა იწყება...

...პირველი ტაიმის საწყისი წუთები „დინამოს" აშკარა უპირატესობით წარიმართა და „გაგრას" კარში „გოლების წვიმაც" უნდა გვენახა, რომ არა **ლადო ნადირაშვილის** ჩინებული თამაში. „გაგრას" მეკარემ პირველ ტაიმში, სულ მცირე, ოთხ-ხუთ ეპიზოდში საკუთარი გუნდი აშკარად ხიფათს გადაარჩინა, როცა **ირაკლი ბერაიას, ნიკა ფირცხალავასა** და **გიორგი კახელიშვილის** დარტყმები მოიგერია. დინამოელთა შორის განსაკუთრებით კახელიშვილი აქტიურობდა — ფლანგებიდანაც ხშირად ამწვავებდა თამაშს და ორჯერ თავური დარტყმითაც სცადა გოლის გატანა, მაგრამ ნადირაშვილმა ორივეჯერ ჩინებული რეაქცია გამოავლინა. თუმცა, პირველ ტაიმში გოლი მაინც ვიხილეთ: კახელიშვილის მორიგ აქტიურობას უცველ დაბალ კუთხეში ზუსტად გაგზავნა. ისე, ცნობისათვის: ტატანაშვილიც და ნადირაშვილიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თბილისის „ამერში" ერთად თამაშობდნენ...

...მატჩის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა, არადა, „დინამოს", სულ მცირე, ორი ჩინებული მომენტი ჰქონდა: ნიკა კვეკვესკირის დარტყმის შემდეგ ბურთი „გაგრას" კარის ხარიხას მოხვდა, **გიორგი თექთურმანიძეს** კი ისევ და ისევ ნადირაშვილმა არ დაანება გოლის გატანა. 2:1. აი, ასე დასრულდა ეს საინტერესო სპარინგ მატჩი, სადაც სამივე გოლი „სტანდარტულებიდან" გავიდა.



დინამომ ტატანაშვილის დუბლით მოიგო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„გაგრას" მცველებმა მხოლოდ ის დაუპირისპირეს, რომ საკუთარ საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერეს. ფიფას არბიტრის, **ლაშა სილაგავას** გადაწყვეტილება საკამათო არავისთვის ყოფილა: „გაგრას" კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც „დინამოს" ახალწვეულმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** ზუსტად შეასრულა. ისე, „გაგრას" შედარებით ინერტული თამაში, ასე ვთქვათ, გასაგებიც იყო: ჩემპიონატში პაუზის შემდეგ გუნდი, ფაქტობრივად, პირველ მატჩს ატარებდა, თანაც ანატოლი პისკოვეცმა ძირითად შემადგენლობაში ერთდროულად ექვს ახალწვეულს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ პირველ ტაიმში „გაგრას" ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს მეტოქის კარში: ფოთის „კოლხეთის" აწ უკვე ყოფილმა ლიდერმა **დათა სიჭინავამ** შორი მანძილიდან „მოსინჯა" დინამოელთა ახალგაზრდა მეკარის **თორნიკე ზარქუას** საიმედოობა.

შესვენების შემდეგ „დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდა და ასე გაგრძელდა მატჩის ბოლომდეც; თუმცა, მეორე ტაიმის დასაწყისში „გაგრამ", ფაქტობრივად, ერთადერთი შანსი მაქსიმალურად გამოიყენა და გუნდის მეორე ახალწვეულმა, ფოთის „კოლხეთის" ყოფილმა ფორვარდმა **დავით ციცხვაიამ** „სტანდარტული" ზუსტად გამოიყენა. საყაიმო ანგარიში დიდხანს არ შენარჩუნებულა: დიმიტრი ტატანაშვილმა მართლაც ეფექტური საჯარიმო დარტყმით „დინამო" წინ გაიყვანა! აღსანიშნავია, რომ ტატანაშვილი სწრაფად გაერკვა სიტუაციაში: მეტოქის მეკარეს „სტანდარტულის" დროს პოზიცია არასწორად ეკავა, ჰოდა „მოჭრილი" დარტყმით ბურთი „ცოცხალ კედელს" შემოატარა და და-

„დინამო": **ზარქუა (55 ნადირაძე)-კაკუბავა (46. ციმაკურიძე), გ. კვარაცხელია, თომაშვილი, მაროვიჩი (75. ოთარაშვილი)-კვეკვესკირი, ფირცხალავა (70. ედნილსონი)-ი. ბერაია (46. ლეკვთაძე), კოშკაძე (46. თექთურმანიძე), კახელიშვილი (80. ქანთარია)-ტატანაშვილი (80. სიხარულიძე).**

„გაგრა": **ნადირაშვილი-ჯანაშია, დ. გიგაური, გაბუნია, გედენიძე-ზ. ჩხეტიანი, ჭკუასელი, ბ. ყიფიანი, სიჭინავა (46. კობერიძე)-ციცხვაია, გრძელიძე (46. შ. კვანტალიანი).**

გუშინ საღამოს „დინამო" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა; კახა კაჭარავამ ანთალიაში 22 ფეხბურთელი წაიყვანა: მეკარეები - **გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა**; მცველები - **ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი, გია კვარაცხელია, მარკო მაროვიჩი, გიორგი ციმაკურიძე, გიორგი გველესიანი, გიორგი ოთარაშვილი**; ნახევარმცველები - **ალექსანდრე კოშკაძე, შოთა კაშია, გიორგი კახელიშვილი, ნიკა ფირცხალავა, ედნილსონი, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი თექთურმანიძე, ირაკლი ლეკვთაძე, ჯაბა ჯიღაური**; თავდამსხმელები - **დიმიტრი ტატანაშვილი, რობერტინიო, ზვიად ქანთარია, ირაკლი სიხარულიძე**. ამასთან, თურქეთში ყოფნის დროს კვლავაც გაგრძელდება სელექციის პროცესი და „დინამოში" რამდენიმე უცხოელ ფეხბურთელსაც გასინჯავენ: „დინამო" თურქეთში 4 თებერვლამდე დარჩება და მანამდე ხუთ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: ნალჩიკის „სპარტაკთან" (26 იანვარი), „სევასტოპოლთან" (28 იანვარი), ლუცკის „ვოლინთან" (30 იანვარი), ხორვატულ „ოსიეკთან" (1 თებერვალი), ლუგანსკის „ზარიასთან" (3 თებერვალი).

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

თანამეგობრობის თასი

## გურჯი ყარდაშ, იახში ყარდაშ

### ბაქოელების ინტერნაციონალურ გამარჯვებაში ქართველების ლომის წილია. ცხადაძემ თასთან ერთად ქათინაურებიც დაიმსახურა



ბაქოს "ინტერმა" "თანამეგობრობის თასი" მოიგო. პეტერბურგში დასრულებული ტურნირის ფინალში აზერბაიჯანის ჩემპიონი სოლიგორსკის "შახტიორს" დაუპირისპირდა.

"თანამეგობრობის თასზე" ქართული კლუბები სამი წელია, არ მონაწილეობენ, მაგრამ "ინტერმა" მის მიმართ ინტერესი დაგვიბრუნა, რადგან გუნდს **კახა ცხადაძე** და **გიორგი ჩიხრაძე** ავარჯიშებენ და ექვსი ქართველი თამაშობს. ბელარუსებთან ძირითადში **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი** და **დავით ოდიკაძე** იყვნენ, **კახა მჟავანაძე** - შეცვლაზე, მოედანზე მხოლოდ **ბაჩანა ცხადაძე** არ გამოჩენილა.

*"როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სამწვრთნელო ვარსკვლავი ამობრწყინდა"*, - წერს **კახა ცხადაძეზე** ინტერნეტ-გაზეთი championat.ru. არც არის გასაკვირი - ფინალის ჩათვლით, ქართველი სპეციალისტის გაწვრთნილ "ინტერს" ექვს შეხვედრაში გოლი არ გაუშვია და 16 გაიტანა. მსგავსი შედეგი ტურნირის 18-წლიან ისტორიაში არც ერთ კლუბს არ ჰქონია. მართალია, "თანამეგობროგის თასი" დიდი ხანია, გაუფერულდა, მაგრამ ეს ბაქოური კლუბის ქართველი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების წარმატებას ვერ დააკნინებს - ტურნირის მოგება მაინც პრესტიჟულია.

გამარჯვებული ვერც ძირითად დროში გამოვლინდა და ვერც დამატებითში - 0:0. პენალტების სერიაში კანდელაკმა თავისი შანსი ვერ გამოიყენა, მჟავანაძემ გაიტანა, ლომაიამ კი ორი დარტყმა მოიგერია და "ინტერმა" 6:5 გაიმარჯვა.

და ბოლოს: მეოთხედფინალში ერევნის "მიკასთან" გამარჯვება აზერბაიჯანისთვის იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, "ინტერს" წარმატება ქვეყნის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** მიულოცა.

მატჩის შემდეგ კახა ცხადაძეს დაველაპარაკეთ: *"უზომოდ გახარებული ვარ, ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით. უსამართლობაც კი იქნებოდა, წაგვეგო, რადგან უპირატესობას ვფლობდით. ილია კანდელაკმა პენალტი კი გააფუჭა, მაგრამ ძალიან კარგად ითამაშა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. არაფერს ვიტყვი გიორგი ლომაიაზე, რომელმაც უმნიშვნელოვანეს მომენტში მოიგერია თერთმეტმეტრიანები."*

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

## ლიპარტია არ ჩამოვა ცარიელი, ჯაბა გახდა ზარიელი



თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ ლუგანსკის „ზარიაში“ ორი ქართველი იყო ტესტირებაზე. „ვიტ ჯორჯიას“ ან უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა **ჯაბა ლიპარტიამ** მწვრთნელებს თავი მოაწონა და უკრაინულ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სინჯებზე იყო თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი **ლევან ხმალაძეც,** მაგრამ დაშავდა და კვირაზე მეტ ხანს ვერ ვარჯიშობდა. ხმალაძე სამკურნალოდ სამშობლოში დაბრუნდა.

„ზარიამ“ აზერბაიჯანულ „აზალთან“ საკონტროლო მატჩი 2:0 მოიგო. ლუგანსკელებმა ორი შემადგენლობით ითამაშეს და ლიპარტიამ მოედანზე პირველი 45 წუთი დაყო.

ლუგანსკელთა გუნდი, რომელსაც **ანატოლი ჩანცევი** წვრთნის, უკრაინულ პრემიერლიგაში 19 ქულით მე-12 ადგილზეა და სეზონს 5 მარტს ლუცკის „ვოლინთან“ საშინაო მატჩით განაახლებს.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

## რამდენი ჩვენებური ეტევა ვოლგაში?

### სალუქვაძეც ნიჟნის ქართულ რვეულშია

ყაზანის "რუბინმა" ანთალიაში ასტანის "ლოკომოტივთან" საკონტროლო შეხვედრა გამართა და ყაზახებს ორი შემადგენლობით ეთამაშა, საქართველოს ნაკრების მცველი **ლაშა სალუქვაძე** კი მოედანზე არ გამოჩენილა. გავარკვიეთ, რომ ლაშამ ყაზანის "რუბინი" დატოვა, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" გადავიდა და შაბათს **ომარ თეთრაძის** კლუბს შეკრებაზე შეუერთდა. მისი კონტრაქტის ხანგრძლივობას, ჩვენთვის ჯერ უცნობია.

ამგვარად, **გიორგი ნავალოვსკის, ედიკ საჯაიას, გია გრიგალავას, გოჩა ხოჯავას, გოგიტა გოგუას, ოთარ მარცვალაძისა** და **მათე ვაწაძის** შემდეგ სალუქვაძე ნიჟნი ნოვგოროდის კლუბში ჩარიცხული მერვე ქართველი ფეხბურთელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლუბის სპორტული დირექტორი **მამუკა ჯულელია**, მთავარი მწვრთნელი კი ომარ თეთრაძე, გამოდის, რუსეთის პრემიერლიგაში 2011 წელს, ფაქტობრივად, ქართულ კლუბს ვიხილავთ.

"ვოლგა" პირველი რუსული კლუბია, სადაც ერთდროულად რვა ქართველი ვარჯიშობს, რაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია – ამდენი ჩვენებური თხუთმეტი წლის წინ უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ ტერნოპოლის "ნივაში" თამაშობდა. და თუ ნიჟნინოვგოროდელები რომელიმე ქართველს გაუშვებენ, ჩვენებურების რაოდენობა მნიშვნელოვნად მაინც არ შემცირდება.


ლაშა სალუქვაძე

**მერაბ მამულაშვილი**

## ყველა რჩებით? მგონი, კი

შაბათს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგამ" თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე პირველი საკონტროლო შეხვედრა პირველი ლიგის "კრასნოდართან" გამართა და 3:0 გაიმარჯვა. კრასნოდარელთა შემადგენლობაში მეორე ტაიმში გამოჩნდა **ირაკლი კლიმიაშვილი**, მაგრამ მატჩის მიმოხილვაში მასზე მეტი არაფერი ეწერა და არც არის გასაკვირი – "ვოლგამ" მეტოქე პირწმინდად დაამარცხა. როგორც საკონტროლო მატჩებში ხდება, **თეთრაძემ** ფეხბურთელები მხოლოდ ერთი ტაიმი ათამაშა. ძირითადში მან დააყენა **გიორგი ნავალოვსკი, ედიკ საჯაია, გოჩა ხოჯავა** და **ოთარ მარცვალაძე.**

გამოირჩეოდა ხოჯავა, რომელიც პირველივე წუთებიდან მომენტს მომენტზე ქმნიდა. მე-4 წუთზე თანაგუნდელი პლეშჩანი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ რუმინელმა გოლი ვერ გაიტანა. მე-20 წუთზე ხოჯავამ მეკარესთან ერთი-ერთზე მარცვალაძე დატოვა, რომელმაც მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ მიზანს ვერც მან მიაღწია. მარცვალაძემ რეალური საგოლე მომენტი ვერც 34-ე წუთზე გამოიყენა.

"ვოლგას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ხოჯავას წაქცევისთვის მსაჯმა კრასნოდარელთა კარში პენალტი არ დანიშნა.

43-ე წუთზე "ვოლგამ" მაინც გაიტანა: ხოჯავამ მარჯვენა ფლანგზე ორი მეტოქე მოატყუა და პლეშჩანს მშვენიერი საგოლე გადაცემა უძღვნა – 1:0.

მეორე ტაიმში მოედანზე გამოჩნდნენ **გია გრიგალავა** და **გოგიტა გოგუა,** არ უთამაშია მხოლოდ **მათე ვაწაძეს.** 55-ე წუთზე მეორე გოლი გრიგალავას წამოწყებული კომბინაციის შედეგად გავიდა. მესამე კი გოგუას კუთხურის ჩაწოდების შედეგად ბენძმა გაიტანა.

გუშინ ოთარ მარცვალაძეს დავუკავშირდით:

- მე და გიორგი ნავალოვსკიმ მკურნალობა დავასრულეთ, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობთ და "კრასნოდართან" ვითამაშე კიდეც.

**- "ვოლგაში" ყველა ქართველი დარჩებით თუ თეთრაძე ვინმეს უშვებს?**

- როგორც ვიცი, თეთრაძე ყველას გვტოვებს.

**- ნაკრებში ამჯერად აღარ გამოგიძახეს.**

- ტრავმის შემდეგ პირველად ვივარჯიშე და ასეთ მდგომარეობაში ქეცბაია ვერც გამომიძახებდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## სირაძემ სეზონი გოლით გახსნა


დავით სირაძე

ნალჩიკის "სპარტაკმა" ანთალიაში პირველი საკონტროლო შეხვედრა სიმფეროპოლის "ტავრიასთან" გამართა. რუსულმა კლუბმა **დავით სირაძის** მიერ მე-15 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით მოიგო.

"ტავრიაში" ითამაშა **ვასილ გიგიაძემ,** რომელიც მოედანზე მე-60 წუთზე გამოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

## ორი სიხარული

### მაკარიძემ თასზე ითამაშა

არ შეიძლება, თავიდანვე არ აღვნიშნოთ, რომ ორმა ქართველმა ფეხბურთელმა 2011 წელი დიდებულად დაიწყო - ჩვენი ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** და **ლადო დვალიშვილმა**. მათ არც ამ უქმეებზე შეურცხვენიათ თავი...

ჩემპიონშიპში **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგი“ უქართველოდ დაუზავდა „ჰალ სიტის“ - 1:1. ზურაბი ისევ არ იყო განაცხადში, არადა, მატჩამდე „რედინგ პოსტი“ წერდა, რომ ქართველი გამოჯანმრთელდა და თამაში შეეძლო. რამდენიმე კვირაა, ხიზანიშვილი მტკივანი მუხლის გამო ვერ თამაშობს, თუმცა ტრავმის მიღებამდეც სათადარიგოთა სკამს არ გასცილებია.

როგორც იქნა, „ლე მანში“ **გიორგი მაკარიძე** გამოჩნდა! ქართველმა გოლკიპერმა კლუბი ღირსება „შერბურთან“ საგარეო სათასო დაპირისპირებაში დაიცვა და კარიც მშრალად შეინახა - 1:0. მაკარიძეს კარგად უთამაშია და ორჯერ, მე-2 და 84-ე წუთებზე გუნდი აშკარა გოლისგან უხსნია. **არნო კრომიემ** ქართველს თამაში მოუწონა: *„დღეს მაკარიძემ კარგად ითამაშა. ის ტყუილად არ არის პირველი გუნდის წევრი“*, - თქვა „ლე მანის“ თავკაცმა.

სანამ „შალკეს“ ნახევარმცველი **ლევან ყენია** მკურნალობს, ჩვენთვის საინტერესო ამბები მხოლოდ II ბუნდესლიგაში ხდება: **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ“ 4:2 მოუგო „დიუსელდორფს“. ბერლინური კლუბი 39 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. კობიმ 90 წუთი ითამაშა და „შპორტალისგან“ 3,5 ბალი მიიღო. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ „ალემანიას“ ესტუმრა და 2:4 დამარცხდა. „კარლსრუეს“ 17 ქულა აქვს და მე-16 ადგილზეა. ქართველ კაპიტანს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. წლეულს მეორედ გამოჩნდა „მიუნხენში“ **მათე ღვინიანიძე** - „ლომებმა“ სტუმრად „ოსნაბრუკი“ დაამარცხეს - 1:0. სასიამოვნო სიურპრიზი იყო მათეს გამოჩენა სასტარტოში („შპორტალი“ - 4). „მიუნხენი“ 28 ქულით მე-9 ადგილზეა.

იტალიაში **ლევან მჭედლიძის** „ემპოლის“ თამაში გადაიდო, სერია A-ში კი კახა კალაძის „ჯენოა“ 0:0 დაუზავდა სტუმრად „კიევოს“. ქართველმა 90 წუთი ითამაშა გენუელთა დაცვის ცენტრში. მილანეტოსთან ერთად კახამ მატჩში საუკეთესო შეფასება მიიღო (7 ქულა) „პიანეტა ჯენოასგან“. „ლა რეპუბლიკამ“ და „დატასპორტმა“ 6,5-6,5 ქულა დაუწერეს ჩვენებურს, რომელსაც, ფაქტობრივად, შეცდომა არ დაუშვია.

ზამთრის შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა „ვიტესმა“, რომელსაც არ ჰყავდა გაციებული **გურამ კაშია. მერაბ ჟორდანიას** გუნდს ვერც შესვენებამ უშველა, ბოლოადგილოსან „ვილემთან“ 0:1 დამარცხდა. საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა“ 0:0 ითამაშა „არისთან“, გიორგიმ მოედანზე 90 წუთი დაყო. კვიპროსზე ზედიზედ მეორე ტურია, გააქვს ვეტერან **ლევან მალრაძეს**. თუმცა ქართველი მცველის გოლმა ვერაფერი შემატა „ერმისს“, რომელიც „ენოსისთან“ 1:3 დამარცხდა.


კახა კალაძე

და აი, მივადექით ჩვენი მიმოხილვის მთავარ გმირს - ლადო დვალიშვილს, რომელიც მას შემდეგ რაც **ზურაბ მენთეშაშვილი** სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო **გაგა ჩხეტიანი** რანგით დაბალ ლიგაში გადავიდა, ლიგატ ჰაალში შემორჩენილი ერთადერთი ქართველია. ჰაიფას „მაქაბიმ“ 1:0 მოუგო „ბნეი იეჰუდას“, მატჩის ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში, რა თქმა უნდა, ლადომ გაიტანა - თავური. „მაქაბი“ 44 ქულით პირველია.

დვალიშვილის შედეგიანობა კი მართლაც გამორჩეულია: წლეულს, „მაქაბიმ“ ჩემპიონატში 4 მატჩი ითამაშა და ლადო უგოლოდ არც ერთში დარჩენილა (ერთხელ დუბლიც შეასრულა). ჩემპიონატში ლადოს ზედიზედ მე-5 მატჩია, გააქვს, ჩემპიონატის ბოლო 8 მატჩში ლადომ 7 გოლი გაიტანა. სეზონში მას 10 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულებს მხოლოდ 2 გოლით ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ათასჯერ დარქმეული სათაური

უნიკალური სათაური დაარქვა დალოცვილმა **გაბრიელ გარსია მარკესმა** თავის უკვდავ ნაწარმოებს - „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“. ისე ერგება ყველა სიტუაციას, რომ მთელი მსოფლიო რახანია დგას და ამ სათაურის პერიფრაზს ხან სად იყენებს და ხან სად. გაზეთებმა ხომ საერთოდ... შეცვლი ერთ სიტყვას და ეგ არის! აი, მაგალითად: ის, რაც კვირას ბირმინგემის სტადიონ „ვილა პარკზე“ მოხდა სხვა არაფერი იყო თუ არა „გამოცხადებული გოლის ქრონიკა“. გახსოვთ, რას წერდა „ლელო“ შაბათს, XXIV ტურის ანონსში? სტატიაში, რომელსაც ერქვა „დღეს ბენტი გოლს გაიტანსო...“ ნათქვამი იყო, რომ ფორვარდს, რომელიც ჯერ კიდევ წინა ტურში „სანდერლენდში“ თამაშობდა, ყოველი ახალი გუნდის შემადგენლობაში, პირველსავე შეხვედრაში გოლის გატანა ჩვევად აქვს. და რა მოხდა? ის, რასაც ელოდნენ: „ასტონ ვილამ“ „მანჩესტერ სიტის“ 1:0 მოუგო, ხოლო შეხვედრის ერთადერთი გოლი **დარენ ბენტმა** შეაგდო. ჰოდა, ამ მატჩის მოვლენათა აღწერა სწორედ „გამოცხადებული გოლის ქრონიკა“ გამოდის.

თუმცა, ლიტერატურულ „ნიალსვლებს“ თავი დავანებოთ და იანვრის თოვლჭყაპიანი ინგლისის გასაოცრად ბიბინა მინდვრებს მივუბრუნდეთ. ბენტი ბენტად და „სიტიმ“ წააგო... რა დაუპირისპირეს ყველანაირი საკომისიოებიანად 24 მილიონ ფუნტად ნაყიდ (ბენტის ნომინალური ფასი, როგორც იცით 18 მილიონია) ფორვარდს ისტლენდელებმა, რომელთა თავდასხმაში ჯამში 59 მილიონი ფუნტი **(ედინ ჯეკო და კარლოს ტევესი)** დარბოდა? უპირატესობა ბურთის ფლობაში, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთქვათ ამ უპირატესობას მარილი აკლდა. ეტყობოდა, რომ ჯეკო და ტევესი ჯერ ერთმანეთს მაინც და მაინც ვერ უგებენ. ბოსნიელი ბურთს რომ მიიღებდა, ახლომახლო მეტოქის მეტი, თითქოს არავინ ჰყავდა - არგენტინელი, ამ დროს, სხვანაირად თამაშსაა დაჩვეული, სადღაც გარბოდა. გარდა შეუთამაშებლობისა, ვფიქრობთ, ფსიქოლოგიური პრობლემაც იყო - „სიტის“ მატჩამდე ლიდერმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბირმინგემს“ 5:0 მოუგო, რითაც თანაქალაქელს უთხრა, თუ ბიჭი ხარ წამომყევიო და ისიც, როგორც ჩანს, დაიძაბა... ამ ყველაფრის შედეგად კი ის გამოვიდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „სიტის“ 3 ქულით უსწრებს და თან ორი თამაშით ნაკლები აქვს.

*„გოლის ეპიზოდში ბენტმა დაამტკიცა, რომ ბომბარდირად არის დაბადებული. ის სწორედ ამიტომ გადმოვიყვანეთ, გოლები უნდა გაიტანოს. თამაშის წინ თვით რობერტო მანჩინიმ მითხრა, რომ დიდებული თავდამსხმელი ვიყიდე და ეს დამტკიცდა. დარენი სულ ერთი კვირაა რაც ჩვენთან არის, მაგრამ გუნდს უკვე შეეჩვია. ბევრ ფეხბურთელს ასაკობრივი ნაკრებებიდან იცნობს. მოკლედ, თამაშის წინ შევატყვე, რომ მოედანზე გასასვლელად მზად იყო“*, - თქვა პრესკონფერენციაზე „ვილას“ ფრანგმა თავკაცმა **ჟერარ ულიემ**.

„სიტიმ“ კი ჟურნალისტებთან სალაპარაკოდ მანჩინის ასისტენტი **ბრაიან კიდი** გაგზავნა, რომელმაც თქვა, რომ ამ წაგების შემდეგ ტიტულს „მანჩესტერ იუნაიტედი“ თავად თუ დაკარგავს, თორემ მისთვის მისი წამრთმევი აღარავინ არის. ამასთან, კიდმა, რასაკვირველია, ისიც დაიქადნა, რომ მათი გუნდი ყურებს არ ჩამოყრის და მარცხზე ვაჟკაცური რეაქცია ექნება.

„იუნაიტედს“ კი „ბირმინგემის“ დამარცხება, როგორც ანგარიშიდანაც ჩანს, არ გასჭირვებია. ხუთიდან სამი გოლი **დიმიტარ ბერბატოვმა** გაიტანა. ცნობისთვის: ეს ბულგარელის მესამე ჰეთთრიკი გახლდათ მიმდინარე სეზონში. მატჩის შემდეგ მანჩესტერელთა თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** თქვა:

*„ახლა იმედი მაქვს, რომ უეინ რუნიც დაიწყებს გოლების გატანას. დროა ასე მოხდეს. - ის საამისოდ ძალიან ბევრს მუშაობს. დღეს მან ჩინებულად ითამაშა. რაც შეეხება დიმიტარს, ის საუცხოო იყო. დღეს მას მეტის გატანაც შეეძლო. მართალი გითხრათ, ბოლო დარტყმებს ყველა ეპიზოდში სწორად ვერ ვასრულებდით, მაგრამ ასეთი თამაშისა და შედეგის შემდეგ ამაზე წუწუნი არასწორი იქნებოდა“.*

მანჩესტერული და ბირმინგემული გუნდების ამ ორომტრიალით კი „არსენალმა“ ისარგებლა, „უიგანს“ 3:0 მოუგო და მეორე ადგილზე გადავიდა. ამ შეხვედრაშიც ჰეთთრიკი დაფიქსირდა - **რობინ ვან პერსიმ** სამჯერ შეუგდო სტუმრებს გოლი. მეტიც, ჩინებულ ფორმაში მყოფმა ჰოლანდიელმა თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე პენალტი ვერ გაიტანა, ხარიხას გაარტყა - თერთმეტმეტრიანი იმიტომ დაინიშნა, რომ **გერი კოლდუელმა სესკ ფაბრეგასს** დაქაჩა. ამ დარღვევისთვის კოლდუელი გააძევეს კიდეც მოედნიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა დიდებულად ჩაატარა „უიგანის“ 29 წლის ომანელმა მეკარე **ალი ალ ჰაბსიმ**. მატჩის შემდეგ „უიგანის“ მწვრთნელმა **რობერტო მარტინესმა** თქვა: *„მე სესკს ძალიან კარგად ვიცნობ. ის ძალიან ძლიერი და ჭკვიანი ფეხბურთელია. მან ზედმიწევნით იცის, როგორ უნდა იმოქმედოს მსაჯზე და დაანიშნინოს პენალტი. არა, მე არ ვამბობ, რომ ის სიმულანტია, უბრალოდ სხვა კულტურის წარმომადგენელია. იქ ასეთი საქციელი ჭკვიანურად ითვლება“.*

**არსენ ვენგერი** კი, რასაკვირველია, მოხიბლული იყო თავისი გუნდის თამაშით:

*„ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ. შესვენებისას ბიჭები ცოტა აღელვებულები მეჩვენნენ, რადგან მათ ბევრი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი შესანიშნავად დასრულდა“.*

„ნიუკასლმა“ და „ტოტენჰემმა“ 1:1 ითამაშეს. კაცმა რომ თქვას „დეზები“ ჩემპიონობის მთავარ კანდიდატთა შორის არ მოიაზრებიან და „სენტ ჯეიმს პარკზე“ მათ ფრეს განსაკუთრებით არავინ შეიცხადებდა, მაგრამ ამ შეხვედრაში უსიამოვნო ის გახლდათ, რომ მე-11 წუთზე უელსელი ვარსკვლავი **გარეთ ბეილი** ზურგის ძველი ტრავმის რეციდივის გამო შესაცვლელი გახდა.

„ტოტენჰემმა“ ქულა მსაჯის დამატებულ წუთებზე გადაარჩინა. **აარონ ლენონმა** უკვე მერამდენედ იხსნა თანაგუნდელები უარესი შედეგისგან - არგენტინელი **ფაბრისიო კოლოჩინის** გოლი გაქვითა. ზოგადად, ბურთს უფრო ხშირად ლონდონელები ფლობდნენ, მაგრამ ეს უპირატესობის მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობაა და შედეგს არ განაპირობებს. ორივე გუნდმა თითოჯერ გაარტყა ბურთი ძელს.

ტურის პირველი შეხვედრა კი გახლდათ „ვულვზისა“ და „ლივერპულის“ დაპირისპირება, რომელიც მერსისაიდელთა შთამბეჭდავი გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. სამიდან ორი გოლი **ფერნანდო ტორესმა** გაიტანა.

*„რაც მე „ლივერპული“ ჩავიბარე ბიჭებს ასე ძლიერად არ უთამაშიათ*, - თქვა მატჩის შემდეგ **კენი დალგლიშმა** *- განსაკუთრებით ფერნანდო ტორესმა აღმაფრთოვანა. მან ბრწყინვალედ იმუშავა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

**გადატანილი შეხვედრები**

25 იანვარი. ბლექპული-მანჩესტერ იუნაიტედი, უიგანი-ასტონ ვილა; 26 იანვარი. ლივერპული-ფულჰემი.




### ვულვერჰემპტ.-ლივერპული 0:3

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ზუბარი, ბერა, სტირმენი, უორდი - ჰანტი (73. ჰემილი), მილიაში, ჰენრი, ჯერვისი - დოილი, ფლეტჩერი.

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - კელი, აგერი, შკრტელი, გ. ჯონსონი - კუიტი, პოულსენი (73. შილვი), ლუკასი, მაქსი როდრიგესი (81. აურელიო) - მეირელეში, ტორესი.

**გოლები:** 0:1 ტორესი (36), 0:2 მეირელეში (50), 0:3 ტორესი (90)

**გაფრთხილება:** პოულსენი, ტორესი, მეირელეში (სამივე ლივერპული)

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 6-18; **კარში დარტყმა:** 13-16 (3-9); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 28 869

### არსენალი-უიგანი 3:0

**არსენალი** (4-5-1): შჩესნი - სანია, დჟურუ, კოშელნი, კლიში - უოლკოტი, სონგი, უილშერი, ფაბრეგასი (87. დენილსონი), ნასრი (75. არშავინი) - ვან პერსი (86. შამახი).

**უიგანი** (4-5-1): ალ ჰაბსი - გოჰური, გ. კოლდუელი, ს. კოლდუელი, ფიგეროა - სტამი (45. დი სანტო), დიამე (45. მაკარტური), ტომასი, უოტსონი, ნ'ზოგბია (78. ბოისი) - როდალეგა.

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (21), 2:0 ვან პერსი (58), 3:0 ვან პერსი (85)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ვან პერსი (71)

**გაფრთხილება:** ტომასი (უიგანი)

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 7-14; **კარში დარტყმა:** 24-3 (10-0); **თამაშგარე:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 59 552

### ბლექპული-სანდერლენდი 1:2

**ბლექპული** (4-4-2): კინგსონი (56. რაჩუბკა) - ერდლი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი (49. ორმეროდი) - ფილიპსი, ვუგანი, ადამი, ვერნი - გრენდინი (62. ჰერევუდი), ტეილორ-ფლეტჩერი.

**სანდერლენდი** (4-5-1): გორდონი - ონუოჰა, ა. ფერდინანდი, ბრამბლი, ბერდსლი (63. კოლბეკი) - ალ მუჰამადი, რიჩარდსონი, ჰენდერსონი, მალბრანკი (80. რივეროსი), ზენდენი - ასამოა გიანი.

**გოლები:** 0:1 რიჩარდსონი (15), 0:2 რიჩარდსონი (36), 1:2 ადამი (86-პენ)

**გაფრთხილება:** ადამი, ვუგანი (ორივე ბლექპული)

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 14-15; **კარში დარტყმა:** 14-13 (8-5); **თამაშგარე:** 1-5; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 16 037

### ევერტონი-ვესტ ჰემი 2:2

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი - ფ. ნევილი (86. როდუელი), დისტინი, ჰეიტინგა, ბეინესი - კოულმენი, ფელაინი, არტეტა, ოსმანი - ბეკფორდი (45. საა), ენიჩიბე (69. ბელიალეტდინოვი).

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - ფაბერი, აპსონი, ტომკინსი, ბრიჯი - ნობლი, პარკერი, სპექტორი - ჰაინესი (81. სირსი, 90. რიდი), ბოა მორტე, პიქვიონი.

**გოლები:** 0:1 სპექტორი (26), 1:1 ბელიალეტდინოვი (77), 1:2 პიქვიონი (84), 2:2 ფელაინი (90)

**გაფრთხილება:** ფელაინი - პარკერი, პიქვიონი

**გაძევება:** პიქვიონი (85)

**კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 12-14; **კარში დარტყმა:** 12-15 (4-5); **თამაშგარე:** 0-7; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 34 179

### ფულჰემი-სტოკი 2:0

**ფულჰემი** (4-4-2): სტოკდეილი - პენტსილი, ჰანდელანდი, ჰიუზი (76. ჰალიში), ბეირდი - დაფი, ეტუჰუ (63. სიდუელი), მერფი, დემპსი - ე. ჯონსონი, დემბელე (75. გერა).

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, კოლინზი (58. კარეუ) - ეზერინგტონი (63. უილენი), უაიტჰედი, უილსონი, დელაპი - თუნჩაი (59. ფაიე), კ. ჯონსი.

**გოლები:** 1:0 დემპსი (33), 2:0 დემპსი (56-პენ)

**გაფრთხილება:** მერფი - უილკინსონი

**გაძევება:** შოუკროსი (54)

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 15-9 (4-1); **თამაშგარე:** 5-0; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 23 766

### მანჩესტერ იუნ.-ბირმინგემი 5:0

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ვან დერ სარი - ო'ში, ვიდიჩი, სმოლინგი, ევრა (45. ფაბიო) - ნანი, გიგზი (55. ოუენი), ქერიკი (25. ქერიკი), ანდერსონი - ბერბატოვი, რუნი.

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, რიჯუელი, რ. ჯონსონი, დ. მერფი - ბენტლი (85. გარდნერი), მაკჩი, ფერგიუსონი, ფეჰეი (65. ლარსონი) - ჰლები (45. ჯერომი), დერბიშირი.

**გოლები:** 1:0 ბერბატოვი (2), 2:0 ბერბატოვი (31), 3:0 გიგზი (45), 4:0 ბერბატოვი (53), 5:0 ნანი (76)

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 11-5; **კარში დარტყმა:** 23-6 (8-1); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 75 326

### ნიუკასლი-ტოტენჰემი 1:1

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი - სიმპსონი, კოლოჩინი, უილიამსონი, სანჩესი - ბარტონი, ნოლანი, გათრი (74. პერჩი), ხონასი - ამეობი (88. რეინჯერი), ბესტი (66. ლოვენკრანდსი).

**ტოტენჰემი** (4-5-1): კუდიჩინი - ჰატონი, დოუსონი, გალასი, ბეილი (11. ბასონგი) - ლენონი, მოდრიჩი, ჯენასი (71. კრაუჩი), ვან დერ ვაარტი, პიენაარი (84. კრანჩარი) - დეფო.

**გოლები:** 1:0 კოლოჩინი (59), 1:1 ლენონი (90)

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 12-7; **კარში დარტყმა:** 15-14 (4-5); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 51 010

### ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი 1:0

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - კუელიარი, რ. დანი, კოლინზი, კლარკი - ოლბრაიტონი, დაუნინგი, ს. პეტროვი (88. რიო-კოკერი), ე. იანგი, აგბონლაჰორი - ბენტი.

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი - ბოატენგი, კომპანი, კ. ტურე, კოლაროვი - ბერი (57. ჯონსონი), დე იონგი, სილვა, ი. ტურე - ტევესი, ჯეკო.

**გოლი:** 0:1 ბენტი (18)

**გაფრთხილება:** კლარკი - კოლაროვი

**კუთხური:** 2-13; **ჯარიმა:** 12-12; **კარში დარტყმა:** 9-25 (7-2); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 37 315

### ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი 2:0

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი - სალგადო (76. ჰენლი), ჟივე, სამბა, ოლსონი - ჰოილეტი, ჯონსი, დ. დანი (64. ნზონზი), პედერსენი - კალინიჩი (64. რობერტსი), სანტა კრუსი.

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): მიჰილი - ხარა, ოლსონი, ტამასი. მ. ჩეხი - მორისონი (76. ბედნარი), მულუმბუ (56. ტჩოი), შარნერი, ბრანტი, ტომასი - ოდემვინგე.

**გოლები:** 1:0 ტამასი (41 ს.კ.), 2:0 ჰოილეტი (47)

**გაფრთხილება:** ტომასი (ვესტ ბრომვიჩი)

**კუთხური:** 8-9; **ჯარიმა:** 4-7; **კარში დარტყმა:** 18-24 (6-6); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 24 057

**ბოლტონი-ჩელსი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 22 | 13 | 9 | 0 | 48:19 | 48 |
| 2. არსენალი | 23 | 14 | 4 | 5 | 48:22 | 46 |
| 3. სიტი | 24 | 13 | 6 | 5 | 37:20 | 45 |
| 4. ჩელსი | 22 | 11 | 5 | 6 | 38:19 | 38 |
| 5. ტოტენჰემი | 23 | 10 | 8 | 5 | 32:26 | 38 |
| 6. სანდერლენდი | 24 | 9 | 10 | 5 | 28:24 | 37 |
| 7. ბლექბერნი | 24 | 9 | 4 | 11 | 31:37 | 31 |
| 8. ნიუკასლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36:33 | 30 |
| 9. ბოლტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 34:31 | 30 |
| 10. სტოკი | 23 | 9 | 3 | 11 | 28:28 | 30 |
| 11. ლივერპული | 23 | 8 | 5 | 10 | 30:31 | 29 |
| 12. ბლექპული | 22 | 8 | 4 | 10 | 32:38 | 28 |
| 13. ევერტონი | 23 | 5 | 12 | 6 | 27:29 | 27 |
| 14. ფულჰემი | 23 | 5 | 11 | 7 | 25:25 | 26 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 23 | 7 | 4 | 12 | 29:43 | 25 |
| 16. ასტონ ვილა | 23 | 6 | 7 | 10 | 25:39 | 25 |
| 17. ბირმინგემი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:31 | 23 |
| 18. უიგანი | 23 | 4 | 10 | 9 | 19:37 | 22 |
| 19. ვულვზი | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| 20. ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:43 | 21 |

**ბომბარდირები:** 17 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 14 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ბენტი (ასტონ ვილა/სანდერლენდი), ნოლანი (ნიუკასლი); 9 - ტ. კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ტორესი (ლივერპული); 8 - დემპსი (ევერტონი), დროგბა (ჩელსი), მალუდა (ჩელსი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 7 - ბეილი (ტოტენჰემი), კემპბელი (ბლექპული), შამახი (არსენალი), კ. დევისი (ბოლტონი).

## ჩემპიონშიპი

### XXVIII ტური

**დერბი-ნოტინგემი 0:1**
გოლები: 0:1 ერნშოუ (79)

**ბარნსლი-სუონსი 1:1**
გოლები: 1:0 ჰესელი (14), 1:1 სინკლერი (86)

**კარდიფი-უოტფორდი 4:2**
გოლები: 1:0 ბელამი (14), 2:0 ჩოპრა (17), 3:0 ბოთროიდი (31), 3:1 ბაკლი (33), 3:2 სორდელი (48), 4:2 გიეპეში (83)

**კრისტალ პალ.-ბრისტოლ სიტი 0:0**

**იფსვიჩი-დონკასტერი 3:2**
გოლები: 0:1 შარპი (6), 1:1 ნორისი (48), 2:1 უიკემი (60), 2:2 შარპი (61), 3:2 ედუარდსი (64)

**ლესტერი-მილუოლი 4:2**
გოლები: 1:0 დაიერი (8), 1:1 ჰენრი (9), 2:1 იაკუბუ (22), 3:1 ბამბა (35), 3:2 სმიტი (69), 4:2 ბამბა (74)
ვერ გაიტანა პენალტი: მორისონი (მილუოლი-3)

**მიდლსბრო-პრესტონი 1:1**
გოლები: 1:0 ბეიტსი (71), 1:1 ჯონსი (88)

**პორტსმუთი-ლიდსი 2:2**
გოლები: 1:0 უორდი (26), 1:1 ბეკიო (47), 2:1 უტაკა (61), 2:2 სომა (63)

**რედინგი-ჰალი 1:1**
გოლები: 0:1 ევანსი (51), 1:1„ ჰერტი (80)

**შეფილდი-ნორვიჩი 1:2**
გოლები: 0:1 კროფტსი (61), 1:1 ევანსი (69), 1:2 კროფტსი (80)

**სკანთორპი-ბარნლი 0:0**

**ქუინზ პარკი-ქოვენთრი 2:1**
გოლები: 0:1 კინგი (25), 1:1 ტაარაბტი (45), 2:1 რუტლიჯი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 27 | 14 | 10 | 3 | 46:18 | 52 |
| 2. კარდიფი | 27 | 14 | 5 | 8 | 45:33 | 47 |
| 3. ნორვიჩი | 27 | 13 | 8 | 6 | 44:35 | 47 |
| 4. სუონსი | 28 | 14 | 5 | 9 | 35:26 | 47 |
| 5. ლიდსი | 28 | 12 | 9 | 7 | 52:45 | 45 |
| 6. ნოტინგემი | 25 | 11 | 10 | 4 | 35:22 | 43 |
| 7. უოტფორდი | 26 | 12 | 6 | 8 | 52:39 | 42 |
| 8. რედინგი | 27 | 10 | 11 | 6 | 41:28 | 41 |
| 9. მილუოლი | 27 | 10 | 9 | 8 | 35:28 | 39 |
| 10. ლესტერი | 28 | 11 | 6 | 11 | 41:46 | 39 |
| 11. ბარნლი | 26 | 9 | 10 | 7 | 39:33 | 37 |
| 12. ჰალი | 27 | 9 | 10 | 8 | 29:30 | 37 |
| 13. ქოვენთრი | 28 | 10 | 6 | 12 | 32:34 | 36 |
| 14. დერბი | 27 | 10 | 4 | 13 | 39:39 | 34 |
| 15. დონკასტერი | 25 | 9 | 7 | 9 | 40:43 | 34 |
| 16. ბარნსლი | 26 | 9 | 7 | 10 | 31:38 | 34 |
| 17. ბრისტოლი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:41 | 32 |
| 18. პორტსმუთი | 26 | 8 | 7 | 11 | 37:41 | 31 |
| 19. იფსვიჩი | 26 | 9 | 4 | 13 | 30:36 | 31 |
| 20. მიდლსბრო | 27 | 8 | 6 | 13 | 31:36 | 30 |
| 21. შეფილდი | 27 | 7 | 6 | 14 | 26:43 | 27 |
| 22. კრ. პალასი | 27 | 7 | 5 | 15 | 26:47 | 26 |
| 23. სკანთორპი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:44 | 24 |
| 24. პრესტონი | 26 | 5 | 6 | 15 | 29:47 | 21 |

**ბომბარდირები:** 15 - გრემი (უოტფორდი); 14 - ბოთროიდი (კარდიფი); 13 – ტაარაბტი (ქუინზ პარკი), ბეკიო (ლიდსი), კომონსი (დერბი); 12 – შარპი (დონკასტერი), სინკლერი (სუონსი); 11 -ლონგი (რედინგი); 10 - ჰოლტი (ნორვიჩი), იუელუმო (ბარნლი), მაკგუგანი (ნოტინგემი), მორისონი (მილუოლი), სორდელი; 9 - გრედელი (ლიდსი), კინგი (ლესტერი), მეკი (ქუინზ პარკი).

## პირველი ლიგა

### XXVI ტური

ბურნმუთი-ბრაიტონი 1:0, ბრისტოლი-სუინდონი 3:1, ჩარლტონი-პლიმუთი 2:0, დაგენჰემი-მილტონი 0:1, ექსეტერი-უოლსოლი 2:1, ჰადერსფილდი-კოლჩესტერი 0:0, ლეიტონი-შეფილდ უენსდი 4:0, ნოთს ქაუნთი-კერლისლი 0:1, ოლდჰემი-ბრენტფორდი 2:1, პიტერბოროჰარტლპული 4:0, ტრანმერი-საუთჰემპტონი 2:0, იეოვილი-როჩდეილი 0:1.

## მეორე ლიგა

### XXVI ტური

საუთენდი-ბერი 1:1, ოლდერშოტი-ქრუ 3:2, მეკლსფილდი-ბერნეტი 1:1, ნორთჰემპტონი-ოქსფორდი 2:1, პორტ ვეილი-ჩელტენჰემი 0:1, შრუსბერი-ჩესტერფილდი 0:0, სტივენიჯი-მორკეიმბი 2:0, სტოკპორტი-ლინკოლნი 3:4, თორგუეი-ჯილინგემი 1:1, უაიკომბი-როტერჰემი 1:0. ეკრინგტონი-ჰერეფორდი და ბრედფორდი-ბარტონი გადაიდო.

## კონფერენცია

### XXVIII ტური

უიმბლდონი-საუთპორტი 5:0, ელტრინჩემი-ბათი 0:3, კემბრიჯი-ვრექსჰემი 1:3, ფლიტვუდი-ჰეიესი 1:1, გრიმსბი-ქროული 0:0, კეტერინგი-ისტბერნი 3:0, კიდერმინსტერი-ბეროუ 2:0, ლუტონი-გეიტსჰედი 2:2, მენსფილდი-ჰისტონი 1:0, ნიუპორტი-რაშდენი 1:3, ტემუორთი-დარლინგტონი 1:1, იორკი-ფორესტ გრინი 2:1.

SERIE A **იტალია**

სერია A XXI ტური

# ინტერი მიწაზე დაეშვა

## პელეგრინო საკუთარ მეკარეს არ ინდობს

„ინტერი" დაფრინავსო, მეოცე ტურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და ამჯერად იმის თქმა გვიწევს, რომ „ინტერი" მიწაზე დაეშვა. დიახ, ლომბარდიულმა გრანდმა მარცხი განიცადა და თანაც, სრულიად დამსახურებული თუმცა სანამ „ნერაძურიზე" ვიტყოდეთ, იქამდე შაბათის თამაში მიმოვიხილოთ.

შაბათს გამართული სამი შეხვედრიდან „რომას" პაექრობაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. დედაქალაქურმა გუნდმა საკუთარ მოედანზე „კალიარი" მიიღო და მეტოქე დამაჯერებელი ანგარიშით, 3-0 დაამარცხა. როგორც ჩანს, იტალიის თასის მერვედფინალურ ეტაპზე „ლაციოს" დამარცხება „რომასთვის" დიდი სტიმული აღმოჩნდა, რადგან გუნდმა აღმაფრენით ჩაატარა თამაში და კერკეტ მეტოქეს უპრობლემოდ გაუსწორდა. ანგარიში პირველი ტაიმის შუაწელს გაიხსნა, მეტოქის საჯარიმოში შეჭრილ **დანიელე დე როსის** სარდინიელმა მცველმა მაისურზე დაქაჩა და მატჩის არბიტრმა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა – ბურთთან **ფრანჩესკო ტოტი** მივიდა და დარტყმა უზადოდ შეასრულა. პირველ ტაიმში მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე აკლდათ.

მეორე ტაიმში „კალიარის" მთავარმა მწვრთნელმა ვითარების გამოსწორება სცადა, ყველასათვის მოულოდნელად სათადარიგოთა სკამზე დატოვებული **მატრი** ბრძოლაში ჩართო, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა – სარდინიელთა ლიდერმა და მთავარმეგოლემ ერთ-ერთი ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში. შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი, როდესაც ინტრიგა საბოლოოდ მოკვდა: რომაელთა მასირებული იერიში სახიფათო დარტყმით დასრულდა – მეკარისგან უკუგდებულ ბურთს დამატებაზე **სიმონე პეროტამ** მიუსწრო და სეზონში მეორე გოლი მიითვალა აქტივში. შეხვედრის საბოლოო რეზულტატი **ჟერემი მენეზმა** დააფიქსირა: მცველს და მეკარეს ოსტატურად აუარა გვერდი და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ამგვარად, „რომამ" 38 ქულას მოუყარა თავი და მესამე პოზიციაზე მოკალათდა.



დი ნატალეს საგოლე გასროლა

კვირის მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს „უდინეზესა" და „ინტერის" დაპირისპირება იწვევდა. უდინური კლუბი საკმაოდ კარგ ფორმაშია და იყო ვარაუდი, რომ **ლეონარდოს** თავკაცობით „ნერაძური" პირველად დაკარგავდა ქულებს. ასე აგიხდეთ ყველაფერი, ლომბარდიელებმა სამივე ქულა ფრიულიში დატოვეს და მილანში ხელმოცარულნი დაბრუნდნენ. არადა, ანგარიში სწორედ სტუმრებმა გახსნეს და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლეონარდო მორიგ გამარჯვებას იზეიმებდა. სხვაგვარად ფიქრობდნენ მასპინძლები და ვითარება მალევე გამოასწორეს. 21-ე წუთზე, მარცხენა ფრთიდან მეტოქის საჯარიმოში **საპატა** შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით **კასტელაცის** კარის ცხრიანი დალაშქრა. სულ მალე მასპინძლები წინ გავიდნენ, **ანტონიო დი ნატალემ** საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა და გულშემატკივრები აღტაცებაში მოიყვანა. წესით, უნდა გააქტიურებულიყვნენ მილანელები და თამაშიც მთლიანად მასპინძელთა ნახევარზე გადასულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. თანაბარ პაექრობაში მომენტები ორივე კართან შეიქმნა, კიდევ ერთი გოლი კი მილანელთა კარში გავიდა და შეხვედრის საფინალო რეზულტატი დაფიქსირდა: თავი უკანახაზელმა **დომიციმ** გამოიჩინა, რომელიც სტანდარტული ეპიზოდისას ჩავიდა სტუმართა საჯარიმოში და დასწრებაზე ყველას აჯობა. ნამატჩევს ლეონარდომ იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა, რომ მთელი სეზონი წაუგებლად ვერც ერთი გუნდი ვერ ითამაშებს: *„კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები, რადგან დავმარცხდით, მაგრამ არც ტრაგედიის შექმნის საბაბი გვაქვს. მოგებათა სერიას ყოველთვის მოსდევს მარცხი, მთავარია, რომ მალე მოვიდეთ გონს და რეაბილიტაცია უკვე მომდევნო პაექრობაში მოვახდინოთ. „უდონეზემ" პირველ რიგში სისწრაფეში გვაჯობა და ეს დამაფიქრებელი გახლავთ. მეტოქე მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და დამსახურებულად გაიმარჯვა".*

„ლაციოს" პრობლემები აქვს და „ბოლონიასთან" პაექრობაში ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. ფაქტია, რომ **ედუარდო რეიას** გუნდი ისე ვერ ბრწყინავს, როგორც სეზონის პირველ ეტაპზე და ეს სატურნირო ცხრილზეც აისახა. „ბიანკოჩელესტე" უკვე მეოთხე ადგილზეა და თუ ასე გააგრძელა, მალე ჩემპიონთა ლიგის ზონასაც დატოვებს. არადა, თამაში რომაელთათვის შესანიშნავად დაიწყო – **სერჯო ფლოკარიმ** ანგარიში მეხუთე წუთზე გახსნა, თუმცა „უდინეზესი" არ იყოს, „ბოლონიამაც" შემოატრიალა თამაშის სურათი და მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა.

გაიმარჯვა „ნაპოლიმ" და მეორე ადგილზე ერთპიროვნულად მოკალათდა. სამხრეთელებმა „ბარი" დაამარცხეს მისსავე მოედანზე და კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ მიმდინარე სეზონში უმაღლესი მიზნები აქვთ. დღეს ძნელია იმაზე საუბარი, სად გადის ნეაპოლელთა შესაძლებლობების ზღვარი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროისთვის გუნდი სასკუდეტო მარათონშია ჩაბმული. ერთი გოლი **ესეკილ ლავეციმ** გაუტანა „ბარის", მეორე **ედინსონ კავანიმ** და საქმეც ამით მოთავდა.

ბევრი იწვალეს „სამპდორიამ" და „იუვენტუსმა", საბოლოოდ კი უგულო ფრეზე გაიყარნენ. **ლუიჯი დელ ნერი** რომ რთულ მდგომარეობაშია, „იუვეს" სათამაშო ტაქტიკიდან ნათლად გამოჩნდა – ტურინელები 4-5-1-ით დაუპირისპირდნენ გენუელებს და რა გასაკვირია, რომ შეტევაში ბევრი ვერაფერი შექმნეს. მით უმეტეს, შეტევის წინა ხაზზე მხოლოდ **კარვალიო ამაური** ირჯებოდა – ფორვარდი, რომელსაც ვგონებთ, თვითონაც არ ახსოვს ბოლოს როდის გაიტანა გოლი. მასპინძლებმაც პირველ რიგში დაცვის საიმედოობაზე გააკეთეს აქცენტი და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ, 0:0.

„მილანის" პაექრობაზე მოსაყოლი ბევრი არაფერია. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა დიდი უპირატესობით წარმართა „ჩეზენასთან" პაექრობა, ორი ბურთის სხვაობით დაამარცხა მეტოქე და პოზიციები საგრძნობლად გაიმყარა. „ინტერის" მარცხის ფონზე, „როსონერის" წარმატებას განსაკუთრებული ფასი აქვს – **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ცხრა ქულით უსწრებს თანაქალაქელს და მართალია, „ინტერს" ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, სულ რომ მოიგოს, უპირატესობა მაინც სოლიდური იქნება. თავისი გოლი გაიტანა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, რიგით მეორე და რაც შეეხება პირველს, ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა გახლავთ – საკუთარი კარი ჩეზენელთა მცველმა **პელეგრინომ** დალაშქრა. შეგახსენებთ, რომ ეს ის პელეგრინოა, ვინც „რომასთან" შეხვედრაშიც დაამწუხრა საკუთარი მეტოქე და დედაქალაქელებს სახლში სამი ქულა გაატანა. მოკლედ, ჩეზენელებს საკუთარი მცველი აშკარად ამოსაკეტი ჰყავთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

**მომდევნო ტური**

29 იანვარი: ლაციო-ფიორენტინა, კატანია-მილანი. 30 იანვარი: **ბრეშა-კიევო, ბოლონია-რომა, კალიარი-ბარი, ჯენოა-პარმა, ინტერი-პალერმო, ლეჩე-ჩეზენა, ნაპოლი-სამპდორია, იუვენტუსი-უდინეზე.**

**ჰოლანდია**

### ერედივიზიონი. XX ტური

**დენ ჰააგი-ჰეერენვენი 3:1**
**გოლები:** 1:0 ბურჯსი (12), 2:0 ვისენტო (52), 2:1 დოსტი (76), 3:1 იმერსი (77).

**ჰერაკლესი-ალკმაარი 0:0**

**ნიიმეგენი-ბრედა 2:2**
**გოლები:** 1:0 ვლემინცკი (39), 1:1 გუდელი (77), 2:1 გუსენსი (79), 2:2 პლუიმი (90).

**ვილემი-ვიტესი 1:0**
**გოლი:** 1:0 იანგა (26).

**ფეიენოორდი-დე გრააფსხაპი 0:1**
**გოლი:** 0:1 ბროეკჰოფი (88).

**უტრეხტი-აიაქსი 3:0**
**გოლები:** 1:0 დუპლანი (22), 2:0 დუპლანი (24), 3:0 ვოსტერმანსი (83).

**გრონინგენი-ტვენტე 1:2**
**გოლები:** 1:0 მატავცი (33), 1:1 იანკო (40), 1:2 იანკო (81).

**როდა-ექსელსიორი 3:0**
**გოლები:** 1:0 ჰემპტე (13), 2:0 ჯაპი (28), 3:0 სკუბო (84).

**ვენლო-პსვ 0:3**
**გოლები:** 0:1 ბოუმა (14), 0:2 ლენსი (45), 0:3 ჰატჩინსონი (43).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 20 | 13 | 5 | 2 | 56-19 | 44 |
| 2. ტვენტე | 20 | 13 | 4 | 3 | 42-22 | 43 |
| 3. აიაქსი | 20 | 11 | 5 | 4 | 39-20 | 38 |
| 4. გრონინგენი | 20 | 11 | 4 | 5 | 38-26 | 37 |
| 5. როდა | 20 | 9 | 8 | 3 | 35-24 | 35 |
| 6. ალკმაარი | 20 | 9 | 7 | 4 | 27-20 | 34 |
| 7. უტრეხტი | 20 | 10 | 2 | 8 | 35-27 | 32 |
| 8. დენ ჰააგი | 20 | 9 | 5 | 6 | 34-31 | 32 |
| 9. ჰეერენვენი | 20 | 8 | 6 | 6 | 41-29 | 30 |
| 10. ბრედა | 20 | 9 | 4 | 7 | 31-30 | 30 |
| 11. ნიიმეგენი | 20 | 6 | 7 | 7 | 35-37 | 25 |
| 12. დე გრააფსხაპი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-37 | 24 |
| 13. ჰერაკლესი | 20 | 5 | 5 | 10 | 30-39 | 20 |
| 14. ფეიენოორდი | 20 | 5 | 5 | 10 | 23-36 | 20 |
| 15. ვიტესი | 20 | 4 | 6 | 10 | 21-34 | 18 |
| 16. ექსელსიორი | 20 | 4 | 4 | 12 | 22-39 | 16 |
| 17. ვენლო | 20 | 3 | 1 | 16 | 18-45 | 10 |
| 18. ვილემი | 20 | 1 | 4 | 15 | 17-51 | 7 |

**ბომბარდირები:** 16 - ვლემინცკი (ნიიმეგენი); 12 – იანკო (ტვენტე); 11 - ტოივონენი (პსვ), ვან ვოლვსვინკელი (უტრეხტი), ბულიკინი (დე ჰააგი), ელ ჰამდაუი (აიაქსი)

**პალერმო-ბრეშა 1:0**

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ – კასანი, მუნოზი, ბოვო, ბალცარეტი – მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო – პასტორე, ილიჩიჩი – მიკოლი.
**ბრეშა (4-3-3):** არკარი - ბერარდი, მარეკო, ძებინა, ვიდალი (56. ძამბელი) – ფილიპინი (89. ტადეი), კორდოვა, კონე – პოსანცინი (65. ჰეტემაი), ლანცაფამე, კარაჩოლო.
**გოლი:** 1:0 ბოვო (86).
**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 19-1; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 19(8)-3(1); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.
**მაყურებელი:** 26 000

**პარმა-კატანია 2:0**

**პარმა (4-3-3):** მირანტე - ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – ჯემაილი (39. მორონე), ვალიანი, კანდრევა - ანჯელო, კრესპო (87. გალოპა), ჯოვინკო (72. პალადინო).
**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი – სპოლი, სილვესტრი (84. ბელუში), ალვარესი, კაპუანო – გომესი, შაკა, ლედესმა – რიკიუტი (67. ანტენუჩი) – მაქსი ლოპესი, მასკარა.
**გოლები:** 1:0 კანდრევა (57), 2:0 ჯოვინკო (61).
**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 9(2)-13(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 16 000

**რომა-კალიარი 3:0**

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ჟუანი, მექსე, რიისე - დე როსი, ტადეი, პეროტა – სიმპლისიო – ტოტი (90. ბრიგი), ბორიელო (67. ვუჩინიჩი).
**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი (79. ლანერი) – ნენე (66. მატრი) – აკვაფრესკა (90. რაგაცუ), კოსუ.
**გოლები:** 1:0 ტოტი (22-პენ.), 2:0 პეროტა (70), 3:0 მენეზი (90).
**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10(8)-12(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 40 000

**უდინეზე-ინტერი 3:1**

**უდინეზე (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი - დომიცი, ზაპატა, ბენეტია - ისლა, ინლერი, ასამოა, პინცი – არმერო - დი ნატალე (88. დენისი), სანჩესი.
**ინტერი (4-3-1-2):** კასტელაცი - მაიკონი, კორდობა, ლუსიო, კივუ (90. სანტონი) - ძანეტი, კამბიასო, მოტა (71. ბიაბიანი) - სტანკოვიჩი - ეტოო, პანდევი.
**გოლები:** 0:1 სტანკოვიჩი (17), 1:1 ზაპატა (21), 2:1 დი ნატალე (25), 3:1 დომიცი (69).
**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 10-19; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 12(7)-11(6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.
**მაყურებელი:** 30 000

**ბარი-ნაპოლი 0:2**

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, ბელმონტე, რაჯი, პარიზი – ალვარესი, გაცი, გლიკი, პულცეტი (46. ოკაკა ჩუკა) – რუდოლფი (78. რივასი), კუტუზოვი (46. ალმირონი).
**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - არონიკა, კანავარო, ცუნიგა - მაჯო, გარგანო (82. სოსა), პაციენცა, კამპანიარო – ჰამშიკი (63. იებდა), ლავეცი (89. დუმიტრუ) - კავანი.
**გოლები:** 0:1 ლავეცი (38), 0:2 კავანი (87).
**გაძევება:** პარიზი (67).
**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 5(1)-10(3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 22 000

**ბოლონია-ლაციო 3:1**

**ბოლონია (4-3-3):** ვივიანო - პორტანოვა, ბრიტოსი, მორასი, რუბინი – პერესი, მუდინგაი (90. მუტარელი), დელა როკა (74. კაზარინი) – ექდალი, დი ვაიო, რამირესი (86. მეგნი).
**ლაციო (4-3-1-2):** მუსლერა – სკალონი, დიასი, ბიავა (77. კოზაკი), რადუ – ლედესმა (53. გონსალესი), ბროკი, მაური – ერნანესი – სკული (40. სარატე), ფლოკარი.
**გოლები:** 0:1 ფლოკარი (5), 1:1 რამირესი (36), 2:1 დი ვაიო (39), 3:1 დი ვაიო (90).
**გაძევება:** დიასი (85).
**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18(4)-12(6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 20 000

**კიევო-ჯენოა 0:0**

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - ფრეი, მანდელი, ცეზარი, მანტოვანი - ფერნანდესი, რიგონი, ბოლიაჩინო (71. ანდრეოლი) – კონსტანტი (79. სარდო) - პელისიერი, თერეუ (58. მოსკარდელი).
**ჯენოა (4-3-1-2):** ედუარდო – მესტო (82. დესტრო), მორეტი (64. კიკო), კალაძე, კრიშიტო – კუჩკა, მილანეტო, როსი – რაფინია – ფლორო ფლორესი (67. იანკოვიჩი), პალასიო.
**გაძევება:** ცეზარი (68).
**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9(1)-12(2); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.
**მაყურებელი:** 11 000

**ფიორენტინა-ლეჩე 1:1**

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი – მონტოლივო (74. ჩერჩი), სანტანა, დონადელი – დაგოსტინო (85. ბოლატი), ლიაჯიჩი (82. ბაბაქარი), ჯილარდინო.
**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი – ტომოვიჩი, გუსტავო, ფაბიანო, ბრივიო – ჯაკომაცი (90. გროსმიულერი), მუნარი, ოლივერა – ვივესი – ჯედა (90. ფერარიო), დი მიკელე (90. კორვია).
**გოლები:** 0:1 დი მიკელე (29), 1:1 ჯილარდინო (56).
**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 8-20; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 11(6)-8(4); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.
**მაყურებელი:** 25 000

**სამპდორია-იუვენტუსი 0:0**

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი - ძაური, ვოლტა, ლუკინი, ციგლერი - პალომბო, მანინი, პოლი, გუბერტი - პაცინი, მაკედა.
**იუვენტუსი (4-5-1):** ბუფონი – მოტა, ბონუჩი, კიელინი, ტრაორე (6. გროსო) – კრასიჩი (56. დელ პიერო), სისოკო, აკვილანი (84. მარტინესი), ფეპე, მარკიზიო – მატრი.
**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-27; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 5(0)-13(3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 30 000

**მილანი-ჩეზენა 2:0**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – იეპესი, ნესტა (23. პაპასტატოპულოსი), ტიაგო სილვა, ანტონინი – აბატე, ამბროზინი, მერკელი – რობინიო – კასანო (84. პატო), იბრაჰიმოვიჩი.
**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი – დელაფიორე (79. ბენალუოანე), პელეგრინო, ფონ ბერგენი, ჩეკარელი - პაროლო, კოლუჩი, კაზერტა – შელოტო (53. ბოგდანი), მალონგა – ბუდანი (53. სამარკო).
**გოლები:** 1:0 პელეგრინო (45-საკ. კარში), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (90).
**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 16(6)-6(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 21 | 13 | 5 | 3 | 37-18 | 44 |
| 2. ნაპოლი | 21 | 12 | 4 | 5 | 32-20 | 40 |
| 3. რომა | 21 | 11 | 5 | 5 | 31-24 | 38 |
| 4. ლაციო | 21 | 11 | 4 | 6 | 27-21 | 37 |
| 5. ინტერი | 20 | 10 | 5 | 5 | 33-22 | 35 |
| 6. იუვენტუსი | 21 | 9 | 8 | 4 | 35-25 | 35 |
| 7. პალერმო | 21 | 10 | 4 | 7 | 34-25 | 34 |
| 8. უდინეზე | 21 | 10 | 3 | 8 | 34-28 | 33 |
| 9. სამპდორია | 20 | 6 | 9 | 5 | 20-18 | 27 |
| 10. კალიარი | 21 | 7 | 5 | 9 | 24-22 | 26 |
| 11. ფიორენტინა | 20 | 6 | 7 | 7 | 21-21 | 25 |
| 12. პარმა | 21 | 6 | 7 | 8 | 21-25 | 25 |
| 13. ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 23-29 | 25 |
| 14. კიევო | 21 | 5 | 9 | 7 | 20-22 | 24 |
| 15. ჯენოა | 20 | 6 | 6 | 8 | 15-19 | 24 |
| 16. კატანია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-27 | 22 |
| 17. ლეჩე | 21 | 5 | 5 | 11 | 20-38 | 20 |
| 18. ჩეზენა | 21 | 5 | 4 | 12 | 15-27 | 19 |
| 19. ბრეშა | 21 | 5 | 3 | 13 | 17-27 | 18 |
| 20. ბარი | 21 | 4 | 5 | 12 | 13-32 | 14 |

ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა

**ბომბარდირები:** 14 – დი ნატალე; 13 - კავანი (ნაპოლი); 12 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ეტოო (ინტერი); 11 - დი ვაიო (ბოლონია).

**სერია B**

**XXIII ტური**

**ლივორნო-ალბინოლეფე 1:2**
**გოლები:** 1:0 ტავანო (9), 1:1 მომენტე (21), 1:2 გროსი (44).

**ატალანტა-ვარეზე 0:0**

**ფროზინონე-პიაჩენცა 1:1**
**გოლები:** 1:0 ლოდი (12), 1:1 ანედერიო (45).

**გროსეტო-სასუოლო 1:0**
**გოლი:** 1:0 კარიდი (36).

**მოდენა-ასკოლი 0:0**

**პადოვა-კროტონე 1:0**
**გოლი:** 1:0 ვანტაჯატო (72).

**პორტოგრუარო-ვიჩენცა 1:0**
**გოლი:** 1:0 სკოცარელა (45).

**რეჯინა-სიენა 0:0**

**ტორინო-ჩიტადელა 1:1**
**გოლები:** 1:0 ბიანკი (26), 1:1 დამბროზიო (72-საკ. კარში).

**პესკარა-ემპოლი** გადაიდო

**ტრიესტინა-ნოვარა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიენა | 23 | 12 | 8 | 3 | 37-21 | 44 |
| 2. ატალანტა | 23 | 13 | 5 | 5 | 30-18 | 44 |
| 3. ნოვარა | 22 | 12 | 7 | 3 | 41-18 | 43 |
| 4. ვარეზე | 23 | 10 | 9 | 4 | 27-15 | 39 |
| 5. ლივორნო | 22 | 9 | 7 | 6 | 31-23 | 34 |
| 6. რეჯინა | 23 | 9 | 7 | 7 | 26-23 | 34 |
| 7. ტორინო | 23 | 9 | 7 | 7 | 27-28 | 34 |
| 8. პადოვა | 22 | 8 | 8 | 6 | 33-25 | 32 |
| 9. პესკარა | 22 | 8 | 7 | 7 | 26-25 | 31 |
| 10. ვიჩენცა | 23 | 9 | 4 | 10 | 26-29 | 31 |
| 11. ემპოლი | 22 | 6 | 11 | 5 | 25-21 | 29 |
| 12. კროტონე | 23 | 6 | 10 | 7 | 22-25 | 28 |
| 13. გროსეტო | 23 | 7 | 7 | 9 | 25-29 | 28 |
| 14. მოდენა | 23 | 6 | 10 | 7 | 24-30 | 28 |
| 15. ალბინოლეფე | 23 | 7 | 6 | 10 | 30-38 | 27 |
| 16. ჩიტადელა | 23 | 6 | 7 | 10 | 26-30 | 25 |
| 17. სასუოლო | 23 | 6 | 6 | 11 | 24-28 | 24 |
| 18. პიაჩენცა | 23 | 4 | 10 | 9 | 27-35 | 22 |
| 19. პორტოგრუარო | 23 | 5 | 7 | 11 | 21-36 | 22 |
| 20. ასკოლი | 23 | 6 | 8 | 9 | 22-29 | 21 |
| 21. ტრიესტინა | 22 | 4 | 9 | 9 | 17-28 | 21 |
| 22. ფროზინონე | 23 | 4 | 8 | 11 | 23-36 | 20 |

ასკოლის დაკლებული აქვს 5 ქულა

**ბომბარდირები:** 15 - სუჩი (პადოვა); 12 - კორალი (ემპოლი); 11 - ბერტანი (ნოვარა), კაჩა (პიაჩენცა); გონსალესი (ნოვარა); 10 - ბონაცოლი (რეჯინა), აბრუსკატო (ვიჩენცა);

**ლეგა პრო 1 A**

კომო-ალესანდრია 0:0, კრემონეზე-რავენა 1:0, გუბიო-სპეცია 2:1, ლუმეცანე-პერგოკრემა 1:1, მონცა-რეჯანა 0:0, პაგანეზე-სალერნიტანა 0:0, პავია-სპალ 1:0, სორენტო-ბასანო 0:1, სუდტიროლი-ვერონა 0:0.

**ლეგა პრო 1 B**

ბარლეტა-ნოჩერინა 1:2, ბენევენტო-ატლეტიკო 2:0, კავეზე-ჯელა 1:1, ფოლინო-ფოჯა 2:1, ლუკეზე-ანდრია 1:1, სირაკუზა-იუვე სტაბია 1:1, ტარანტო-კოზენცა 1:0, ლანჩანო-ვიარეჯო გადაიდო, პიზა-ტერნანა დღეს.

# რუსმა დორტმუნდი დასაჯა!

## ბაიერნი და შალკე აზრზე მოვიდნენ, ვერდერი სულს ღაფავს

ვინ წარმოიდგენდა, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" ქულებს მაინცდამაინც „შტუტგარტი" დააკარგვინებდა? რა თქმა უნდა, ვერავინ! ცხადია, „შტუტგარტი" ზოგადად არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი, მაგრამ ამ სეზონში ნაღდად ხელწამოსაკრავია - მით უმეტეს მაშინ, როცა სტუმრად თამაშობს. თვითონ განსაჯეთ: შვაბებს შაბათამდე გასვლით მატჩებში მხოლოდ ორი ქულა ჰქონდათ მოპოვებული. და რაკი **ბრუნო ლაბადიას** გუნდმა „ვესტფალენშტადიონიდან" ქულის წაღება შეძლო, რატომ ვერ უნდა მოახერხონ ამდაგვარი რაღაცები სხვა გუნდებმა? სწორედ ასეთი კითხვა გაუჩნდა საფეხბურთო გერმანიას ბუნდესლიგის მე-19 ტურის შემდეგ და ყველას იმედი მიეცა, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ნელ-ნელა ისევ დაიძაბება.

„შტუტგარტთან" ფრე (უნდა ითქვას, რომ შვაბებს გაუმართლათ) დორტმუნდელებისთვის წაგების ტოლფასი იყო, რაზეც „ბორუსიას" თავკაც **იურგენ კლოპის** მატჩის შემდგომი კომენტარიც ნათლად მეტყველებს - თუკი რომელიმე დორტმუნდელი დღეს იმედგაცრუებული არ არის, ესე იგი, მას თავში ყველაფერი წესრიგში ვერ აქვსო. კლოპი განსაკუთრებით უკმაყოფილო თავდამსხმელ **რობერტ ლევანდოვსკის** თამაშით იყო, რომელმაც რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, ანგარიშის გახსნა კი უკვე მე-3 წუთზე მართებდა. პოლონელმა თავდამსხმელმა 57-ე წუთზეც გააოგნა ყველა, ვინც თამაშს უყურებდა - ბურთი ცარიელ კარს დაახლოებით თერთმეტი მეტრიდან ააცილა. ლევანდოვსკი თანაგუნდელმა **მატს ჰუმელსმაც** გააკრიტიკა, 4-5 რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და რა გასაკვირია, რომ ბოლოს დავისაჯეთო. „ბორუსიას" დაცვის ბურჯმა წარუმატებლობა ლევანდოვსკის არაკონცენტრირებულობას დააბრალა. ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი იმას, რომ „ბორუსია", რომელიც სატურნირო ცხრილს არსებობის ისტორიაში მეასედ უდგას სათავეში, „შტუტგარტთან" ფრის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ანერვიულდა? ჰუმელსი და კომპანია BVB-ში „მონასტრის არევას" კატეგორიულად უარყოფენ.

შტუტგარტელებს კი, რომლებიც წესით, კმაყოფილები უნდა იყვნენ, რადგან მიმდინარე სეზონში საუკეთესო გასვლითი მატჩი ჩაატარეს, სულ სხვა პრობლემები აქვთ. მართალია, „ვესტფალენშტადიონიდან" თუნდაც ილბლიანი ქულის წაღება ბრუნო ლაბადიას გუნდისთვის დიდი პატივია, მაგრამ შვაბური კლუბი მაინც გასავარდნ ზონაში „ბანაობს". თუმცა შვაბებს ამ მატჩის შემდეგ იმედი გაუჩნდათ, რომ ფსკერიდან მალე ამოცურავენ. იმედის ნაპერწკალი კი რუსმა თავდამსხმელმა **პაველ პოგრებნიაკმა** გაალვივა - მან „ბორუსიას" კიპერ **რომან ვაიდენფელერს** ძალიან ეფექტური გოლი შეუგდო და ერთ-ერთია იმ 12 ბედნიერიდან, ვინც ამ სეზონში რომანის კარის დალაშქვრა შეძლო.

...17 წლის **იულიან დრაქსლერი** ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა შალკელი გახდა მათ შორის, ვისაც ძირითად შემადგენლობაში ოდესმე უთამაშია. მისი დებიუტი სასტარტო შემადგენლობის წევრის რანგში „ჰანოვერთან" გასვლით შეხვედრაში შედგა. „შალკემ" „ჰანოვერზე" შური იძია და 1:0 მოიგო, თამაშის შემდეგ კი გელზენკირხენელი ქომაგები იმ ფეხბურთელს ლოცავდნენ, რომელიც ახალგაზრდა დრაქსლერს თითქმის მამად ეკუთვნის - **რაულს** ვგულისხმობთ, რომლის გოლითაც „შალკემ" მეორეადგილოსანი დაამარცხა. 33 წლის ესპანელმა ახალგაზრდა თანაგუნდელების, სწორედ დრაქსლერისა და **ლუკას შმიტცის** კომბინაცია დააგვირგვინა და გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, რის გამოც თამაშის შემდეგ ქებით ყველამ ცაში აიყვანა. 64 კონტაქტი ბურთთან, ხუთი დარტყმა, ზუსტი პასების 92-პროცენტიანი მაჩვენებელი - რაული კი არ ბერდება, ახალგაზრდავდება! ეს გოლი რაულისთვის რიგით მე-10 იყო მიმდინარე სეზონში და უნდა აღინიშნოს, რომ გასვლით მატჩში პირველად იხეირა. გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** კი ამბობს, იმედი გამიჩნდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მომავალ სეზონში ევროტურნირების მიღმა არ დავრჩებითო.

რაც შეეხება „ჰანოვერს": „წითლების" მთავარ მწვრთნელ **მირკო სლომკას** თავისი ყოფილი გუნდი „შალკე" მანამდე ორჯერ ჰყავდა დამარცხებული და ახლა პირველად წააგო, თუმცა ჰანოვერში ამ მარცხის გამო ტრაგედიას არ ქმნიან. მით უმეტეს, რომ „წითლებს" ცუდად არ უთამაშიათ და მინიმუმ ქულა რომ ვერ გადაარჩინეს, ესეც „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერის** დამსახურებაა.

„ბაიერნმა" „კაიზერსლაუტერნი" 5:1 გაანადგურა და ეს რეკორდმაისტერისთვის მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული თამაში გახლდათ. შესაბამისად, მატჩის შემდეგ მიუნხენში ყველა ბედნიერი იყო, გარდა გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალისა!** ჰოლანდიელი პირველ რიგში პრეზიდენტ **ული ჰოინესს** შემოსწყრა, რომელმაც მატჩის წინ ვან გაალი ისევ გააკრიტიკა (გაზეთ „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში). ჰოლანდიელმა თქვა, ბოსებთან ხომ შევთანხმდი, რომ სათქმელს მხოლოდ პირადად მეტყვიან და ჟურნალისტებთან ლაყბობას არ დაიწყებენ, ჰოინესმა კი ეს შეთანხმება დაარღვიაო. ლუისი ფანების რეაქციითაც უკმაყოფილო იყო. „ბაიერნი" პირველ ტაიმში ძალიან ცუდად თამაშობდა, რის გამოც „ალიანს არენას" ტრიბუნებიდან მხოლოდ სტვენა ისმოდა და როცა **მარიო გომესმა** ანგარიში 2:0 გახადა, ვან გაალი ტრიბუნებისკენ შებრუნდა და ფანებს ჟესტიკულაციებით ეკითხებოდა, რას გვერჩითო. და ლუისმა გომესიც გააკრიტიკა - მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. ჰოლანდიელი მთლად მტყუანი არ არის: თვითონ განსაჯეთ, მარიომ პირველ ტაიმში ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა, რის გამოც ვან გაალმა მატჩის შემდეგ თქვა, იმ გოლის გატანა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მე-80 და 84-ე წუთებზე გატანილი გოლებიო.

ერთადერთი, ვინც „ბაიერნში" კრიტიკის ღირსი არ იყო, **არიენ რობენი** გახლდათ, რომელმაც ამ სეზონში პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. გარდა ჩვეული თამაშისა, საგოლე პასისა და ბევრი ლამაზი სოლორეიდისა, ჰოლანდიელმა დრიბლიორმა გოლიც გაიტანა და ეს იყო რობენის პირველი გოლი ბუნდესლიგაში 8 მაისის შემდეგ.

„მაინცი" პირველ წრეში დაფრინავდა და თუ გახსოვთ, ვოლფსბურგში 4:3 მოიგო. ახლა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, კარნავალელები ნელ-ნელა იქით მიდიან, სადაც მათი ადგილია და აი, შაბათსაც დამარცხდნენ - საკუთარ „ბრუხვეგშტადიონზე", ედინ ჯეკოს გარეშე დარჩენილ „ვოლფსბურგთან" 0:1. ამ მოგებით „მგლების" დამრიგებელი **სტივ მაკლარენი** თანამდებობიდან გათავისუფლებას გადაურჩა და უფრო მეტიც: დიდი შანსია, რომ ამ კვირაში მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** მას „კაიზერსლაუტერნის" გოლეადორი **სრდიან ლაკიჩი** უყიდოს. „ბილდის" ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლაკიჩი „ვოლფსბურგში" გადავა.

შაბათსვე, „ფრაიბურგმა" და „ნიურნბერგმა" ქულები გაიყვეს. „ფრაი" ფავორიტი იყო, მაგრამ იმდენი საკადრო პრობლემა ჰქონდა, რომ მთავარმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** „ნიურნბერგთან" ფრე სულაც წარმატებად მიიჩნია. შაბათს საღამოს კი, „კიოლნმა" ბრემენის „ვერდერი" გაამწარა (3:0). შეგვიძლია ვთქვათ, რომ „თხები" აზრზე მოვიდნენ, „მუსიკოსებს" კი ძალიან ცუდად აქვთ საქმე. არ გჯერათ? გადახედეთ სატურნირო ცხრილს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომავალი ტური

28 იანვარი. ლევერკუზენი-ჰანოვერი. 29 იანვარი. შალკე-ჰოფენჰაიმი, ვერდერი-ბაიერნი, ვოლფსბურგი-ბორუსია (დ), ნიურნბერგი-ჰამბურგი, ზტ. პაული-კიოლნი, კაიზერსლაუტერნი-მაინცი. 30 იანვარი. შტუტგარტი-ფრაიბურგი, აინტრახტი-ბორუსია (მ).




დორტმუნდი-შტუტგარტი 1:1. სვენ შიპლოკისა და ანტონიო და სილვას ორთაბრძოლა

### ჰამბურგი–აინტრახტი 1:0

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი - დემელი, კაჩარი (35. რინკონი), ვესტერმანი, აოგო - ტროხოვსკი, ზე რობერტო - პიტროიპა (46. პეტრიჩი), ელია (89. ტეშე) - ბენ-ჰატირა, ვან ნისტელროი.

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი - ს. იუნგი, როდე, კლერკი, პეტკოვიჩი (81. კიტელი) - ა. მაიერი (33. კაიო), კიოლერი - ოხსი, ჰალილ ალთინთოფი, ფენინი (73. მ. ჰელერი) - გეკასი.

**გოლი:** 1:0 პეტრიჩი (65)

**გაფრთხილება:** არავინ

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 9(4)-6(1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 50 239

### ბაიერნი–კაიზერსლაუტერნი 5:1

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი, პრანიჩი - ვან ბომელი, ლუის გუსტავო (86. ბრენო) - რობენი (74. ჰამით ალთინთოფი), შვაინშტაიგერი, თ. მიულერი - გომესი.

**კაიზერსლაუტერნი (4-1-4-1):** ზიპელი - დიკი, ამედიკი, როდნი, ბუგერა (76. იესენი) - პეცოსი (66. ამრი) - კირხი, ტიფერტი, მორავეკი (66. ჰოფერი), ილიჩევიჩი - ნემეცი.

**გოლები:** 1:0 რობენი (45+1), 2:0 გომესი (46), 2:1 მორავეკი (62), 3:1 გომესი (80), 4:1 გომესი (84), 5:1 თ. მიულერი (91)

**გაფრთხილება:** კირხი, ტიფერტი, ბუგერა

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 8-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 19(9)-13(6); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 69 000

### ბორუსია (დ)–შტუტგარტი 1:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - და სილვა, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (64. ბარიოსი), გიოტცე, გროსკროიტცი (86. ფოილნერი) - ლევანდოვსკი (90. შტიპერმანი).

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი - ფუნკი, ტასკი, დელპიერი (64. ნიდერმაიერი), მოლინარო - ტრეში, კუზმანოვიჩი - გენტნერი, ბოკა (46. გებჰარდტი) - შიპლოკი (70. ჰარნიკი), პოგრებნიაკი.

**გოლები:** 1:0 გიოტცე (43), 1:1 პოგრებნიაკი (84)

**გაფრთხილება:** შიპლოკი, პოგრებნიაკი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 9-8; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 18(7)-7(3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 80 720

### მაინცი–ვოლფსბურგი 0:1

**მაინცი (4-2-2-2):** ჰ. მიულერი - ზაბავნიკი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფუხსი - ფათი (84. ივანშიტცი), სოტო (16. პოლანსკი) - რისსე, შიურლე - შალაი, ალაგუი (64. ჰოლტბი).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - რიტერი (34. პეკარიკი), კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - ჟოსუე, ჩიგერჩი (74. კალენბერგი) - დეჟაგა, დიეგო (88. მადლუნგი), მანჯუკიჩი - გრაფიტე.

**გოლი:** 0:1 კიაერი (82)

**გაფრთხილება:** პოლანსკი - ა. ფრიდრიხი

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14(3)-8(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 900

### ფრაიბურგი–ნიურნბერგი 1:1

**ფრაიბურგი (4-1-2-2-1):** ბაუმანი - მუიჯა, ბართი, ბუტშერი, ბასტიანსი - მაკიადი - პუცილა, ფლუმი (68. შმიდი) - როზენტალი (88. ბექთასი), იენდრიშეკი (63. იანო) - კალიჯური.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - იუდტი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა - სიმონსი, კოენი (55. ოკოტი) - ჰეგელერი (55. ხანდლერი), ექიჩი, აიგლერი (87. მაკი) - შიბერი.

**გოლები:** 1:0 ფლუმი (32), 1:1 შიბერი (56)

**გაფრთხილება:** ექიჩი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 6(2)-11(2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

### ჰანოვერი–შალკე 0:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი, პინტუ (82. შტოპელკამპი) - შლაუდრაფი (13. შტინდლი), რაუში - ია კონანი, აბდელაუ.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - მორიტცი, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - კლუგე, რაკიტიჩი (85. პაპადოპულოსი) - ფარფანი, დრაქსლერი (58. პანდერი) - რაული, ჰუნტელაარი (89. ედუ).

**გოლი:** 0:1 რაული (33)

**გაფრთხილება:** შტინდლი - შმიტცი, ნოიერი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 11(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 49 000

### კიოლნი–ვერდერი 3:0

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ანდრეზინიო, ჟერომელი, აიხნერი, ერეთი - ლანიგი, მატუშიკი - პეშკო (85. მაკენა), პოდოლსკი (88. იაბო), კლემენსი (88. იალსინი) - ნოვაკოვიჩი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, პასანენი, სილვესტრი - ფრინგსი - ბარგფრედე, კროოსი (39. მარინი) - ჰანტი (75. ვაგნერი) - პისარო, არნაუტოვიჩი (56. ავდიჩი).

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (6), 2:0 მატუშიკი (33), 3:0 პოდოლსკი (84)

**გაფრთხილება:** ჟერომელი, ლანიგი, მატუშიკი - არნაუტოვიჩი, ვიზე

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 11-25; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 11(5)-3(1); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 45 100

### ბორუსია (მ)–ლევერკუზენი 1:3

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ჰაიმეროთი - ნორდტვეიტი, შტრანცლი, დანტე, დემსი - მარქსი (73. ჰერმანი), [illegible] (86. [illegible]) - რეუსი, იდრისუ - ჰანკე, დე კამარგო (58. მატმური).

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - შვააბი, რაინარტცი, ჰიიპია, კადლეცი - ვიდალი, როლფესი - სემი (56. ბალაკი), რენატო, კასტრო (94. ბალიტში) - კისლინგი (74. დერდიოკი).

**გოლები:** 0:1 კადლეცი (37), 0:2 კასტრო (45), 1:2 შტრანცლი (65), 1:3 კასტრო (73)

**გაფრთხილება:** მატმური - ადლერი

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 16(6)-8(4); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 36 696

### ჰოფენჰაიმი–ზტ. პაული 2:2

**ჰოფენჰაიმი (4-3-2-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, იბერტსბერგერი - ვაისი (80. მლაპა), რუდი (68. სიგურდსონი), სალიჰოვიჩი - ვუკჩევიჩი (91. თომალა), ალაბა - იბიშევიჩი.

**ზტ. პაული (4-2-3-1):** კესლერი - თორანდტი, სამბრანო, გიუნეში, ოშიპკა - ბოლი, მ. ლემანი - მ. კრუსე (77. ნაკი)), ტაკი (86. სუკუტა-პასუ), ბარტელსი - ასამოა (84. ჰენინგსი).

**გოლები:** 1:0 კომპერი (29), 1:1 მ. კრუსე (51), 1:2 ასამოა (81), 2:2 ალაბა (90)

**გაფრთხილება:** სალიჰოვიჩი - თორანდტი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 25-16; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 10(4)-14(5); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 29 300

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 19 | 15 | 2 | 2 | 43-12 | 47 |
| 2. ლევერკუზენი | 19 | 10 | 6 | 3 | 39-29 | 36 |
| 3. ჰანოვერი | 19 | 11 | 1 | 7 | 28-28 | 34 |
| 4. ბაიერნი | 19 | 9 | 6 | 4 | 37-22 | 33 |
| 5. მაინცი | 19 | 11 | 0 | 8 | 30-21 | 33 |
| 6. ჰამბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-28 | 30 |
| 7. ფრაიბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 28-28 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 19 | 6 | 8 | 5 | 35-26 | 26 |
| 9. აინტრახტი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-25 | 26 |
| 10. შალკე | 19 | 7 | 4 | 8 | 26-25 | 25 |
| 11. ვოლფსბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 26-26 | 23 |
| 12. ნიურნბერგი | 19 | 6 | 5 | 8 | 23-30 | 23 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 19 | 6 | 4 | 9 | 29-33 | 22 |
| 14. ვერდერი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-39 | 22 |
| 15. კიოლნი | 19 | 5 | 4 | 10 | 22-34 | 19 |
| 16. ზტ. პაული | 19 | 5 | 4 | 10 | 20-34 | 19 |
| 17. შტუტგარტი | 19 | 4 | 4 | 11 | 34-36 | 16 |
| 18. ბორუსია (მ) | 19 | 3 | 4 | 12 | 28-50 | 13 |

**ბომბარდირები:** 15 - გომესი (ბაიერნი), სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - რაული (შალკე), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

### XIX ტური

**პადერბორნი-აუგსბურგი 1:1**

**გოლები:** 0:1 თურკი (10), 1:0 მორი (32)

**ოსნაბრიუკი-მიუნხენ 1860 0:1**

**გოლი:** 0:1 ფოლანდი (55)

**ინგოლშტადტი-დუისბურგი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბუდლე (76), 1:1 შაჰანი (86)

**კოტბუსი-არმინია 2:1**

**გოლები:** 1:0 კრუშკა (12-პენ), 1:1 ბოლმანი (62), 2:1 პეტერსენი (79-პენ)

**ალემანია-კარლსრუე 4:2**

**გოლები:** 1:0 შტიბერი (5), 1:1 შტაფელდტი (19), 2:1 აუერი (22), 3:1 არსლანი (26), 3:2 კრებსი (65), 4:2 რადუ (89)

**ჰერტა-ფორტუნა 4:2**

**გოლები:** 0:1 ლამბერტცი (21), 1:1 რამოსი (29), 2:1 რუკავიცა (51), 2:2 ლამბერტცი (68), 3:2 ლასოგა (76), 4:2 რამოსი (93)

**ფიურტი-უნიონი 1:0**

**გოლი:** 1:0 კლაუსი (76)

**ფრანკფურტი-ობერჰაუზენი 4:0**

**გოლები:** 1:0 მიოლდერსი (19), 2:0 ფილინგერი (51), 3:0 მიოლდერსი (55), 4:0 მიოლდერსი (59)

**ბოხუმი-აუე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 19 | 12 | 3 | 4 | 32-16 | 39 |
| 2. აუგსბურგი | 19 | 11 | 4 | 4 | 37-17 | 37 |
| 3. დუისბურგი | 19 | 10 | 4 | 5 | 33-18 | 34 |
| 4. ფიურტი | 19 | 10 | 4 | 5 | 27-15 | 34 |
| 5. კოტბუსი | 19 | 10 | 4 | 5 | 38-27 | 34 |
| 6. აუე | 17 | 10 | 4 | 3 | 20-18 | 34 |
| 7. ფრანკფურტი | 18 | 10 | 2 | 6 | 30-19 | 32 |
| 8. ბოხუმი | 18 | 10 | 1 | 7 | 24-22 | 31 |
| 9. მიუნხენ 1860 | 19 | 8 | 6 | 5 | 24-20 | 28 |
| 10. ალემანია | 19 | 7 | 6 | 6 | 30-28 | 27 |
| 11. ფორტუნა | 19 | 8 | 1 | 10 | 19-23 | 25 |
| 12. უნიონი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-24 | 22 |
| 13. პადერბორნი | 19 | 6 | 4 | 9 | 17-24 | 22 |
| 14. ოსნაბრიუკი | 19 | 5 | 3 | 11 | 26-36 | 18 |
| 15. ობერჰაუზენი | 19 | 5 | 3 | 11 | 15-35 | 18 |
| 16. კარლსრუე | 19 | 4 | 5 | 10 | 25-39 | 17 |
| 17. ინგოლშტადტი | 19 | 3 | 4 | 12 | 20-31 | 13 |
| 18. არმინია | 19 | 2 | 2 | 15 | 14-39 | 8 |

* მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები:** 13 - პეტერსენი (კოტბუსი); 12 - მიოლდერსი (ფრანკფურტი); 10 - აუერი (ალემანია), თურკი (აუგსბურგი); 9 - ლაუთი (მიუნხენ 1860).

### III ბუნდესლიგა

დრეზდენი-ბრაუნშვაიგი 1:1, ალენი-კობლენცი 2:3

# საოცარი თრილერი მესტალიაზე

## ბარსამ - მსუბუქად, რეალმა - მძიმედ




ბოლოს მაინც ვალენსიამ იზეიმა

ლალიგის სეზონის II ნახევარი „სანჩეს პისხუანზე" დაიწყო „სევილიასა" და „ლევანტეს" დაპირისპირებით. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა შორის არაა, ძალზე საშიში გუნდია „სევილია"... როცა თამაში გამოსდის. შემტევი პოტენციალით ერთ-ერთი პირველია ესპანეთში - მარჯვენა ფლანგზე მოქმედი დაუღალავი **ხესუს ნავასი** და წინ სამი ძლიერი ფორვარდი. „ბარსას" გარდა სხვა გუნდი არც გვახსენდება პრიმერაში, ამდენი მაღალი კლასის ფორვარდი რომ ჰყავდეს. ახლა ერთ-ერთ მათგანზე, ბრაზილიელ **ლუიშ ფაბიანოზე** დავწერთ. ფაბიანო ახლა უფრო ხშირად სატრანსფერო სიახლეების გამო ხვდება გაზეთების ფურცლებზე. თითქოს, პირი შეკრესო და ყველა ბრაზილიელის ესპანეთიდან წასვლას წინასწარმეტყველებს. თამაშით კი ლუიშ ფაბიანო ცოტას თამაშობს, მაგრამ როცა მოედანზე გამოდის... „ლევანტეს" ბრაზილიელმა სამი გოლი გაუტანა, სულ სხვადასხვაგვარი. ჯერ ხესუს ნავასის ჩამოწოდებულს საჯარიმოში შეჭრილმა დაჰკრა თავი და იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა, შემდეგ პენალტის ნიშნულიდან გამოიჩინა თავი, ბოლოს კი ცენტრიდან შეუტია, მეტოქის მცველები დააბნია და **მანოლო რეინასაც** აჯობა. მოკლედ, 4-დან 3 გოლი ლუიშ ფაბიანოს ანგარიშზეა, „სევილიასთვის" კი კვლავ იოლი ლუკმა გამოდგა ვალენსიური კლუბი - 4:1. „ლევანტეს" თავკაცი **ლუის გარსია** დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ტრიბუნიდან უყურებდა.

**გრეგორიო მანსანო** (სევილია): *„ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენ გვსურდა. მოხარული ვარ ლუიშ ფაბიანოს ჰეთთრიკით და ფედერიკო ფასიოს დაბრუნებით. მთავარი იყო, რომ გაგვეტანა და შემდეგ დაცვაში ყურადღებით გვეთამაშა, მათი ფორვარდების დონის გათვალისწინებით, ეს საკმარისი იქნებოდა გამარჯვებისთვის".*

„ბეტისთან" მარცხს გვერდითი მოვლენები არ მოჰყოლია **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდისთვის. ჩემპიონმა ძალზე იოლად და აუღელვებლად დაამარცხა სანტანდერის „რასინგი" - 3:0. თამაშის დაწყებიდან წამები (90 წამი) იყო გასული, როცა „ბარსელონა" დაწინაურდა: **მესიმ** და **ვილიამ** ბურთი გაითამაშეს, არგენტინელმა კარის გადალმა **პედრო** მოძებნა, რომელმაც მკერდით შეიტანა ბურთი „რასინგის" კარში. „რასინგის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაშინვე გაამაგრეს საჯარიმოს მისადგომები და მომდევნო ნახევარი საათი კარს კარგად იცავდნენ, ოღონდ ეგ არის - მეტოქის მოედანზე არ გადასულან. მესი მაინც დაუძვრა კანტაბრიელთა მცველებს, მაგრამ ზედიზედ ორი დარტყმით ვერაფერი მოუხერხა მეკარე **ტონიოს**, რომელმაც, მიუხედავად საბოლოო ანგარიშისა, ფანტასტიკურად ითამაშა. შემდეგ ვილია გაცდა **ენრიკეს** საჯარიმოში, „ბარსელონას" ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, რომელიც იჯარით თამაშობს „რასინგში", „ფეხი ჩატოვა" და პენალტიც დაინიშნა. ბურთთან მესი მივიდა, რომელმაც „ბეტისთან" მატჩში პენალტი ააცილა, მაგრამ ამჯერად არგენტინელმა ივარგა - სეზონში მე-19 გოლი გაიტანა.

ორჯერ **ვალდესმაც** იხსნა თავისიანები (0:2-ზე „რასინგი" გათამამდა და შეუტია), ერთხელ **როზენბერგის** გასროლისგან, ერთხელ კი **ადრიანის** თავურისგან. მეორე ტაიმში **ანდრეს ინიესტამ** სეზონში მე-7 გოლით ყველაფერს წერტილი დაუსვა. ამის შემდეგ პეპმა ნახევარდაცვის მაესტრო **ჩავი** დაასვენა, ეს კი დაახლოებით ძრავის გამორთვის ტოლფასია - თამაშმაც ტემპი და აზრი დაკარგა. სხვათა შორის, „ბარსელონა" შემდეგ ტურში „ერკულესს" ესტუმრება, ერთადერთ გუნდს, რომელმაც ჩემპიონატში „ბარსას" დამარცხება შეძლო.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ამ გუნდის ნამოქმედარით კიდევ ერთხელ ვარ აღფრთოვანებული. ორ ტურნირზე თითქმის ერთდროულად თამაში ძნელია, მაგრამ ჩემს გუნდს არაფერი ეტყობოდა, რომ სათასო ბატალიებში დაიღალა. გუნდი დიდებულ ფორმაშია, ყოველთვის მოსაგებ განწყობაზეა და ქმნის ენით აუწერელი ოდენობის შანსებს. დღეს „რასინგს" უპრობლემოდ ვჯობდით".*

ორი უხვგოლიანი და სანახაობრივი მატჩის შემდეგ ვერც კი წარმოვიდგენდით რა სანახაობა გველოდა შაბათს შუაღამით (ჩვენი დროით) „მესტალიაზე" - 7-გოლიანი თრილერი გაძევებებით. მოკლედ, ტურის წინათქმაში ქვესათაურად ტყუილად არ მოვიყვანეთ **ჟულიო ბაპტიშტას** სიტყვები - „ბრძოლას „ვალენსიასთან" მატჩით ვიწყებთო, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა - **არიც ადურისის** მიერ 90-ე წუთზე გატანილი ბურთის წყალობით „ვალენსიამ" საოცარი მატჩი მოიგო, რომლის მიმდინარეობისას კარგა ხანს აგებდა - 4:3.

**მანუელ პელეგრინიმ** „ახალი" „მალაგა" სუპერშემტევი ტაქტიკით განალაგა - წარმოიდგინეთ, ერთდროულად უტევდნენ **რონდონი** და **ბაპტიშტა**, რომელთაც პორტუგალიური **დუდა** ეხმარებოდა. **უნაი ემერიმ** კი 1 ფორვარდით თამაში არჩია.

მე-10 წუთზე ანდალუსიელები დაწინაურდნენ, **აპონიოს** ჩაწოდებულს ვენესუელელი რონდონი ჩაუსაფრდა და ანგარიში გახსნა. 5 წუთში „ვალენსიამ" გაათანაბრა - **მარტინ დემიკელისმა** საჯარიმოში **ხუან მატა** მოცელა, ეგრევე წითელი ბარათი მიიღო, ხოლო პენალტი დაზარალებულმა შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ „მალაგა" 10 კაცით თამაშობდა, პელეგრინის გუნდი უკეთ გამოიყურებოდა - მარტო რონდონს ორჯერ მართებდა გატანა, როცა **გუაიტასთან** პირისპირ გადიოდა. რონდონმა მალე მაინც შეაგდო, დუდას ჩამოწოდებული საჯარიმო მისი ნადავლი გახდა და კვლავ ახლო მანძილიდან გაუტანა გუაიტას.

შესვენებაზე ემერიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, შეტევაში ადურისს **სოლდადო** დაახმარა, შუა ხაზში კი **ბანეგა** შეუშვა. ამან მალევე გაამართლა - **პაბლო ერნანდესის** დიაგონალური პასი სოლდადომ გოლად აქცია. ამის შემდეგ „მალაგას" კიდევ ერთი ცენტრალური მცველი გაუძევეს - პორტუგალიელმა **ელდერმა** უდიერად მოიხსენია თანამსაჯი და გუნდი 9 კაცის ამარა დატოვა.

ამხელა უპირატესობის გამოუყენლობა აღარ შეიძლებოდა და ევერ ბანეგამაც მეკარე **ასენხოს** შეცდომით ისარგებლა, როცა ამ უკანასკნელმა უხეიროდ მოიგერია კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი. მაგრამ ჟულიო ბაპტიშტას ჯერ თავისი სიტყვა ნათქვამი არ ჰქონდა - მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე ბრაზილიელმა „მალაგაში" სადებიუტო გოლი შეაგდო. ამის შემდეგ ფეხბურთელები ვერაფერს გახდებოდნენ, საოცარი მუხტი, რომ არ წამოსულიყო „მესტალიას" ტრიბუნებიდან, რომელთა თავდადებული ქომაგობის წყალობით „ვალენსიამ" ბოლო წუთები შტურმში გაატარა და... არიც ადურისმა ორი შანსის განიავების შემდეგ, როგორც იქნა, გაიტანა - 4:3.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„რა საოცარი და მძიმე თამაში იყო! რამდენიმე ინციდენტით, რომელმაც შეცვალა მატჩის მიმდინარეობა. უნდა ვაღიარო, ვაჯობეთ მეტოქეს, რადგან მათზე მეტნი ვიყავით. ის კი არა, ბოლოს მეშინოდა, რომ მაინც ვერ მოვასწრებდით გამარჯვების გოლის გატანას. აუცილებლად უნდა მოვუმატოთ, მომენტების შექმნაში და, განსაკუთრებით, ბურთის კონტროლში".*

„სანტიაგო ბერნაბეუზე", მე-60 წუთამდე გაოგნებული შეჰყურებდა ქომაგი საყვარელი გუნდის თამაშს - „რეალი" ვერა და ვერ ახერხებდა „მალიორკას" დაცვის ხაზის გარღვევას კი არა, საგოლე მომენტის შექმნას. ეს შეხვედრაც რომ ვერ მოეგო, **ჟოზე მოურინიოს** გუნდი „ბარსას" 6 ქულით გაუშვებდა წინ. მოურინიო დროულად მიხვდა, რომ მისმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა - პორტუგალიელმა შემადგენლობიდან **მესუთ იოზილი** და **ჩაბი ალონსო** ამოაგდო, სასტარტოში კი **კაკა** და **გაგო** ჩასვა. როგორც ვთქვით, ჟოზე დროულად მიხვდა შეცდომას და შესვენებაზე ორივე დაასვენა. გამარჯვების გოლი კი... **ქარიმ ბენზემამ** გაიტანა (რომელმაც ამ მატჩშიც ბევრი ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა) **რონალდომ ესტებან გრანეროს** გადააწოდა, რომელმაც ფრანგი მოძებნა, ბენზემამაც ცაციათი 3 ქულის მომტანი დარტყმა შეასრულა - 1:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

29 იანვარი: **ლევანტე-ხეტაფე, მალაგა-სარაგოსა, მალიორკა-სპორტინგი, რეალ სოსიედადი-ალმერია, ერკულესი-ბარსელონა, დეპორტივო-სევილია;** 30 იანვარი: **ატლეტიკო-ბილბაო, ოსასუნა-რეალი, ესპანიოლი-ვილიარეალი;** 31 იანვარი: **რასინგი-ვალენსია.**

### სევილია-ლევანტე 4:1

**სევილია (4-4-2):** პალოპი - დაბო, ს. სანჩესი, ესკუდე, ფ. ნავარო - ხ. ნავასი, ზოკორა (78. ფასიო), რომარიკი, პეროტი - ლ. ფაბიანო (80. კანუტე), ნეგრედო (75. ალფარო).

**ლევანტე (4-2-3-1):** მ. რეინა - ვენტა, როდასი, ბალესტეროსი, დელ ორნო - ხ. ტორესი, პალიარდო - ვალდო, სისკო მუნიოსი (65. სტუანი), ხუანლუ (54. ნადალი) - ფ. კაისედო (75. იბორა).

**გოლები:** 1:0 ლ. ფაბიანო (27), 2:0 ესკუდე (38), 3:0 ლ. ფაბიანო (42-პენ), 3:1 სისკო მუნიოსი (57), 4:1 ლუიშ ფაბიანო (67)

**გაფრთხილება:** ზოკორა, კანუტე - როდასი, დელ ორნო

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 9-5 (5-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 36 000

### ბარსელონა-რასინგი 3:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - ადრიანო, აბიდალი, პუიოლი (46. პიკე), მაქსველი - ჩავი (68. კეიტა), ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (80. კრკიჩი), მესი, ვილია.

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი - კენედი (59. არანა), ადრიანი, სისმა (66. ნაუელპანი) - როზენბერგი (74. ხ. ლუკე).

**გოლები:** 1:0 პედრო (2), 2:0 მესი (33-პენ), 3:0 ინიესტა (56)

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 14-7 (11-3); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 75 000

### ვალენსია-მალაგა 4:3

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი, სტანკევიჩიუსი, დეალბერტი (46. ბანეგა), მატიო - მადურო, ტ. კოსტა - პ. ერნანდესი (69. ხოაკინი), მატა, ალბა (46. სოლდადო) - ადურისი.

**მალაგა (4-3-3):** ასენხო - გამესი, დემიკელისი, ელდერ როსარიო, ელიზეუ - აპონიო, ნ. კამაჩო, მარესკა (20. გასპარი) - ბაპტიშტა, რონდონი (65. რესიო), დუდა (69. ს. ფერნანდესი).

**გოლები:** 0:1 რონდონი (10), 1:1 მატა (17-პენ), 1:2 რონდონი (35), 2:2 სოლდადო (53), 3:2 ბანეგა (67), 3:3 ბაპტიშტა (79), 4:3 ადურისი (90)

**გაფრთხილება:** მადურო - ბაპტიშტა, დუდა, ასენხო, აპონიო

**გაძევება:** დემიკელისი (15), ელდერ როსარიო (65)

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 15-6; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 15-9 (7-6); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 40 000

### სპორტინგი-ატლეტიკო 1:0

**სპორტინგი (4-1-4-1):** კუელიარი - ლორა, ერნანდესი, გრეგორი, კანელია - ეგურენი - დე ლას კუევასი (78. ნოვო), რივერა, კასესი, დ. კასტრო (86. ხორხე) - ბარალი.

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - ვალერა, პერეა, უიფალუში, ა. ლოპესი (84. ფ. ლუიში) - ხუანფრანი, რ. გარსია (77. კოკე), ასუნსაო, ელიასი (67. ფ. მერიდა) - ფორლანი, დ. კოშტა.

**გოლი:** 1:0 ბარალი (50)

**გაფრთხილება:** ბარალი, ეგურენი - რ. გარსია, პერეა, ფ. მერიდა

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 6-5 (3-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 22 000

### სარაგოსა-დეპორტივო 1:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლ. ფრანკო - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - პონსიო, გაბი - ანდერი (82. ხ. ლოპესი), ბრაულიო, ბუტაპარი (66. ლაფიტა) - სინამა-პონგოლე (50. ბერტოლო).

**დეპორტივო (5-3-2):** არანსუბია - ლაურე, კოლოტო, აიტამი, ლოპო, მ. პაბლო (76. სეოანე) - ხ. როდრიგესი (62. პ. ალვარესი), ტომასი, რ. პერესი - ადრიანი, ლასადი (70. ვალერონი).

**გოლი:** 1:0 ბუტაპარი (38)

**გაფრთხილება:** ანდერი, ობრადოვიჩი, კონტინი, პონსიო - რ. პერესი, ლაურე

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 30-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 7-5 (4-0); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 22 000

### ხეტაფე-ესპანიოლი 1:3

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - მ. ტორესი, დიასი, რაფა, მარკანო - ბოატენგი (72. კასკერო), ვ. სანჩესი (63. ალბინი) - პ. რიოსი (73. კოლუნგა), პარეხო, მანუ - მიკუ.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ფორლინი, რუისი, დიდაკი - დუშერი (79. ამატი), ხ. მარკესი - ლ. გარსია, ვერდიუ (89. ი. ალონსო), კალეხონი - ს. გარსია (75. ალვარო).

**გოლები:** 1:0 მიკუ (13), 1:1 ლ. გარსია (52), 1:2 კალეხონი (59), 1:3 ს. გარსია (63)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-6; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 17-12 (5-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 11 000

### ალმერია-ოსასუნა 3:2

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მასედო, კ. გარსია, მ. სილვა, იაკობსენი - ბერნარდელო, ვარგასი (78. კორონა) - პიატი, უჩე (67. პელერანო), კრუსატი - ულოა (86. გოიტომი).

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო (58. ლეკიჩი), ხოსეჩო, დამია - პუნიალი, ლოლო - კორომინასი (74. კალეხა), სორიანო (80. ვადოცი), კამუნიასი - არანდა.

**გოლები:** 1:0 კ. გარსია (8), 2:0 ულოა (10), 2:1 არანდა (23), 3:1 ულოა (54), 3:2 ლეკიჩი (91)

**გაფრთხილება:** პიატი, კ. გარსია, იაკობსენი - სორიანო, ნელსონი, არანდა, კამუნიასი, დამია

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-16 (4-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 10 000

### რეალი-მალიორკა 1:0

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, რ. კარვალიო, ს. რამოსი, მარსელო - გაგო (46. ჩ. ალონსო), გრანერო (62. ლ. დიარა) - დი მარია, კაკა (46. იოზილი), რონალდო - ბენზემა.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - რატინიო, ნუნიეში, რამისი, კევინი - ჟ. ვიქტორი, ტეხერა - ნსუე, კასტრო, პერეირა - ვებო.

**გოლი:** 1:0 ბენზემა (60)

**გაფრთხილება:** ს. რამოსი, გრანერო, ლ. დიარა - ნსუე, სესარ, რამისი, ნუნიეში

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 19-10 (5-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 74 000

### ვილიარეალი-რეალ სოსიედ. 2:1

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - Mმარიო, გონსალო, მუსაჩიო, კაპდევილა - კასორლა, ბ. ვალერო (85. სისინიო), ბრუნო, კანი (77. მარჩენა) - მ. რუბენი, როსი.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, მ. გონსალესი, ლაბაკა - რივასი (81. ილარამენდი), ბერგარა (56. სარპონგი) - ჩ. პრიეტო, არანბურუ, გრიზმანი - ხ. ლორენტე (56. რ. ტამუდო).

**გოლები:** 0:1 არანბურუ (29), 1:1 როსი (40), 2:1 როსი (47)

**გაფრთხილება:** კანი - ჩ. პრიეტო, არანბურუ, სარპონგი, მ. გონსალესი

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 28-4 (8-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 18 000

### ბილბაო-ერკულესი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 64-11 | 55 |
| 2. რეალი | 20 | 16 | 3 | 1 | 48-17 | 51 |
| 3. ვილიარეალი | 20 | 13 | 3 | 4 | 40-21 | 42 |
| 4. ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 33-23 | 40 |
| 5. ესპანიოლი | 20 | 12 | 1 | 7 | 28-26 | 37 |
| 6. ატლეტიკო | 20 | 9 | 3 | 8 | 31-24 | 30 |
| 7. სევილია | 20 | 9 | 2 | 9 | 30-32 | 29 |
| 8. ბილბაო | 19 | 9 | 2 | 8 | 29-31 | 29 |
| 9. მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 23-25 | 27 |
| 10. ხეტაფე | 20 | 8 | 3 | 9 | 29-32 | 27 |
| 11. სოსიედადი | 20 | 8 | 1 | 11 | 30-33 | 25 |
| 12. ერკულესი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-28 | 22 |
| 13. დეპორტივო | 20 | 5 | 6 | 9 | 15-27 | 21 |
| 14. რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 15-29 | 20 |
| 15. სპორტინგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-27 | 19 |
| 16. სარაგოსა | 20 | 4 | 7 | 9 | 18-32 | 19 |
| 17. ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 19-28 | 18 |
| 18. ალმერია | 20 | 3 | 8 | 9 | 20-34 | 17 |
| 19. მალაგა | 20 | 5 | 2 | 13 | 27-45 | 17 |
| 20. ლევანტე | 20 | 4 | 3 | 13 | 20-34 | 15 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 19 - მესი (ბარსელონა); 14 - ვილია (ბარსელონა); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო), პედრო (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - ტრეზეგე (ერკულესი); 8 - ლ. ფაბიანო (სევილია), ადურისი (ვალენსია), კანუტე (სევილია).

## სეგუნდადივიზიონი

### XXI ტური

**ხერესი-ელჩე 0:0**

**გაძევება:** ვერდესი (42. ელჩე), ეტჩეიტა (54. ელჩე)

**ალკორკონი-ვალიადოლიდი 1:0**

გოლი: 1:0 ქუინი (73)

**ვილიარეალი B-ბეტისი 1:0**

გოლი: 1:0 ფ. სილვა (3-პენ)

**უესკა-ალბასეტე 1:0**

გოლი: 1:0 კამაჩო (38)

**გრანადა-უელვა 2:1**

**გოლები:** 0:1 ვასკესი (32), 1:1 ორელანა (57), 2:1 მაინსი (88)

**გაძევება:** რ. ფერნანდესი (30. გრანადა)

**კარტახენა-სელტა 0:4**

**გოლები:** 0:1 დ. როდრიგესი (8), 0:2 მიჩუ (40), 0:3 ტრაშორასი (60), 0:4 მიჩუ (81)

**გაძევება:** ჩიკი (83. კარტახენა)

**ბარსელონა B -რაიო ვალეკანო 1:2**

**გოლები:** 0:1 ტრეხო (1), 1:1 სორიანო (34), 1:2 არმენტეროსი (68)

**ტენერიფე-ლას პალმასი 1:1**

გოლები: 1:0 მელი (53), 1:1 ქუიროგა (57)

**ხიმნასტიკი-პონფერადინა 0:0**

**გაძევება:** პრიეტო (40. პონფერადინა), ფუსტერი (86. ხიმნასტიკი)

**კორდობა-ხირონა 1:1**

**გოლები:** 0:1 კიკო რატონი (80), 1:1 არტეაგა (88)

**ნუმანსია-სალამანკა 3:2**

**გოლები:** 1:0 ხაიო (43), 2:0 ბარკერო (51-პენ), 2:1 კ. ლოპესი (59), 2:2 კ. ლოპესი (90), 3:2 დელგადო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 21 | 14 | 4 | 3 | 46-18 | 46 |
| 2. სელტა | 21 | 12 | 7 | 2 | 40-19 | 43 |
| 3. ვალეკანო | 21 | 13 | 4 | 4 | 35-21 | 43 |
| 4. ხერესი | 21 | 9 | 5 | 7 | 31-28 | 32 |
| 5. კარტახენა | 21 | 9 | 5 | 7 | 30-29 | 32 |
| 6. ბარსელონა B | 21 | 8 | 7 | 6 | 33-32 | 31 |
| 7. ვილიარეალი B | 21 | 9 | 4 | 8 | 25-31 | 31 |
| 8. გრანადა | 20 | 8 | 6 | 6 | 34-23 | 30 |
| 9. ნუმანსია | 21 | 9 | 3 | 9 | 32-26 | 30 |
| 10. ელჩე | 21 | 6 | 10 | 5 | 18-19 | 28 |
| 11. ხირონა | 21 | 6 | 8 | 7 | 28-27 | 26 |
| 12. ვალიადოლიდი | 21 | 7 | 5 | 9 | 28-28 | 26 |
| 13. კორდობა | 21 | 5 | 10 | 6 | 27-28 | 25 |
| 14. უესკა | 21 | 5 | 10 | 6 | 15-20 | 25 |
| 15. სალამანკა | 21 | 7 | 3 | 11 | 25-30 | 24 |
| 16. ალკორკონი | 21 | 7 | 3 | 11 | 23-31 | 24 |
| 17. ალბასეტე | 21 | 5 | 8 | 8 | 17-21 | 23 |
| 18. ლას პალმასი | 21 | 5 | 8 | 8 | 30-40 | 23 |
| 19. უელვა | 21 | 4 | 10 | 7 | 20-23 | 22 |
| 20. ხიმნასტიკი | 21 | 4 | 8 | 9 | 15-23 | 20 |
| 21. პონფერადინა | 21 | 3 | 9 | 9 | 17-37 | 18 |
| 22. ტენერიფე | 20 | 3 | 7 | 10 | 16-31 | 16 |

**ბომბარდირები:** 14 - რ. კასტრო (ბეტისი), გეიხო (გრანადა); 13 - ქუინი (ალკორკონი), არმენტეროსი (რაიო ვალეკანო); 12 - ხ. გუერა (ვალიადოლიდი); 11 - სორიანო (ბარსელონა B), დ. როდრიგესი (სელტა), ტოჩე (კარტახენა); 10 - ემანა (ბეტისი).

აზიის თასი. მეოთხედფინალი

# კაპიტანი კაპაძე და კიუელის გაბრწყინება

**იაპონია-ყატარი** 3:2

**გოლები:** 0:1 კინტანა (12), 1:1 კაგავა (28), 1:2 მონტესინე (63), 2:2 კაგავა (70), 3:2 ინოჰა (90)

**უზბეკეთი-იორდანია** 2:1

**გოლები:** 1:0 ბაკაევი (46), 2:0 ბაკაევი (49), 2:1 იასეენი (58)

**ავსტრალია-ერაყი** 1:0 დ.დ.

**გოლი:** 1:0 კიუელი (118)

**ს. კორეა-ირანი** 1:0 დ.დ.

**გოლი:** იონი (105)

**ნახევარფინალი**

25.01

იაპონია-ს. კორეა

უზბეკეთი-ავსტრალია

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

28.01

**ფინალი**

29.01

ყატარში მიმდინარე აზიის თასის გათამაშებამ უკვე ნახევარფინალურ ეტაპს უწია. რაკი აქამდე ამ ტურნირის შესახებ არ დაგვიწერია, მოკლედ გადავავლოთ თვალი ნახევარფინალებამდე განვითარებულ მოვლენებს.

A ჯგუფიდან მეოთხედფინალში უზბეკეთი და მასპინძელი ყატარი გავიდნენ, ბრძოლას კი ჩინეთი და ქუვეითი გამოეთიშნენ; B ჯგუფში იაპონიამ და იორდანიამ ივარგეს, ერთ დროს აზიის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა საუდის არაბეთმა კი გათამაშება ნული ქულით დაასრულა. მასთან ერთად, ამ კვარტეტიდან სირია გავარდა; C ჯგუფიდან ფლეიოფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ავსტრალიამ და სამხრეთ კორეამ გადაინაცვლეს, შინ კი ბაჰრეინელები და ინდოელები გაბრუნდნენ; D ჯგუფში ირანმა და ერაყმა იყოჩაღეს, ტურნირი ნაადრევად ჩრდილოეთ კორეამ და არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა დაასრულეს.

ოთხივე მეოთხედფინალური დაპირისპირება მეტად დაძაბული გამოდგა, სხვებთან შედარებით იოლად ნახევარფინალში უზბეკებმა გააღწიეს. უზბეკეთს რომ ანგარიშგასაწევი ნაკრები ჰყავდა, ეს ისედაც ვიცოდით, სხვა რომ არაფერი, ეს გუნდი ბოლო წლებში მუნდიალზე მოსახვედრად ყოველთვის რეალურ პრეტენზიებს აცხადებს, თუმცა ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ უზბეკეთის ეროვნული გუნდი თვალსაჩინო პროგრესის გზას ადგას.

აღსანიშნავია, რომ უზბეკთა კაპიტანი და ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი **თემურ კაპაძე**, რომელიც ფერგანაშია დაბადებული და თურქი მესხია. კვლავაც ნაკრების ღირსებას იცავს ფორვარდი **მაქსიმ შაცკიხი**, რომელსაც კარიერის საუკეთესო წლები კიევის "დინამოში" აქვს გატარებული. იორდანიასთან მატჩში შუააზიელები თავიდანვე დაუუფლნენ საგრძნობ უპირატესობას, თუმცა შესვენებამდე ანგარიშის გახსნა ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმის დებიუტშივე **ულუგბეკ ბაკაევმა** დუბლი შეასრულა და იმის მიუხედავად, რომ იორდანიამ ერთი ბურთი მალე გაქვითა, უზბეკეთმა ნახევარფინალს დამაჯერებლად უწია. კაპაძესა და კომპანიას წინ ავსტრალიასთან გაცილებით სერიოზული გამოცდა ელით, მაგრამ მათი წინსვლის გაგრძელება გამორიცხული სულაც არაა.

**ჰარი კიუელს** გარკვეული პერიოდის განმავლობაში სანაკრებო კარიერა შეწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ დაბრუნდა და დაამტკიცა, რომ ავსტრალიელებისთვის შეუცვლელი ფიგურაა. თავისი კლასი მან აზიის თასზეც წარმოაჩინა. ავსტრალია-ერაყის დაპირისპირება პენალტების სერიას უახლოვდებოდა, როცა "გალათასარაის" შემტევმა თავური დარტყმით ნახევარფინალის საგზურის მომტანი გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი ერთმანეთს იაპონია და სამხრეთ კორეა შეებრძოლებიან. უცხოტომელებით გაძლიერებული მასპინძლები ბევრს კი ეცადნენ მეოთხედფინალური ბარიერის



დაძლევას და ამომავალი მზის ქვეყნელებთან ორჯერაც დაწინაურდნენ, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა და დრამატულ ბრძოლაში გამარჯვება იაპონიას დარჩა. **შინჯი კაგავამ** ორჯერ გაათანაბრა ანგარიში, გამარჯვების გოლი კი ძირითადი დროის მიწურულს **მასაჰიკო ინოჰამ** ეფექტური დარტყმით შეაგდო.

ირანისა და სამხრეთ კორეის შეხვედრაში ფავორიტის დასახელება ჭირდა – თუნდაც იმიტომ, რომ ირანელები მეოთხედფინალში ქულათა მაქსიმუმით გავიდნენ და ჯგუფურ ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულები იყვნენ. მატჩმა მოლოდინი გაამართლა და მაყურებელმა ძალიან ნერვული ბრძოლა იხილა. თამაში სანახაობრივი ვერ გამოდგა, ორივე გუნდმა აქცენტი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთა, მაგრამ თერთმეტმეტრიანებამდე საქმე არც აქ მივიდა და ავსტრალიელთა მსგავსად, მეტოქე კორეელებმაც დამატებით დროში გატეხეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რივალდომ სან პაულუს მიაშურა

**რივალდო** კარიერას "სან პაულუში" გააგრძელებს და შესაძლოა, იქვე დაასრულოს კიდეც. ვეტერანი ბრაზილიელი გასული წლის ზაფხულამდე უზბეკურ "ბუნიოდკორში" თამაშობდა, შემდეგ კი ბრაზილიური "მოჟი მირიმის" წევრი იყო. "სან პაულუმ" 38 წლის რივალდო სწორედ ამ კლუბისგან ინათხოვრა. იჯარა ერთწლიანია, მაგრამ მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებას არ გამორიცხავენ.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის შეხსენება, რომ რივალდო მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, 1999 წელს კი ოქროს ბურთი მიიღო. ბრაზილიის ნაკრებთან ერთად იგი კორეა-იაპონიის 2002 წლის მუნდიალზე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, "მილანთან" ერთად კი ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოიგო. კარიერის საუკეთესო წლები მან "ბარსელონაში" გაატარა, რომლის ღირსებასაც ხუთი წლის განმავლობაში იცავდა. "ბარსას", "მილანის", "ბუნიოდკორისა" და "მოჟი მირიმის" (სადაც კარიერის ადრეულ წლებშიც იყო) გარდა, რივალდოს "პაულისტაში", "სანტა კრუზში", "კორინთიანსა" და "პალმეირასსა" და "კრუზეიროში" უთამაშია, ესპანეთში "დეპორტივოს", საბერძნეთში კი "ოლიმპიაკოსისა" და აეკ-ის წევრი იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

## კარპატიდან შალკეში

ბრაზილიელი მცველი **დანილო აველარი**, რომელსაც ევროპის ლიგაზე "ზესტაფონის" წინააღმდეგ აქვს ნათამაშები, ლვოვის "კარპატიდან" გელზენკირხენის "შალკეში" გადავიდა. "ხუმარებში" სეზონის ბოლომდე იგი იჯარით ითამაშებს, რის შემდეგაც თუ "შალკეს" სურვილი ექნება, აველარის შესყიდვის უპირატესი უფლებით ისარგებლებს.

## წილისყრა და ნახევარფინალი სანქტ-პეტერბურგში

მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კალენდრის შედგენამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა ერთი საინტერესო ინფორმაცია უკვე გამოაქვეყნეს - რუსული მუნდიალის ფინალური ეტაპის წილისყრა და მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ნახევარფინალური მატჩი სანკტ-პეტერბურგში ჩატარდება.

## მილანმა ემანუელსონი იყიდა

"მილანმა" "აიაქსისგან" 24 წლის შემტევი ნახევარმცველი **ურბი ემანუელსონი** შეიძინა და მას კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე გაუფორმა. სურინამული წარმოშობის მარცხენაფლანგელ ემანუელსონს ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებშიც უკვე ჰქონდა დებიუტი.

## კასილიასი გაეროს ელჩია

**იკერ კასილიასს** გაერო კეთილი ნების ელჩის სტატუსს მიანიჭებს. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" კაპიტანი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამაში აქტიურად ჩაერთვება. ამ საპატიო თანამდებობას კასილიასი დღეს, ჟენევაში გამართულ ცერემონიალზე მიიღებს.

## მაკარონე ფიორენტინაში გადადის

იტალიური პრესის ცნობით, **მასიმო მაკარონეს** "პალერმოდან" "ფიორენტინაში" გადასვლას წინ ალარაფერი უდგას. კლუბებს ერთმანეთთან ყველა საკითხი უკვე შეუთანხმებიათ და 31 წლის თავდამსხმელი ფლორენციელებთან კონტრაქტს დღე-დღეზე გააფორმებს.

## სეგუნდაში ხალხი დაშავდა

ესპანეთის სეგუნდა დივიზიონში "გრანადა"-"უელვას" მატჩისას ხუთმა გულშემატკივარმა სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დაზიანება მიიღო. "გრანადამ" 2:1 გაიმარჯვა და გადამწყვეტი გოლის ზეიმისას მასპინძელთა გახარებული ქომაგები ჭყლეტაში მოჰყვნენ.

## რაიტ-ფილიპსი ფულჰემს უახლოვდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უახლოეს დღეებში **შონ რაიტ-ფილიპსი** "მანჩესტერ სიტიდან" "ფულჰემში" გადავა. სავარაუდოდ, 29 წლის ნახევარმცველი სეზონის ბოლომდე იქ იჯარით იასპარეზებს. სეზონის დასრულების შემდეგ, თუ "ფულჰემი" პრემიერლიგიდან არ გავარდა, კლუბები ტრანსფერზეც მოილაპარაკებენ. რაიტ-ფილიპსი 4 მილიონი გირვანქა ღირს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

შოტლანდია. პრემიერლიგა. XXIII ტური

# ძნელი ცხოვრება მილერის გარეშე

**ჰართსი-რეინჯერსი** 1:0

**გოლი:** 1:0 სტივენსონი (77)

**სელტიკი-აბერდინი** 1:0

**გოლი:** 1:0 სტოკსი (27)

**ინვერნესი-ჰემილტონი** 1:1

**გოლები:** 1:0 სანჩესი (18), 1:1 ანტუან-კურია (45)

**კილმარნოკი-დანდი** 1:1

**გოლები:** 1:0 სემონი (41), 1:1 კენეთი (90)

**მოზერუელი-ჰიბერნიანი** 2:0

**გოლები:** 1:0 მერფი (20), 2:0 სონდერსი (24)

**სტ. ჯონსტონი-სტ. მირენი** 0:0

სქოთთა პრემიერლიგის ამ ტურზე ორიოდე სიტყვით შეჩერება იმიტომ ღირს, რომ „რეინჯერსმა" წააგო. ეს იყო გლაზგოური გიგანტის მეორე მარცხი მიმდინარე სეზონში, მაგრამ თუ პირველად „სელტიკმა" მოუგო, მეორედ ეს უკვე „ჰართსმა" მოახერხა. რასაკვირველია, „რეინჯერსს" „სელტიკზე" ორი თამაშით ნაკლები აქვს და ეს სერიოზული მარაგია, მაგრამ მოდი, ერთ რამეს მივაქციოთ ყურადღება: „ჯერები" ორივეჯერ 2011 წელს დამარცხდნენ. „სელტიკთან" მათ 2 იანვარს წააგეს და ეს გუნდის მთავარი ბომბარდირისა და ლიდერის **კენი მილერის** ბოლო შეხვედრა იყო ლურჯფორმიანი გუნდის შემადგენლობაში - „ბურსასფორში" მიდიოდა და, როგორც იტყვიან, ჩემოდნებზე იჯდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შოტლანდიის ჩემპიონს მილერის გარეშე ცხოვრებასთან შეგუება უწევს და ეს, როგორც ჩანს, იოლი საქმე არ არის. „ჰართსის" ფეხბურთელთაგან შეხვედრის ერთადერთი გოლი **რაიან სტივენსონმა** გაიტანა.

„სელტიკმა" კი თავისი წილი სამი ქულა „აბერდინს" აართვა. **ენთონი სტოკსის** გოლის წყალობით გლაზგოს მეორე გოლიათმა ჩემპიონს 5 ქულით გაასწრო.

„კილმარნოკისა" და „დანდი იუნაიტედის" შეხვედრამ კი დრამატულობით მიიპყრო ყურადღება. ჯერ ერთი, დანდელმა **გერი კენეთმა** 90-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, თორემ „კილმარნოკი" იგებდა და მეორეც, ამ მომენტისთვის მისი გუნდი 9 კაცით იყო დარჩენილი 10-ის წინააღმდეგ. თავიდან „კილმარნოკის" გაფინელებული რუსი ნახევარმცველი **ალექსეი ერიომენკო** გააძევეს მოედნიდან - **სკოტ რობერტსონს** უხეშობაზე ცხარედ უპასუხა - შემდეგ კი უკვე ნახსენები რობერტსონი და **ჯონ დეილი** „გააწითლეს", ოღონდ მათ ერიომენკოსგან განსხვავებით პირდაპირ წითელი არ მიუღიათ.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 22 | 16 | 4 | 2 | 46:14 | 52 |
| 2. რეინჯერსი | 20 | 15 | 2 | 3 | 44:20 | 47 |
| 3. ჰართსი | 21 | 14 | 3 | 4 | 36:16 | 45 |
| 4. კილმარნოკი | 22 | 9 | 5 | 8 | 35:25 | 32 |
| 5. ინვერნესი | 23 | 7 | 8 | 8 | 31:28 | 29 |
| 6. მოზერუელი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:25 | 28 |
| 7. დანდი | 18 | 6 | 7 | 5 | 21:24 | 25 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 20 | 6 | 5 | 9 | 14:26 | 23 |
| 9. აბერდინი | 21 | 6 | 2 | 13 | 21:39 | 20 |
| 10. სტ. მირენი | 21 | 4 | 5 | 12 | 17:35 | 17 |
| 11. ჰიბერნიანი | 21 | 4 | 4 | 13 | 21:37 | 16 |
| 12. ჰემილტონი | 20 | 2 | 7 | 11 | 13:36 | 13 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 14 - სემონი (კილმარნოკი); 11 – გუდვილი (დანდი), რუნი (ინვერნესი); 10 - ბლექმენი (მოზერუელი), ჰუპერი (სელტიკი); 9 – სტოკსი (სელტიკი), ვერნონი (აბერდინი); 8 - რიორდანი (ჰიბერნიანი); 7 – კაილი (ჰართსი), სკაცელი (ჰართსი), ტემპლტონი (ჰართსი); 6 –ჰიგდონი (სენტ მირენი), 5 - ნეისმითი (რეინჯერსი), ჰეიესი (ინვერნესი), ჰემილი (კოლმარნოკი), მაკკოურტი (სელტიკი).

თურქეთი. სუპერლიგა. XVIII ტური

**ბეშიქთაში-ბუკა** 5:1

**გოლები:** 1:0 ნობრე (8), 2:0 გუტი (19-პენ), 3:0 სიმაო (45), 4:0 ნობრე (64), 5:0 გუტი (75), 5:1 აიდინი (75)

**მანისა-ქარაბიუქი** 4:2

**გოლები:** 1:0 სიმპსონი (1), 1:1 სოილერი (22), 2:1 კაჰე (47), 3:1 გოქოგლანი (73), 3:2 ჰიქმეთი (88-პენ), 4:2 ინჩედემირი (90)

**ტრაბზონი-ანკარაგიუჯუ** 1:1

**გოლები:** 1:0 კოელიო (20), 1:1 გაბრიჩი (61)

**გენჩლერი-ესქიშეჰირი** 0:1

**გოლი:** 0:1 ესერი (54)

**ანთალია-ფენერბაჰჩე** 0:1

**გოლი:** 0:1 გიონული (41)

**კასიმფაშა-გაზიანთეფი** 0:1

**გოლი:** 0:1 სოსა (39)

**კონია-ბურსა** 0:0

**გალათასარაი-სივასი** 1:0

**გოლი:** 1:0 ჩეთინი (70)

**კაისერი-ბუიუქშეჰირი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 18 | 13 | 4 | 1 | 41-11 | 43 |
| 2. ბურსა | 18 | 11 | 5 | 2 | 32-12 | 38 |
| 3. ფენერბაჰჩე | 18 | 11 | 3 | 4 | 41-21 | 36 |
| 4. კაისერი | 17 | 9 | 5 | 3 | 22-12 | 32 |
| 5. ბეშიქთაში | 18 | 9 | 4 | 5 | 30-19 | 31 |
| 6. გაზიანთეფი | 18 | 7 | 6 | 5 | 16-15 | 27 |
| 11. გალათასარაი | 18 | 8 | 2 | 8 | 20-21 | 26 |
| 7. ესქიშეჰირი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-17 | 25 |
| 8. მანისა | 18 | 8 | 1 | 9 | 26-27 | 25 |
| 9. ქარაბიუქი | 18 | 7 | 3 | 8 | 30-31 | 24 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 17 | 7 | 2 | 8 | 20-18 | 23 |
| 12. ანთალია | 18 | 6 | 5 | 7 | 19-23 | 23 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 18 | 5 | 7 | 6 | 25-30 | 22 |
| 14. გენჩლერი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-29 | 17 |
| 15. კონია | 18 | 3 | 6 | 9 | 17-27 | 15 |
| 16. სივასი | 18 | 3 | 6 | 9 | 17-33 | 15 |
| 17. ბუკა | 18 | 2 | 6 | 10 | 10-28 | 12 |
| 18. კასიმფაშა | 18 | 1 | 5 | 12 | 14-40 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ემენიკე (ქარაბიუქი), ალექსი (ფენერბაჰჩე); 9 - ნიანგი (ფენერბაჰჩე), სიმპსონი (მანისა), ილმაზი (ტრაბზონი)

**გოტფრიდ ლენცი**

საფრანგეთი

ლიგა 1. გამოტოვებული მატჩი

**ლანსი-კაენი** 2:0

**გოლები:** 1:0 ერმახი (20), 2:0 მაულიდა (55)

პორტუგალია. ლიგა საგრეში. XVI ტური

**ოლანენზე-აკადემიკა** 2:1

**გოლები:** 0:1 სილვა (18), 1:1 პილოტო (22), 2:1 დუარტე (72-პენ)

**ფერეირა-ლეირია** 1:1

**გოლები:** 1:0 პიცი (50), 1:1 ვინისიუსი (90)

**რიუ ავე-გიმარაეში** 2:3

**გოლები:** 0:1 სილვა (9-პენ), 1:1 ტომაში (49-პენ), 1:2 დუგლასი (69), 2:2 ტომაში (76), 2:3 სილვა (89-პენ)

**გაძევება:** ედერი (60. რიუ ავე), გომეში (88. რიუ ავე)

**ბრაგა-სეტუბალი** 2:2

**გოლები:** 0:1 ჯიკინე (17), 0:2 პიტბული (20), 1:2 ბარბოზა (59), 2:2 გილერმე (72)

**გაძევება:** სანტოსი (79. სეტუბალი)

**ბეირა მარი-პორტუ** 0:1

**გოლი:** 0:1 ჰალკი (35-პენ)

**ნავალი-პორტიმონენზე** 1:1

**გოლები:** 0:1 ივანილდო (4), 1:1 პრევიტალი (90)

**ბენფიკა-ნასიონალი** 4:2

**გოლები:** 1:0 გაიტანი (8), 2:0 სიდნეი (20), 3:0 კარდოსო (51), 3:1 ალბერტო (76), 3:2 მიხელიკი (85), 4:2 ხარა (89)

**მარიტიმუ-სპორტინგი** ხვალ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 17 | 15 | 2 | 0 | 40-7 | 47 |
| 2. ბენფიკა | 17 | 13 | 0 | 4 | 35-16 | 39 |
| 3. სპორტინგი | 16 | 8 | 4 | 4 | 24-17 | 28 |
| 4. გიმარაეში | 17 | 8 | 4 | 5 | 24-21 | 28 |
| 5. ნასიონალი | 17 | 7 | 4 | 6 | 17-19 | 25 |
| 6. ბრაგა | 17 | 7 | 3 | 7 | 31-23 | 24 |
| 7. ბეირა მარი | 17 | 5 | 8 | 4 | 20-19 | 23 |
| 8. ოლანენზე | 17 | 5 | 7 | 5 | 14-15 | 22 |
| 9. ლეირია | 16 | 6 | 4 | 6 | 16-20 | 22 |
| 10. ფერეირა | 17 | 4 | 8 | 5 | 16-21 | 20 |
| 11. მარიტიმუ | 16 | 4 | 7 | 5 | 18-16 | 19 |
| 12. აკადემიკა | 17 | 5 | 4 | 8 | 21-28 | 19 |
| 13. სეტუბალი | 17 | 4 | 5 | 8 | 16-26 | 17 |
| 14. რიუ ავე | 17 | 3 | 5 | 9 | 17-25 | 14 |
| 15. პორტიმონენზე | 16 | 2 | 4 | 10 | 16-31 | 10 |
| 16. ნავალი | 17 | 2 | 3 | 12 | 11-32 | 9 |

**ბომბარდირები:** 17 - ჰალკი (პორტუ); 11 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე); 9 - კარლაო (ლეირია); 8 - ფალკაო (პორტუ), კარდოსო (ბენფიკა), ე. სილვა (გიმარაეში).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთის თასი

### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| სოშო-პარიზი | 2:1 |
| შამბერი-ბრესტი | 1:1 პენ. 4:3 |
| კლერმონი-რეიმსი | 1:3 |
| ანჟერსი-ბორდო | 1:0 |
| ბულონი-დრანსი | 0:1 |
| ნიმი-ნანსი | 1:2 დ.დ. |
| ნანტი-რაონი | 2:1 |
| კევილი-მარტიგი | 1:1 პენ. 3:5 |
| ფონტენეი-ლორიანი | 0:1 დ.დ. |
| შერბური-ლე მანი | 0:1 |
| სტრასბური-ევიანი | 1:0 |
| ვო ენ ველენი-რენი | 0:2 |
| სედანი-მეცი | 0:1 |
| აგენი-პსჟ | 2:3 |
| ლილი-ვასკეალი | 1:0 |
| ნიცა-ლიონი | 0:0 დ.დ. 1:0 |

## საფრანგეთი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ლანსი-კაენი | 2:0 |

## ბელგია

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ვიზე-სტანდარდი (ვ) | 0:0 |
| მონსი-ტინენი | 2:2 |
| პევერლე-ოსტენდე | 4:1 |
| რუზელარე-დენდერი | 1:1 |
| რუპელი-ბორინაჟი | 1:1 |
| ტურნე-ლომელი | 2:3 |
| ტუბეკე-ბრიუსელი | 3:2 |
| ტურნაუტი-ჰაისტი | 3:1 |
| ვაასლანდი-ანტვერპენი | 1:1 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-ფეირენსე | 2:1 |
| ვარზიმი-ოლივეირენსე | 1:1 |
| ფრეამუნდე-არუკა | 2:2 |
| ეშტორილი-ბელენენსეში | 1:1 |
| ფატიმა-ჟილ ვისენტე | 1:3 |
| ტროფენსე-სანტა კლარა | 3:2 |
| პენაფიელი-მორეირენსე | დღეს |
| ავეში-კოვილია | დღეს |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| დანდი-ფალკირკი | 1:0 |
| რეითი-მორტონი | 2:2 |

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ეირი-პიტერპედი | 2:2 |
| სტენჰაუზმური-ეირდრი | 1:0 |

### III დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ელჯინი-სტრანრარი | 2:1 |
| მონროუზი-ანანი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-ბირუიკი | 1:0 |

## საბერძნეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| კერკირა-ლარისა | 1:0 |
| პაოკ-ქსანთი | 2:1 |
| აეკ-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:4 |
| კავალა-ირაკლისი | 3:0 |
| პანსერაიკოსი-ატრომიტოსი | 0:1 |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:1 |
| ერგოტელისი-არისი | 0:0 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკ (პ) | 19 | 16 | 0 | 3 | 38-9 | 48 |
| 2. პანათინაიკოს | 19 | 12 | 5 | 2 | 31-14 | 41 |
| 3. პაოკ | 19 | 10 | 3 | 6 | 23-18 | 33 |
| 4. აეკ | 19 | 9 | 3 | 7 | 29-21 | 30 |
| 5. კავალა | 19 | 7 | 6 | 6 | 21-18 | 27 |
| 6. ოლიმპიაკ (ვ) | 19 | 5 | 10 | 4 | 20-18 | 25 |
| 7. ატრომიტოსი | 19 | 6 | 7 | 6 | 22-21 | 25 |
| 8. ერგოტელისი | 19 | 7 | 4 | 8 | 17-22 | 25 |
| 9. ქსანთი | 19 | 6 | 6 | 7 | 18-21 | 24 |
| 10. არისი | 19 | 7 | 3 | 9 | 11-16 | 24 |
| 11. კერკირა | 19 | 6 | 5 | 8 | 17-24 | 23 |
| 12. ირაკლისი | 19 | 5 | 7 | 7 | 15-20 | 22 |
| 13. პანიონიოსი | 19 | 5 | 5 | 9 | 12-21 | 20 |
| 14. ასტერასი | 19 | 4 | 7 | 8 | 13-19 | 19 |
| 15. პანსერაიკოსი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-29 | 16 |
| 16. ლარისა | 19 | 3 | 5 | 11 | 12-24 | 14 |

### II დივიზიონი

XIX ტური

ანაგენისი-ოფი 2:1; დოქსა-იონიკოსი 5:1; ლევადია-ტრიკალა 3:1; პანაიტოლიკოსი-აგროტიკოსი 4:0; იანინა-ეთნიკოსი (პ) 3:1; პიერიკოსი-ილუპოლი 2:1; ვერია-პანთრაკიკოსი 0:0; ეთნიკოსი (ა)-კალითეა დღეს; ტრასივულოსი-დიაგორასი დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბბ გაზიანთეფი-ქარსიაკა | 1:0 |
| მერსინი-ადანა | 0:0 |
| ახისარი-სამსუნი | 1:2 |
| ბოლუ-გირეშუნი | 3:0 |
| გიუნგორენი-დენიზლი | 1:1 |
| ორდუ-ერჩიესი | 1:0 |
| რიზე-დიარბაქირი | 1:0 |
| ალთაი-თავშანლი | დღეს |

## ფინეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ჰონკა-მარიეჰამნი | 3:1 |

## კვიპროსი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| აეპ-ოლიმპიაკოსი | 1:3 |
| ენოსისი-ერმისი | 3:1 |
| ომონია-აპოელ | 0:1 |
| დოქსა-ეთნიკოსი | 0:2 |
| აეკ-ალკი | 0:2 |
| აპოლონი-აპოპ | 2:1 |
| ანორთოსისი-აელ | 4:0 |

## უელსი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბალა-ებერისტვიტი | 2:3 |
| ნითი-პრესტატინი | 2:1 |
| ჰავერფორდვესტ-პ. ტელბოტი | გადაიდო |
| ნიუთაუნი-ეირბასი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბანგორი | 22 | 18 | 2 | 2 | 63-25 | 56 |
| 2. ტნს | 20 | 14 | 4 | 2 | 64-22 | 46 |
| 3. ნითი | 20 | 12 | 5 | 3 | 47-21 | 41 |
| 4. ლანელი | 18 | 9 | 4 | 5 | 29-23 | 31 |
| 5. პრესტატინი | 21 | 8 | 6 | 7 | 33-27 | 30 |
| 6 პ. ტელბოტი | 20 | 6 | 6 | 8 | 26-34 | 24 |
| 7. ებერისტვითი | 20 | 6 | 6 | 8 | 25-39 | 24 |
| 7. ეირბასი | 20 | 5 | 6 | 9 | 31-37 | 21 |
| 9. კარმარტენი | 20 | 5 | 4 | 11 | 27-47 | 19 |
| 10. ბალა | 20 | 4 | 2 | 14 | 22-39 | 14 |
| 11. ჰავერფორდვ | 20 | 4 | 2 | 14 | 19-49 | 14 |
| 12. ნიუთაუნი | 19 | 2 | 7 | 10 | 16-39 | 13 |

## ისრაელი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ბ-შ)-ბეითარი | 1:2 |
| ჰაპოელი (აკ)-ჰაპოელი (რ-გ) | 0:0 |
| ჰაპოელი (აშ)-ჰაპოელი (პ) | 0:0 |
| მაკაბი (ჰ)-ბნეი იეჰუდა | 1:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 3:3 |
| მაკაბი (თ-ა)-აშდოდი | 4:1 |
| მაკაბი (ფ-თ)-ბნეი სახნინი | 1:2 |
| ირონი-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

## ჩრ. ირლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-ლინფილდი | 2:4 |

## მექსიკა

III ტური

| | |
|---|---|
| ნეკაქსა-ატლასი | 0:1 |
| კრუს ასული-პუმასი | 3:3 |
| მონტერეი-ატლანტე | 1:0 |
| კერეტარო-მორელია | 0:3 |
| გვადალახარა-სან ლუისი | 1:1 |
| ს. ლაგუნა-პაჩუკა | 1:1 |
| პუებლა-ტეკოსი | 2:0 |
| ტოლუკა-ხაგუარესი | 2:0 |
| ამერიკა-ტიგრესი | გვ. დასრულდა |

## ვენესუელა

II ტური

| | |
|---|---|
| კარაკასი-კარონი | 2:2 |
| მინეროსი-დეპ. პეტარე | 2:1 |
| ელ ვიხია-სულია | 5:1 |
| ანსოატეგი-დეპ. ტაჩირა | 1:0 |
| ატლეტიკო-მონაგასი | 0:2 |
| კარაბობო-ესტუდიანტესი | 3:1 |
| დეპ. ლარა-არაგუა | 1:0 |
| ტრუხილანოსი-იარაკუიანოსი | 1:1 |
| სამორა-რეალ ესპორი | გვ. დასრულდა |

## ავსტრალია

XVII ტური

| | |
|---|---|
| მელბურნი ვ-მელბურნი ჰ | 2:2 |
| გოლდ კოუსტი-ნიუკასლი | 5:1 |
| ველინგტონი-პერტი | 4:0 |
| სენტრალი-სიდნეი | 2:2 |

## აზიის თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ერაყი | 1:0 დ.დ. |
| ირანი-ს. კორეა | 0:1 დ.დ. |

### 1/2 ფინალი

25 იანვარი

იაპონია-ს. კორეა

უზბეკეთი-ავსტრალია

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ოდენსე-ფინი | 1:0 |
| ლუნგბიუ-ნაესტველი | 1:1 |
| ბრონდბიუ-პელერუპი | 5:0 |
| ნომე-ლევადია | 2:2 |
| ლაჰტი-კუოპიო | 1:1 |
| ბრონდბიუ-ჰიკ | 3:0 |
| ბრინი-ალგარდი | 1:2 |
| ლეგია-მორდოვია | 1:1 |
| ბაზელი-ლოზანა | 2:5 |
| ჟილინა-შახტარი | 5:2 |
| იანგ ბოიზი-ტიმიშოარა | 0:0 |
| ლოკომოტივი-ობოლონი | 3:1 |
| სპარტა-ზენიტი | 0:3 |
| პლზენი-მოსტი | 3:3 |
| ნორდსილანდი-ტრელებორგი | 1:1 |
| რიდი-ბრიოლიბი | 1:2 |
| მიონდალენი-ფოლო | 2:2 |
| რაუფოსი-ნიბერგსუნდი | 3:2 |
| ჰობრო-ოლბორგი | 1:2 |
| რაპიდი-სპარტაკი | 1:0 |
| ლინცერი-სტ. გალენი | 1:2 |
| არკა-სიონი | 2:3 |
| აშშ-ჩილე | 1:1 |

## სადღაურსა, სად წეიყვან...

# ქართველი მსოფლიოს ჩემპიონის ქართულ-ამერიკული თავგადასავალი

**„მეტროსკენ გაიქცა იმ იმედით, რომ მატარებელში უსაფრთხოდ იქნებოდა, თუმცა, ერთ-ერთმა პირდაპირი დამიზნებით ესროლა...“**

ბოლო დროს ამერიკაში, ქალაქ მაიამში ცხოვრობს. ცენტრალურ ავენიუზე საკუთარი სახლი აქვს, იქაური მოქალაქეობაც მიიღო, მაგრამ ისევ საქართველოს სახელით გამოდის. თავისი ქვეყანა მან ჩეხეთში გამართულ ვეტერანთა მსოფლიო პირველობაზეც ასახელა, როცა 85 კგ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო...

არადა, სწორედ ქართველის მიერ დაინგრა **ავთანდილ გოგოლიშვილის** სპორტული ცხოვრება, მისი მისამართით ნასროლმა ტყვიამ ლანჩხუთში დაბადებულ-გაზრდილი ფალავანის კარიერა და ოცნებები დაამსხვრია. ყველაფერი იმ ავბედით 1992 წლის 2 თებერვალს მოხდა, როცა სამხედრო საბჭომ სისხლით დაარბია ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა ათეულათასიანი დემონსტრაცია. შესაძლოა, „მეორე მხარეს“ მდგომმა ქართველმა ამოიცნო ფალავანი და ამიტომაც ფეხებში დამიზნებით ესროლა...

თავიდან მამამ ტანვარჯიშზე მიიყვანა ლანჩხუთის სპორტსკოლაში ცნობილ **მიხეილ წილოსანთან**. მანვე გლდანის სპორტულ სკოლაში გადასვლა ურჩია შეგირდს. ორ წელიწადში კი სკოლას ჭიდაობის სექცია დაემატა და ცნობილმა მწვრთნელმა, **ლადო მესტვირიშვილმა** ვარჯიშიც შესთავაზა. ავთომ ჭიდაობა ამჯობინა და მისი კარიერაც თავბრუდამხვევად დაიწყო - 12 წლისა უკვე თბილისში საუკეთესო იყო, ერთ წელიწადში კი საერთაშორისო ტურნირზე ფინალი წააგო მხოლოდ. საბჭოთა სივრცეში თითქმის ყველა ტურნირი მოიგო, არაერთხელ გაიმარჯვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ოლიმპიური ჩემპიონობისთვის ემზადებოდა, მაგრამ... ზემოხსენებულმა მიზეზმა დაუსვა ოცნებას წერტილი. თუმცა ოლიმპიადას ვინ ჩიოდა, ფეხის ამპუტაციას გადაურჩა და წელიწად-ნახევარი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ექიმებმა ჭიდაობის დავიწყება ურჩიეს...

როგორც ვთქვით, ახლა იგი აშშ-ში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. საინტერესოა, რომ ავთანდილს ამერიკაში გადასვლაში მძიმე დროს ყოფილი მეტოქე, ამერიკელი ფალავანი დაეხმარა. ამ ფაქტს და გოგოლიშვილს მაიამის სპორტულმა გაზეთმა ვრცელი წერილი მიუძღვნა.

### ბედისწერის შეცვლა

საქართველოს პატარა ქალაქ ლანჩხუთიდან ჩამოსულ ავთანდილ გოგოლიშვილს ცოტა რამ სმენოდა **ჰენკ პორშერის** შესახებ. იცოდა, რომ იგი იყო ამერიკელი მოჭიდავე, რომელიც ცდილობდა თავისი კეთილი დამოკიდებულება გამოეთქვა ერთადერთი სიტყვით - გამარჯობა. ხოლო ყველაფერი, რაც ჰენკმა იცოდა ავთანდილ გოგოლიშვილზე იყო ის, ავთოს ნახვისას, ქართულად რომ წარმოთქვა - გამარჯობა, ჩემო კარგო მეგობარო.

ვიდრე მათი გზები საჭიდაო ხალიჩაზე შეიყრებოდა, პორშერმა გაიგო, რომ გოგოლიშვილს ჰქონდა ოლიმპიური ოქროს მოპოვების შანსი, რომელიც დაიკარგა იარაღის გასროლასთან ერთად.

1992 წელს პოლიტიკური პროტესტის დროს ტყვიამ ავთო კოჭში დაჭრა, რომელმაც მას არა მარტო ძვლები, არამედ სპორტული მიზნებიც დაუმსხვრია. იგი ტელეეთერით ადევნებდა თვალს ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებს, სადაც ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ მასთან ადრე დამარცხებული ათლეტები.

რვა წლის შემდეგ გერმანიაში გამართულ შეჯიბრებაზე გოგოლიშვილი ბედმა პორშერს საერთო მეგობართან შეახვედრა, რომელიც შემდგომ დაეხმარა მას, შეეცვალა ცხოვრება.

ავთომ ჰენკს გადასცა ფურცელი, რომელზეც ქართულად ნაჩქარევი ხელით რაღაც ეწერა. პორშერი ვერ მიხვდა, რომ ქაღალდი უკუღმა ეჭირა, მაგრამ იმის გაგება კი მოახერხა, რომ ბარათი მისი ყოფილი თანაგუნდელის, **ზვიად აბუსერიძისთვის** იყო განკუთვნილი.

- ამერიკაში მინდა წამოვიდე - წერდა გოგოლიშვილი აბუსერიძეს, - შეგიძლია დამეხმარო, ვიპოვო ვინმე, ვინც ვიზას გამიკეთებს? - მე ვიცი ერთი კარგი ადამიანი, რომელსაც ჰქვია ჰენკი.

ის, რაც შემდგომ პორშერმა მიზნად დაისახა, იყო ზრუნვა გოგოლიშვილის მომავალზე.

ახლა პორშერს, გოგოლიშვილსა და აბუსერიძეს იპოვით იქ, სადაც ჭიდაობაში ვარჯიშობენ და ასწავლიან, სწვდებიან ილეთების საიდუმლოებას ან ფიქრობენ იმ გზაზე, რომელმაც ქაღალდის კვალდაკვალ ორ-ნახევარი წლის მანძილზე ერთმანეთს შეაკავშირა.

იმის თქმა, რომ ყველაფერი გოგოლიშვილის იღბალს მივაწეროთ, არ იქნება სწორი, რადგანაც მან თავად მოიპოვა დროებითი ვიზა იმ იმედით, რომ მოგვიანებით შეძლებდა ოჯახის წევრების წამოყვანასაც. მან მიიღო მუდმივი ბინა თავისთვის, მეუღლისა და ორი პატარა გოგონასათვის. პორშერმა მისცა ფული, სახლი და უშოვა სამსახური. - ვფიქრობ, რომ ღმერთმა შექმნა ჰენკი, ეს ღვთის ნება იყო - თბილ სიტყვებს ეძებს გოგოლიშვილის მეუღლე **ნანა ფაცაცია**, რათა გულითადად გამოხატოს მადლიერება ოკეანისგაღმელი ადამიანის მიმართ.

### პროტესტი და ტყვია

1992 წლის 2 თებერვალი. ამბავი, თუ როგორ გახდა გოგოლიშვილი პორშერის ასისტენტი, იწყება თბილისში. მაშინ მოხდა დაპირისპირება, ათასობით კაცი გამოვიდა ქუჩაში, რათა თავიანთი პროტესტი გამოეთქვათ პრეზიდენტ **გამსახურდიას** გადაყენებასთან დაკავშირებით. მედიას ყურადღება არ გაუმახვილებია ცნობილი ქართველი მოჭიდავის ტრაგედიაზე, რომლის ოლიმპიური ოცნებაც მოკვდა.

სანამ ეს ამბები დატრიალდებოდა, გოგოლიშვილი ნაჩვენები იყო ვიდეოკლიპში, რომელიც გავიდა ინტერნეტით. როცა სროლა ატყდა, ავთოს მუშტი ჩაარტყეს. იმ დროს მას ახლანდელის მსგავსად საოცრად განიერი მხრები და ღონიერი მკლავები ჰქონდა და მარწუხივით მოუჭირა მოძალადეებს, მაგრამ მათ ჰქონდათ იარაღი.

შემდეგ მეტროსკენ გაიქცა იმ იმედით, რომ მატარებელში უსაფრთხოდ იქნებოდა. თუმცა, როცა კიბეზე გადახტა, ერთ-ერთმა პირდაპირი დამიზნებით ესროლა და წვივის ძვალი დაუმსხვრია.

- მიწაზე წაქცეულს მეგონა, ფეხი მომკვეთეს, ვფიქრობდი, რომ იგი აღარ მქონდა, - იხსენებს გოგოლიშვილი.

ექიმებმა ქვემო კიდურის ამპუტაციისგან გადაარჩინეს, მაგრამ მკაცრად გააფრთხილეს, რომ უნდა დაევიწყებინა ჭიდაობა. მან ვერ შეძლო სიარული დაახლოებით წელიწად-ნახევარი.


ავთანდილ გოგოლიშვილი

- როცა ბავშვი ვიყავი, ხშირად ვუყურებდი ავთოს ჭიდაობას. ის იყო უილბლო ლეგენდა. ასი პროცენტით ვერ გეტყვით, მაგრამ 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ჩემპიონი იქნებოდა - ზვიად აბუსერიძე ამას იმიტომ ამბობს, რომ 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე ამერიკელმა **კევინ ჯექსონმა** გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა **გაბრიელოვი** და მოიგო ოლიმპიური ოქრო, მაშინ როცა გოგოლიშვილს პირადი ანგარიში ჯექსონთან - 2:0, ხოლო გაბრიელოვთან - 4:0 ჰქონდა.

- ეჭვი არ მეპარება, რომ ის ისეთივე კარგი მოჭიდავეა, როგორიც ნებისმიერი, ვისთანაც ოდესმე მიასპარეზია. სამწუხაროდ, მას არ ჰქონდა იმდენი შესაძლებლობა, რამდენიც მე, რომ თავისი ქვეყანა წარმოედგინა მსოფლიო ჩემპიონატზე ან ოლიმპიურ თამაშებზე, - ამბობს ჯექსონი.

როცა საჭიდაო დარბაზში ვარჯიშის შემდეგ ისვენებენ, პორშერი ეკითხება გოგოლიშვილს - ეს ყველაფერი გაბრაზებს?

- მაბრაზებს? - კითხვითვე პასუხობს ქართველი ფალავანი.

- ჰო, რადგან შენი სპორტული კარიერა დაიმსხვრა. მე გავბრაზდებოდი - საუბარს აგრძელებს ამერიკელი.

- არა, მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია. მიჭირს იმის თქმა, გავხდებოდი თუ არა ჩემპიონი, რადგანაც ოლიმპიადა სპეციფიკური შეჯიბრებაა. ბევრს აქვს მისი მოგების შანსი.

1996 წლისთვის ფეხი საკმაოდ მოუშუშდა იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო ატლანტის ოლიმპიადაზე, მაგრამ დრო და ძალა აღარ ეყო აღედგინა ძველი ფორმა, უილბლო ლეგენდა ამჯერად მეათე ადგილს დასჯერდა.

- ზოგი მოძრაობა ქართულიდან და რუსულიდან არ ითარგმნება და ავთო ცნობილი მოჭიდავეების სახელებს არქმევს, რომლებიც შესაბამის ილეთებს ჩინებულად ფლობდნენ - გვიყვება პორშერი - ის ხშირად იძახის **ხაბელოვის** გვარს (მსოფლიოს ექსჩემპიონი საქართველოდან და **ეშლი ჩარზლს**). ეს არის კოდი, რომელსაც ჩვენ ვავითარებთ.

აბუსერიძე და პორშერი ემზადებოდნენ ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის გერმანიაში 2000 წელს, როცა ზვიადმა წააქცია ჰენკი უჩვეულო მოგვერდული გდებით.

- ეს შეიძლება გააკეთო ბავშვებში, მაგრამ შეუძლებელია იგი გამოიყენო კარგ მოჭიდავესთან - უთხრა პორშერმა აბუსერიძეს. - ჩემმა მეგობარმა ეს შეასრულა კევინ ჯექსონთან და აილო 5 ქულა - მიუგო ზვიადმა.

კიდევ ერთი რამ მოხდა, სანამ პორშერი გაემგზავრებოდა გერმანიაში. სახელდობრ, აბუსერიძემ მას ასწავლა ქართულად, როგორ წარმოეთქვა - გამარჯობა, ჩემო კარგო მეგობარო.

### „მე მან მომიგო, თუმცა...“

გერმანიაში ყოფნისას პორშერმა ერთხელ შენიშნა, რომ მის გვერდით მდგარ მოჭიდავეს ხელში ეჭირა ქართული პასპორტი და მან გამოსცადა თავისი ცოდნა ახალ ენაში.

- გამარჯობა - უპასუხა გოგოლიშვილმა ისე, რომ მის მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოუჩენია. მას შემდეგ, რაც ჩვენ დავასრულეთ ჭიდაობა, დავინახე, რომ ის და კევინი ერთად საუბრობდნენ. ბოლოს ერთმანეთს გადაეხვივნენ და ის წავიდა. მე შევეკითხე კევინს, თუ იცნობ ამ ჭაბუკს, ოდესმე თუ გიჭიდავია მასთან-მეთქი. ჯექსონმა მითხრა - დიახ, ვიცნობ, მან ორივეჯერ მომიგო. სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია. იქვე, კევინმა უცნაური რამ თქვა, - მას აქვს საოცარი მოგვერდული ფანდი, რომლითაც ორჯერ სუფთად გამაკრა ბეჭებზე.

აი, როგორ დაამყარა პორშერმა კავშირი აბუსერიძესა და გოგოლიშვილს შორის. ახლა პრობლემა ის იყო, როგორმე გაეგებინებინა ის გოგოლიშვილისთვის. იგი შეეცადა ეთქვა სიტყვა ზვიადი, ოღონდ არ იცოდა, ეს სახელი საქართველოს ყველა კუთხეში უამრავ ადამიანს რომ ერქვა. პორშერმა მიუთითა მკერდზე - მე მეცვა პერანგი, რომელზეც ფლორიდა იყო გამოსახული. ის მიხვდა, რომ ვიცნობდი ზვიადს და აიღო კალამი და ფურცელი.

გოგოლიშვილსა და აბუსერიძეს ოთხი წელი არ ენახათ ერთმანეთი, მაგრამ, რადგან ისინი იყვნენ მოჭიდავეები, ეს იმას ნიშნავდა, რომ იყვნენ ძმები.

წერილში გოგოლიშვილი უხსნიდა მას, რომ დრო იყო, დაეტოვებინა საქართველო, სადაც უმუშევრობა მეფობდა, მაგრამ თავდაპირველად პორშერსა და გოგოლიშვილს საქმე ჰქონდათ საჭიდაო ხალიჩაზე.

- მე მან მომიგო, თუმცა შეჯიბრების განმავლობაში შევძელით საუბარი. მე ვიყენებდი ცუდ რუსულს, ის ყოველთვის მისწორებდა, მასწავლიდა, როგორ გამომეთქვა იგი ქართულად.

ჭიდაობის უპირატესობა სხვა სახეობასთან იმაში მდგომარეობს, რომ იგი უაღრესად რაინდული სპორტია. მაშინაც კი, თუ არ იცი მეტოქის ენა, მაინც ხვდები სადაურია და სად ყოფილა.

სურვილი გოგოლიშვილის ჩამოყვანისა შეერთებულ შტატებში, იყო ერთი, ხოლო მისი სისრულეში მოყვანა - სრულიად განსხვავებული.

პორშერს ჰყავს ორი ბიოლოგიური შვილი. ამასთან, მან და მისმა მეუღლემ იშვილეს ჩინელი თენგი და ზანგი გრენიტი.

### ქართული გვარი ამერიკელს

2003 წლის 18 ივლისს 24 საათზე მეტი ხნის მგზავრობის შემდეგ გაიღო მაიამის საერთაშორისო აეროპორტის ორივე კარი. ამერიკის მიწაზე ფეხი გადმოდგეს ავთო და ნანა გოგოლიშვილებმა ოთხი წლის მარიამთან და ორწლინახევრის ქეთევანთან ერთად. ყველა გადაეხვია ერთმანეთს და მოგროვდნენ პორშერის მანქანასთან. ისეთი აღფრთოვანებულები, აღელვებულები იყვნენ, მასპინძლები ძლივს მიხვდნენ, რომ ოჯახს საშინლად შიოდა.

გოგოლიშვილები პორშერის სასტუმრო სახლში დარჩნენ 10 თვის განმავლობაში. ცოტა ხნის წინათ ავთო შეეცადა, გადაეხადა 2000 დოლარი, რომელიც ჰენკმა მისცა მას, როცა ჩამოვიდა, მაგრამ ამერიკელი მეგობრისგან თავაზიანი უარი მიიღო.

სამაგიეროდ, გოგოლიშვილმა და აბუსერიძემ მას მისცეს ისეთი რამ, რომელსაც იგი უკან ვეღარ დააბრუნებდა.

- მე ვაძლევ მას ქართულ გვარს - პორშერიშვილს, რადგან ის ნამდვილი ადამიანია - აცხადებს აბუსერიძე.

პორშერი ახლაც ახსენებს გოგოლიშვილს, მათ პირველ ცივ საუბარს. გოგოლიშვილის ეშმაკური ჩაცინება ამტკიცებს, რომ ზოგჯერ არაა აუცილებელი სიტყვები...

ავთო დღეს იმაზე ფიქრობს, თუ როგორ ჩქარა გავიდა დრო იმ ცივი საუბრიდან და რამდენად შორს წამოვიდა მისი ოჯახი.

**მათე გურული**

ჭადრაკი

# მაია ლომინეიშვილმა უმაღლესი საფეხურიდან მეხუთედ გადმოიხედა



მაია ლომინეიშვილი

ექვსი მოგება, ხუთი ყაიმი და ერთი მარცხი — ასეთი მონაგრით დაამთავრეს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატი **მაია ლომინეიშვილმა** (2345) და **ბელა ხოტენაშვილმა** (2440), რომლებმაც საბოლოოდ 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს. შაბათს ბოლოსწინა ტურში ლომინეიშვილმა მირანდა მიქაძე (2362) დაამარცხა, გუშინ კი **ნინო ხურციძეს** (2436) დაუზავდა, ხოტენაშვილმა **ნინო ბაციაშვილთან** (2396) და **მარიამ დანელიასთან** (2248) პაექრობისას ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, თუმცა, ვერცხლის მედალს მაინც ვერ გასცდა, რადგან მაიამ, რომლის დაოსტატებაშიც დიდი წვლილი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **გოგი მაჭარაშვილს** მიუძღვის, კოეფიციენტით აჯობა მეტოქეს და ჩემპიონობაც მეხუთედ მოიპოვა.

ბოლო ორი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: XII ტური. **სოფიკო ხუხაშვილი** (2437)-**სალომე მელია** (2449) 0,5:0,5, **ნაზი პაიკიძე** (2455)-**მერი არაბიძე** (2315) 0,5:0,5, მარიამ დანელია (2248)-**მაკა ფურცელაძე** (2323) 0,5:0,5, **ლელა ჯავახიშვილი** (2438)-**სოფიო ნიკოლაძე** (2254) 1:0. XIII ტური. დაზავდნენ: ფურცელაძე-ჯავახიშვილი, არაბიძე-ბაციაშვილი, მელია-პაიკიძე, მიქაძე-ხუხაშვილი.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: **1. მაია ლომინეიშვილი (8,5), 2. ბელა ხოტენაშვილი (8,5), 3. ნინო ხურციძე (7), 4. მაკა ფურცელაძე (7), 5. ლელა ჯავახიშვილი (6,5), 6. სალომე მელია (6,5), 7. სოფიკო ხუხაშვილი (5,5), 8. სოფიო ნიკოლაძე (5,5), 9. ნაზი პაიკიძე (5), 10. მირანდა მიქაძე (5), 11. ნინო ბაციაშვილი (5), 12. მარიამ დანელია (4,5), 13. მერი არაბიძე (3,5) ქულა.**

გამარჯვებულსა და პრიზიორებს სხვადასხვა სინჯის მედლები და ფულადი ჯილდოები (შესაბამისად, 4000, 3500 და 3000 ლარი) გადაეცათ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია სამივე დიდოსტატს ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

**ვაჟა დანელია**

# ფინალებიც დაიწყო

მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში ფინალების ჯერიც დადგა. უკვე გაუწყეთ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლის უფლება **ლევან ფანცულაიამ** მოიპოვა. მისი მეტოქე შაბათს გამოვლინდა: ტაიბრეიკებში **დავით ზარქუამ** ორივე 25-წუთიანი პარტია მოუგო **ლუკა პაიჭაძეს.**

გუშინ ჩემპიონობისთვის ფანცულაია და ზარქუა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი პარტია ყაიმით დამთავრა. სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედლისთვის გამართულ მატჩში. **გიგა ყუფარაძემ** ლუკა პაიჭაძეს აჯობა. ორივე ფინალში მეტოქეები კიდევ სამ-სამ ორთაბრძოლას გამართავენ.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა

## ალექსი ახვლედიანი

# მანეჟში ცივა... მაგრამ გავათბობთ

დიდუბის მანეჟში 1994-1997 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა თბილისის პირველობაში მასპინძლებთან ერთად ბორჯომელებმა და გორელებმაც იასპარეზეს. სულ მედლებისთვის 200-მდე გოგო-ბიჭმა იბრძოლა. ორგანიზატორთა აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ წლეულს ეს პირველი შეჯიბრება იყო, მოზარდებს ურიგო შედეგები არ უჩვენებიათ. თანაც გაყინულ დარბაზში.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **გიორგი აზარაშვილმა** — სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის **მაია აზარაშვილის** ძმისშვილმა, რომელმაც ერთი თვის წინათ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც იყოჩალა სამჭიდში, თბილისის პირველობაზე კი სამი პირველი ადგილი დაიკავა. ასევე წარმატებით იასპარეზა **სოფი ჩალაშვილმა,** რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქში მეორე იყო — მცირედით ჩამორჩა თანაგუნდელ **სალომე სირაძეს,** აქ კი ორი ოქრო დაიმსახურა; ნესტან დათუნაშვილს სამი ოქრო ხვდა.

### ქვარცხლბექი

**გოგონები. 60 მ.** 1. ნესტან დათუნაშვილი (8,3), 2. ნინო ზიმზიბაძე (8,6), 3. სალომე ხაჟომია (8,7); **60 მ/თ.** 1. ნესტან დათუნაშვილი (10,8), 2. სალომე ჩაბაკაური (10,8), 3. თამრიკო შამოევა (11,6); **150 მ.** 1. სოფი ჩალაშვილი (20,2), 2. მარიამ ბედუკაძე (21,1), 3. ნესტან დათუნაშვილი (21,3); **300 მ.** 1. სოფი ჩალაშვილი (45,2), 2. მარიამ ბედუკაძე (45,7), 3 ანა ვახტანგაძე (45,8); **600 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 1.43,6), 2. ანა ვახტანგაძე (1.52,8), 3. თამრიკო შამოევა (1.54,4); **1000 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 3.12,4), 2. თამრიკო შამოევა (3.47,4), 3. მარი ჩხენკელი (4.11,2); **სიგრძე.** 1. ნესტან დათუნაშვილი (4.47), 2. სალომე ჩაბაკაური (4.30), 3. თამუნა კურატიშვილი (4.11); **სიმაღლე.** 1. მარიამ ოდოშაშვილი (1,05 მ), 2. გულიკო როსტიაშვილი (1,00).

**ბიჭები. 60 მ.** 1. გიორგი აზარაშვილი (7,2), 2. გიგა ქიქაძე (7,3), 3. ვაჟა უთურაშვილი (7,4); **60 მ/თ.** 1. ჯიმი მურადოვი (10,4); **150 მ.** 1. გიორგი აზარაშვილი (17,7), 2. თემურ აზრუმელაშვილი (18,4), 3. გიგა ბერძენიშვილი (18,8); **300 მ.** 1. გიორგი აზარაშვილი (39,2), 2. თემურ აზრუმელაშვილი (40,2), 3. გიგა ბერძენიშვილი (41,3); **600 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 1.31,9), 2. ჯიმი მურადოვი (1.41,2), 3. ზურაბ ისოიანი (1.42,1); **1000 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 2.49,6), 2. ირაკლი მნითურიძე (3.22,6), 3. სანდრო ლამბაშიძე (3.26,6); **სიგრძე.** 1. თემურ აზრუმელაშვილი (5.55), 2. გივი ბერძენიშვილი (5.40), 3. ვაჟა უთიაშვილი (5.00); **ბირთვი.** 1. თორნიკე სვანიძე (12.25), 2. ბაჩა სამხარაძე (10.70), 3. კოტე კვესიტაძე (9.49).

ახალგაზრდა მძლეოსანთა შეჯიბრებას ესწრებოდა ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტი **ალექსი ახვლედიანი,** რომელმაც შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

- გაოცებული ვარ, რომ ასეთ პირობებში ამდენი ბავშვი მოვიდა საასპარეზოდ. აქ ხომ ელემენტარული პირობებიც არ არის როგორც შეჯიბრების, ისე ვარჯიშების ჩასატარებლად. დარწმუნებული ვარ, მოზარდებს ოდნავ მაინც რომ გავუუმჯობესოთ პირობები, მონაწილეთა რაოდენობაც და შედეგებიც საგრძნობლად გაიზრდება.



ალექსი ახვლედიანი აჯილდოებს გიორგი აზარაშვილს

მინდა გითხრათ, რომ უკვე დავუკვეთეთ მანეჟის სარეკონსტრუქციო საპროექტო სამუშაოები. 18 თვის განმავლობაში აქ ყველაფერი მწყობრში უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ ახლოვდება ლონდონის ოლიმპიური თამაშები და თბილისის 2015 წლის ოლიმპიურ ფესტივალამდე არც ისე შორია, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომავალი წლის ზამთრისთვის დარბაზი გავათბოთ და სარბენი ბილიკები დავაგოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ორი დღეა ამ გოგო-ბიჭებს ვუყურებ და გული სიხარულით მევსება — არავითარი წუწუნი, ნამდვილი პროფესიონალებივით აკეთებენ თავიანთ საქმეს და ჩვენ უფლება არ გვაქვს, მათი თავდადება და შემართება არ დავაფასოთ. უფროსები ოდნავ მეტად თუ გავირჯებით, კვლავაც გვეყოლებიან დუმბაძეები, შავლაყაძეები, აზარაშვილები...

**- რეგიონებზე რას იტყვით?**

- იქ უფრო რთულადაა საქმე. თუმცა ერთგვარი წინსვლა იქაც იგრძნობა. მაგალითად, ბათუმში ასაშენებელ სტადიონზე ჩვენი მოთხოვნით კორექტივები შეიტანეს - იქ გაკეთდება თანამედროვე სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები. ქუთაისის სტადიონის მესვეურებთან სულ მალე მოლაპარაკებას გავმართავთ, რათა, ეროვნული სტადიონის მსგავსად, იქაც საჭიროებისამებრ შეგვეძლოს შეჯიბრების ჩატარება. დანარჩენი კი მერე ვნახოთ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი



კოკაი ელიტური დივიზიონიდან პირველად გავარდება

# ქართველთა უიღბლობა დასრულდა

## დიდი ჩემპიონის დიდი სიხარულები

დასრულდა ქართველთათვის ყველაზე უიღბლო ბაშო - სამმა ქართველმა სუმოისტმა, **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი), **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) და **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) ჯამში სულ 12 გამარჯვებას მოუყარა თავი. არადა ყოფილა შემთხვევა „შავ ზღვად" წოდებულ (კოკაი იაპონურად შავ ზღვას ნიშნავს) ქართველს მარტოს მოუპოვებია ელიტაში ამდენი გამარჯვება. უარყოფითი ბალანსი ყველაზე ცუდად სწორედ კოკაის კარიერაზე აისახება - ის პირველად ელიტური დივიზიონიდან გავარდება, ტოჩინოშინი და გაგამარუ კი უბრალოდ დაქვეითდებიან რეიტინგში. ბოლო ორი დღის ამბებიდან ჩვენებურთა ერთ ბრძოლას გავიხსენებთ - ერთმანეთის პირისპირ ტოჩინოშინი და გაგამარუ დადგნენ, ქართულ დერბიში ტოჩინოშინმა იმარჯვა.

იმპერატორის თასის მფლობელი მე-18-ედ გახდა დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო,** რომელმაც 15 ორთაბრძოლიდან 14 მოიგო და ახლოსაც არავინ გაიკარა. დღეისათვის დიდი მონღოლი უკონკურენციოა. სხვათა შორის, ბაშოს ბოლო დღეს ჰაკუჰომ დიდებული ამბავი შეიტყო - ტოკიოს კლინიკაში ქვეყანას მისი მეორე ქალიშვილი მოევლინა.

XIV დღე: **ჰაკუჰო-ბარუტო (სუკუინაგე), კაიო-კოტოოშუ (კოტენაგე), კოტოშოგიკუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), კისენოსატო-ოკინოუმი (იორიკირი), კაკურიუ-ტამავაში (ჰატაკიკომი), ტოჩიოძანი-ჰომაშო (ოშიდაში), ამინიშიკი-არანი (ოშიტაოში), ტოიონოშიმა-ტოკუსეგავა (ცუკიოტოში), იოშიკაძე-ასასეკირიუ (იორიტაოში), ტოჩინოშინი-გაგამარუ (შიტატენაგე), გოეიდო-ტოკიტენკუ (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ვაკანოსატო (იორიკირი), ჰაკუბა-ტოსაიუტაკა (სუკუინაგე), ტაკეკაძე-ტოჩინონადა (ოშიდაში), კიტატაიკი-სოკოკურაი (იორიკირი), კოტოკასუგა-ტაკამისაკარი (იორიკირი), მიაბიამა-ტოიოძაკურა (ცუკიოტოში), ტაკაიასუ-შიმოტორი (ჰიკიოტოში), ვაკაკოიუ-შოტენრო (ჰატაკიკომი), მოკონამი-კოკაი (იორიკირი), კორიუ-ტოიოჰიბიკი (ოშიდაში), კიმურაიამა-საკაიზავა (ოშიდაში).**

ბოლო დღე: **ჰაკუჰო-კაიო (ოკურიდაში), კოტოოშუ-ბარუტო (იორიტაოში), კისენოსატო-ჰარუმაფუჯი (ოშიდაში), გოეიდო-კოტოშოგიკუ (კატასუკაში), ტოჩიოძანი-გაგამარუ (ოშიდაში), ჰომაშო-კაკურიუ (იორიკირი), ტოიონოშიმა-ტამავაში (სოტოგაკე), ამინიშიკი-ასასეკირიუ (უვატენაგე), ტოჩინოშინი-არანი (იორიკირი), იოშიკაძე-შიმოტორი (ოშიტაოში), ტოკუსეგავა-ოკინოუმი (ჰატაკიკომი), კიოკუტენჰო-ტოიოძაკურა (კიმედაში), ტაკეკაძე-ტოიოჰიბიკი (ჰატაკიკომი), ტოსაიუტაკა-ტოჩინონადა (უვატენაგე), კიტატაიკი-მოკონამი (სოტოგაკე), ტოკიტენკუ-კოკაი (იორიკირი), სოკოკურაი-ტაკამისაკარი (იორიკირი), ვაკანოსატო-კორიუ (კატასუკაში), მიაბიამა-კიმურაიამა (ოშიდაში), ვაკაკოიუ-ჰაკუბა (ოშიდაში), შოტენრო-კოტოკასუგა (ოშიდაში).**

### საბოლოო მდგომარეობა

**14-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), **11-4:** კოტოშოგიკუ (სეკივაკე), გოეიდო (მაეგაშირა 5), ოკინოუმი (მ 13). **10-5:** კოტოოშუ (ოძეკი), კისენოსატო (სეკივაკე). **9-6:** კაიო (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), ტოკუსეგავა (მ 4), კიტატაიკი (მ 8), ვაკაკოიუ (მ 14), ტოიოჰიბიკი (მ 15), ტოჩინონადა (მ 16). **8-7:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კაკურიუ (კომუსუბი), ტოიონოშიმა (მ 1), ჰომაშო (მ 4), ტაკეკაძე (მ 7), ვაკანოსატო (მ 9), ჰაკუბა (მ 10), შოტენრო (მ 11), კორიუ (მ 12), მოკონამი (მ 12), კოტოკასუგა (მ 13), სოკოკურაი (მ 16). **7-8:** კიოკუტენჰო (მ 6), ტოსაიუტაკა (მ 7). **6-9:** ტოჩიოძანი (კომუსუბი), ამინიშიკი (მ 1), ასასეკირიუ (მ 5), ტოკიტენკუ (მ 8), ტაკამისაკარი (მ 9), მიაბიამა (მ 10), კიმურაიამა (მ 14). **5-10:** არანი (მ 3), ტამავაში (მ 3), **გაგამარუ** (მ 6), ტოიოძაკურა (მ 17). **4-11: ტოჩინოშინი** (მ 2), იოშიკაძე (მ 2). **3-12: კოკაი** (მ 15). **2-13:** შიმოტორი (მ 11).

იმპერატორის თასი: **ჰაკუჰო (მე-18)**

ბრწყინვალე ასპარეზობა: **კისენოსატო (მე-4)**

მებრძოლი სული: **ოკინოუმი (1)**

ტექნიკური რიკიში: **კოტოშოგიკუ (მე-3)**

ძურიოს ჩემპიონი: **კასუგაო (მე-2)**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო-თხილამურობა

# ავსტრიაშიც გამოჩნდნენ

ერთთვიანი პაუზის შემდეგ ქართველებმა კვლავ იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირებში. შეგახსენებთ, რომ ამიერიდან ჩვენი ნაკრების ლიდერ **იასონ აბრამაშვილს** განსხვავებული გრაფიკი ექნება გუნდის სხვა წევრებთან შედარებით, რადგან ის მზადებას ინსბრუკთან მდებარე კლუბ „ყაზბეგში" გააგრძელებს, სხვები კი - არა. სამშობლოდან ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ იასონმა პირველ ტურნირში სცადა ბედი, მაგრამ ვესტენდორფის სლალომში პირველი ცდა ვერ დაასრულა. ჩვენი ნაკრების სხვა წევრები კი ზანკტ ლამბრეხტში (ავსტრია) სლალომსა და გიგანტურ სლალომში მონაწილეობდნენ. სლალომში ჩვენებურებში უკეთ **კოტე ვახტანგიშვილმა** ისრიალა, მან 24-ე ადგილი დაიკავა, 26-ეზე გავიდა **ჯაბა გელაშვილი,** 54-ე ადგილს დასჯერდა **ბიძინა ქართველიშვილი,** ხოლო **ალექსი ბენიაიძეს** მე-2 ცდა გაუცუდდა.

გიგანტურ სლალომში ჯაბა გელაშვილმა იყოჩაღა, რომელმაც მე-6 ადგილი დაიკავა, სხვა ჩვენიანებმა კი ტრასა ვერ ჩაამთავრეს. ქალთა გიგანტურ სლალომში **ნინო წიკლაური** მე-17 იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# პირველის ქვალობაზე არა უშავს




28 წლის **მაკა ჩახნაშვილისთვის** (257) სეზონი ურიგოდ არ დაიწყო - მან პირველივე ტურნირში, ფრანგულ ანდრეზიო-ბუტეონში (25 ათასი $) მეოთხედფინალში გააღწია, თანაც გზად ტურნირის პირველი ჩოგანი **მაგდა ლინეტე** (პოლონეთი, 176) ჩამოიცილა. მეოთხედფინალში საქართველოს ყოფილ პირველ ჩოგანს ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვა** (246) ელოდა, სამსეტიანი ბრძოლა ჰოფმანოვამ მოიგო - 5:7, 6:1, 6:4 (მატჩი 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა). ქართველმა სეზონის პირველ ტურნირში 14 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

ამ დღეებში მაკა გრენობლის (საფრანგეთი) ტურნირში გადაერთვება, რომლის საპრიზო ფონდიც 25 ათასი დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ლელოელები თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს შიდა ქართლში ვასილ ბალახაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

## კალათბურთი

### მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი

# თსუპერი!



**ფინალი**

**რუსთავი, 23 იანვარი**

**თსუ-სოხუმი 102:86**

24:19, 24:26, 33:23, 21:18

თსუ: ხიზანიშვილი (2ქ), გაფრინდაშვილი (11ქ, 6პ), კოხრეიძე (7ქ, 11მ, 7პ), ლონდარიძე (25ქ, 15ქ, 3პ), კორკოტაძე (10ქ, 4პ), ჩიტაშვილი (2ქ), მათიაშვილი (19ქ, 11მ, 3პ, 4დ), მ. ბერიშვილი (25ქ, 9მ), ჩქარეული (1ქ)

სოხუმი: ფარლალავა (25ქ, 6პ, 4ჩ), ჰარისი (23ქ, 5პ), კვეტენაძე (3ქ, 7მ), შანიძე (11ქ, 5ჩ), სორდია (2ქ), კანკია (3ქ), რ. დამუსი (16ქ, 14მ, 3დ), ანთაძე (3ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი

კომისარი: რ. ხომერიკი

ოლიმპიური ჩემპიონების, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი თსუ-მ მოიგო. ამით ყველაფერი ნათქვამია: შეჯიბრებას ყველაზე კარგად მომზადებული თსუ შეხვდა, ყველაზე უკეთესი კალათბურთი უჩვენა და საპატიო თასიც სხვებზე მეტად დაიმსახურა.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალი მეხუთედ გაიმართა, წინა ოთხ შეჯიბრებაში გამარჯვება რუსთავის „ენერჯის" დარჩა. თსუ-ს ყულაბაში გუშინ მოპოვებული თასი რიგით მეორე ჯილდოა - მანამდე, 2006 წელს, საქართველოს თასი აქვს მოგებული.

■ ■ ■

მემორიალის ფინალისტ „სოხუმს" კი კარგი შანსი ჰქონდა თასების შეგროვება გუშინდელი დღიდან დაეწყო, მაგრამ... ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩებში „სოხუმსა" და თსუ-ს სხვადასხვა ძალის გუნდები შეხვდათ: სტუდენტებმა მთავარ ფავორიტ შსს-ს სძლიეს, ხოლო „სოხუმმა" დეკემბრის შემდეგ შესუსტებულ „ენერჯის" აჯობა. შესაბამისად, ფინალის წინ მეტი ენერგია **ვაჟა კვარაცხელიას** შეგირდებს უნდა შერჩენოდათ. თუმცა, როგორც მატჩის ბოლოს გამოჩნდა, ფინალამდე ერთდღიანი დასვენება თსუ-სთვის ენერგიის ალსადგენად საკმარისი აღმოჩნდა. ამიტომაც ვიხილეთ დაძაბული და საინტერესო მატჩი.

სტუდენტების სტრატეგია თავიდანვე გამოიკვეთა: ბურთი სწრაფად გადაჰქონდათ მეტოქის მოედანზე და შეტევის პირველივე ფაზაში დაგვირგვინებას ცდილობდნენ. საბოლოოდ თსუ-მ პირველი შეტევით 25 ქულა მოიპოვა (3-ით მეტი მეტოქეზე). „სოხუმს" პირველი ტაიმის ერთ მონაკვეთში დაცვაში მწყობრად დადგომა გაუჭირდა და თსუ-მ **მიხეილ ბერიშვილის** (პირველ ტაიმში 19 ქულა ჩააგდო) შენევნით 12-ქულიანი ფორა მოიპოვა. სოხუმელებმა მალევე გამოასწორეს დაცვაში თამაში და შეტევაც დალაგდა: **იუჯინ ჰარისი** და **ლაშა ფარლალავა** სწრაფი დრიბლინგების შედეგად აგროვებდნენ ქულებს, ხოლო **რიჩარდ დამუსი** მოხსნილ ბურთებს კალათში აბრუნებდა. შესაბამისად, დიდ შესვენებამდე „სოხუმმა" ანგარიში სამ ქულამდე შეამცირა - 45:48.

შესვენებიდან დაბრუნებულმა თსუ-მ მოწინააღმდეგეს კვლავ მაღალი ტემპი შესთავაზა, გამთამაშებელ **გიორგი გაფრინდაშვილს** კარგად აუბა მხარი ფორვარდმა **ილია ლონდარიძემ** და 9:0 სპურტის შემდეგ თსუ-მ კვლავ 12-ქულიანი ფორა აღადგინა - 57:45. აქვე გეტყვით, რომ მატჩის ბოლომდე სტუდენტებს ინიციატივა არ დაუთმიათ, არადა მწვრთნელის, **ნუგზარ ჭეიშვილის** ადგილას, ზოგი შეიძლება ჩიხში აღმოჩენილიყო. საქმე ისაა, რომ თსუ-ს ტრავმის გამო აკლდა ორი სასტარტო კალათბურთელი, **გიორგი მარხვაშვილი** და **მიხეილ ფანჩულიძე**. ბოლო პერიოდში ხუთ-ხუთი ჯარიმის გამო მოედანი დატოვეს **მიხეილ ჩიტაშვილმა**, გიორგი გაფრინდაშვილმა, მიხეილ ბერიშვილმა და **რიჩარდ მათიაშვილმა**. ვინ დარჩა? - იკითხავთ. არ დაგზარდებით და მათ გვარებსაც ჩამოგითვლით, ვინც მატჩი ჩაამთავრა, თანაც ისე, გუნდის არ დატყობია, რომ მოედანზე სასტარტოები არ იყვნენ - **ვახტანგ ჩქარეული, დავით ხიზანიშვილი, შალვა კოხრეიძე**, ილია ლონდარიძე, **ზურაბ კორკოტაძე**.

საფინალო სირენამდე 3:27 წუთით ადრე ჰარისმა „სოხუმს" გამარჯვების იმედი დაუბრუნა - სამქულიანით სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა, მაგრამ, როგორც გითხარით, თსუ-ელებმა მოპოვებული უპირატესობა ბრძოლით შეინარჩუნეს...

■ ■ ■

*- 7 კალათბურთელით ვთამაშობდით და ჯარიმების გამო ოთხი გაგვიგდეს, კარგად გაისარჯნენ სათადარიგოები. წარმატების მთავარი გარანტი ფიზიკური მომზადება იყო. ამ ტურნირისთვის იანვრის დასაწყისიდან აქტიურად ვემზადებოდით, ვიცოდით, „არმია" არ მონაწილეობდა, რაც ჩვენს შანსებს ზრდიდა. მართალია, მძიმე ჯგუფში მოვხვდით, პარასკევს შსს-ს წინააღმდეგ ვითამაშეთ, მაგრამ კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ თავისი გაიტანა, მთელი თამაში პრესინგი ვითამაშეთ და თასი დამსახურებულად მოვიპოვეთ,* - ასეთი იყო თსუ-ს მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილის მატჩის შემდგომი კომენტარი.

მისმა გუნდმა ფინალი დამსახურებულად რომ მოიგო, ამაზე ციფრებიც მეტყველებს. თსუ-მ „სოხუმს" მოხსნებში 62:43 აჯობა (რადგან დანაკლისზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ **კარლ დამუსი** და **პეტრას ბალოჩკა**. პირველს ხელის ტრავმა აქვს, ხოლო ბალოჩკამ ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ საფრანგეთს მიაშურა). თსუ-მ 66-დან 33 ორქულიანი ჩააგდო, „სოხუმმა" 53-დან 24; თსუ-მ 12-დან 6 სამიანი გამოიყენა, „სოხუმმა" 30-დან 7 სამიანი; თსუ-ელებმა 25 პასი შეასრულეს, სოხუმელებმა - 16. საინტერესო ციფრები წერია შეცდომების გრაფაში: თსუ-მ ბურთი 24-ჯერ დაკარგა, „სოხუმმა" - 18-ჯერ, თუმცა მეტოქების შეცდომების შედეგად „სოხუმმა" 14 ქულა ჩააგდო, ხოლო თსუ-მ - 16.

■ ■ ■

რადგან სტუდენტთა კაპიტანი, მიხეილ ფანჩულიძე ტრავმირებულია, ქორქია-საკანდელიძის თასი ვიცე-კაპიტანმა გიორგი გაფრინდაშვილმა აღმართა. გიორგისვე ხვდა ტურნირის საუკეთესო უკანახაზელისთვის განკუთვნილი ჯილდო. №1 ფორვარდად კი ილია ლონდარიძე დასახელდა, რომელსაც თასთან ერთად რადიო „ჯაკოსგან" მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ოჯახის წევრების ხელმოწერებით დამშვენებული ბურთი გადაეცა.

რუსთავის დარბაზი 26 იანვრამდე დაგვემშვიდობა. ამ დღეს საქართველოს თასის გათამაშება დაიწყება...

## როჯერსი ბრუნდება

დღეს დილას საქართველოში კიდევ ერთი ამერიკელი კალათბურთელი ჩამოფრინდება - **ჯეფ როჯერსი**. იგი „სამედიცინოს" ღირსებას დაიცავს.

- განაცხადში ერთი თავისუფალი ადგილი გვქონდა. არაერთი ვარიანტი განვიხილეთ და გადავწყვიტეთ ჯეფ როჯერსი ჩამოგვეყვანა, რომელიც 2000-2002 წლებში ბათუმის „ბასკოში" თამაშობდა. ჯეფს საქართველოში უცხოვრია, აქაურობას კარგად იცნობს და აკლიმატიზაციის გავლა არ გაუჭირდება, - გვითხრა „სამედიცინოს" თავკაცმა **ნუგზარ კანდელაკმა**.

ჯეფი ბოლოს ნორვეგიის „ჰერსტად ვიკინგსში" გამოდიოდა.

### ქართველი NBA-ში

# სასტარტოში



# ფაჩულია: ესეც რეაბილიტაცია!

ბოლოს და ბოლოს „ატლანტა ჰოქსის" მწვრთნელმა, **ლარი დრიუმ ზაზა ფაჩულია** სასტარტო შემადგენლობაში დააყენა (მიმდინარე სეზონში პირველად). ზაზას ხუთეულში მოხვედრა ფეხბედნიერი აღმოჩნდა ჯორჯიელთათვის - „შარლოტთან" სტუმრად 103:87 გაიმარჯვეს. ქართველმა ცენტრმა 27:57 წუთში თანაგუნდელებს დიდი სარგებელი მოუტანა - 9 ქულა, 8 მოხსნა.

არადა, შარლოტში გამგზავრებამდე „ჰოქსი" შინ „ნიუ ორლეანთან" შერცხვა - 59:100. ბოლო 42 წლის განმავლობაში, მას მერე, რაც გუნდს „ატლანტა" ჰქვია, ჯორჯიელებმა ყველაზე ცოტა სწორედ „ორლეანთან" ჩააგდეს (59 ქულა). აქამდე მათი ანტირეკორდი 1996 წელზე მოდიოდა - „კლივლენდთან" მატჩში 63 ქულას ვერ ასცდნენ.

*- „ნიუ ორლეანთან" დიდი სხვაობით ნაგების შემდეგ რეაბილიტაციის შანსი შარლოტში გვქონდა. არადა, ორლეანელებთან ისე დავმარცხდით, რომ თუნდაც ფსიქოლოგიური ფონის გაუმჯობესება იოლი არ იყო. ჩვენ ეს შევძელით, დამაჯერებლად გავიმარჯვეთ,* - ზაზა ფაჩულიას კომენტარი გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" დაიბეჭდა.

„შარლოტთან" „ჰოქსმა" მთელი თამაში სტაბილურად ჩაატარა. *„მიუხედავად იმისა, რომ „ქორებს" ტრავმების გამო* **ელ ჰორფორდი** და **მერვინ უილიამსი** აკლდნენ, ხოლო მატჩის შუაში **ჯოშ სმიტმა** მეოთხე ფოლი მიიღო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, ჯორჯიელებმა მაინც არაფერი დაუთმეს „შარლოტს". მატჩის საკვანძო ეპიზოდიც ჯოშ სმიტის მეოთხე ჯარიმის შემდეგ დაფიქსირდა: „ჰოქსის" მწვრთნელი იძულებული გახდა მოედანზე ერთი ტანმაღალი ზაზა ფაჩულია დაეტოვებინა, დანარჩენი ყველა უკანახაზელი იყო - **უილკინსი, ბიბი, კროუფორდი** და **ჯონსონი**. ამ ეპიზოდიდან „ატლანტა" ზონურ დაცვაზე გადაერთო, 17:4 გაქცევა მოაწყო და 74:63 დაწინაურდა," - ესეც „ატლანტა კონსტიტუშენში" წერია.

ჩვენ კი დავძენთ: ზემოთ ნახსენები გაქცევისას ზაზა გუნდს ქულებითაც დაეხმარა და პასებითაც, თუმცა უფრო ღირებული მეოთხე რაუნდის დასაწყისში მის მიერ ჩაგდებული საჯარიმო და ორქულიანი იყო, რომლის შემდეგაც „ატლანტამ" 12-ქულიანი უპირატესობა დაიბევა - 79:67.

„ატლანტას" მწვრთნელმა „თავი ქუდში დაიგულა" და სირენამდე 7 წუთით ადრე ზაზა სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა. შედარებით დაბალ ხუთეულს 12-ქულიანი სხვაობის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია.

26 იანვარს „ატლანტა" ფაჩულიას ყოფილ კლუბ „მილუოკის" ესტუმრება.

**ატლანტა-ნიუ ორლეანი 59:100**

ზაზა ფაჩულია: 24:11 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 ფოლი.

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 04:10 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 01:11 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 00:55 | ფოლი: 1 |
| **II პერიოდი** | |
| 08:46 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| 02:41 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 00:47 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **III პერიოდი** | |
| 11:11 | ზაზა კოლინზი შეცვალა |
| 05:36 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 02:11 | ორქულიანი: 2ქ (43:70) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:05 | ტომასმა ზაზა შეცვალა |

**შარლოტი-ატლანტა 87:103**

ზაზა ფაჩულია: 27:57 წუთი, 9 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 2 ფოლი, 2 შეცდომა.

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 08:53 | შეცდომა: 1 |
| 08:42 | ფოლი: 1 |
| 08:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:04 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:18 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 07:18 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 13:9) |
| 05:33 | კროუფორდმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 05:09 | ზაზამ ტომასი შეცვალა |
| 03:26 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 02:57 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| **III პერიოდი** | |
| 09:38 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 08:36 | ჩაჭრა: 1 (ბრაუნს ჩაუჭრა) |
| 07:42 | ორქულიანი: 4ქ (55:55) |
| 07:30 | ჩაჭრა: 2 (ბრაუნს ჩაუჭრა) |
| 07:01 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 06:07 | ფოლი: 2 |
| 03:53 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |
| 03:38 | პასი: 1 (კროუფორდი 3ქ, 67:61) |
| 01:57 | ორქულიანი: 6ქ (71:63) |
| 00:36 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | |
| 11:48 | საჯარიმოები: 2/1 (77:67) |
| 10:59 | ორქულიანი: 9ქ (79:67) |
| 10:36 | მოხსნა: შეტ-1, დაც-7 |
| 08:56 | შეცდომა: 2 |
| 07:39 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

### ლეგიონი

# ბოქოლიშვილი გამოჩნდა

**იტალიის ჩემპიონატი**

**კანტუ-ვირტუსი 83:67**

მანუჩარ მარკოიშვილს (კანტუ) ტრავმის გამო არ უთამაშია.

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 20 წუთი, 8 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 2 შეცდომა.

**აველინო-ბენეტონი 77:53**

მერაბ ბოქოლიშვილი (აველინო) განაცხადში იყო, არ უთამაშია.

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**ლაგუნ არო-ფუენლაბრადა 74:94**

ნიკა ცქიტიშვილს (ლაგუნ არო) არ უთამაშია

**ხუვენტუდი-კახასოლი 59:79**

ქუინტონ ჰოსლი (ხუვენტუდი): 35 წუთი, 13 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი.

ბექა ბურჯანაძე (კახასოლი) განაცხადში არ იყო.

**გრან კანარია-ბარსელონა 54:75**

ტორინ გრინი (გრან კანარია): 23 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი, 1 ფოლი

**რეალი-ესტუდიანტესი 82:61**

ტაირონ ელისი (ესტუდიანტესი): 22 წუთი, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ფოლი.

**ადრიატიკის თასი**

**პარტიზანი-ოლიმპია 61:50**

გიორგი შერმადინი (ოლიმპია): 20 წუთი, 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 3 ფოლი.

ვლადიმერ ბოისა (ოლიმპია) განაცხადში იყო, არ უთამაშია.

**ელადის ჩემპიონატი**

**რაპლა-როკი 75:89**

გიორგი ცინცაძე (როკი): 18 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 3 ფოლი, 1 შეცდომა.

**ბელგიის ჩემპიონატი**

**პეპინსტერი-აალსტი 69:75**

თორნიკე შენგელია (პეპინსტერი): 13 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი.

ქართველ ლეგიონერთა მატჩების მიმოხილვას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ. დღეს თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ იტალიის ჩემპიონატის შეხვედრაზე - „აველინო"-„ბენეტონი". მასპინძელთა განაცხადში მოხვდა ახალგაზრდა ქართველი **მერაბ ბოქოლიშვილი**, თუმცა მწვრთნელს მოედანზე არ შეუყვანია. იმედი დავიტოვოთ, რომ მერაბი უახლოეს მატჩებში იტალიის ჩემპიონატსაც გაუსინჯავს გემოს.

ამ შეჯიბრებაში **მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუმ" ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსზე" პირველ ტურში მარცხისთვის შური იძია - 83:67. მანუს ფეხის ტრავმის გამო არ უთამაშია, ხოლო ვიქტორმა თანაგუნდელებს 8 ქულა და 7 მოხსნა შეაშველა.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და ვიქტორინის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. მარჩიანო; 4. სამბო; 8. გლაზგო; 9. პოდდუბნი; 11. ელო; 12. იაროსლავლი; 13. დრიბლინგი; 15. ექტორ; 16. "ოლიმპიაკოსი"; 22. აკვატლონი; 23. ნესტა; 24. "რომა"; 26. ტარასოვა; 29. ერიკო; 30. რაიზიგერი; 32. ალიოხინი; 33. პარიზი.

**შვეულად:** 1. მოგვერდი; 2. რიასორი; 3. იაგრი; 5. ანდრადე; 6. "ბაბოლატი"; 7. ფოგსტი; 10. პრინცი; 14. ბაიდარა; 17. პელოტა; 18. "კაირატი"; 19. "სანტოსი"; 20. პეტი; 21. გაბრიელა; 25. მეილი; 27. აბედი; 28. ტაიმი; 31. ზეპ.

ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-გ.

ქართული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

# პლეი ოფში სამმა გააღწია



გიორგი ჩხაიძე (მარჯვნივ)

ევროთასების გათამაშების ჯგუფური ტურნირი დასრულდა. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან მეოთხედფინალში სამი - „ტულონი“, „ბრივი“ და „მონპელიე“ გავიდნენ.

„ჰაინეკენის თასის“ გათამაშების A ჯგუფში პლეი ოფში გასვლის შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც ბოლო ტურში შინ მიიღო პირველადგილოსანი, უმოტივაციო ინგლისური „ნორსჰემპთონი“. მიუხედავად ამისა, ჩვენებურთა გუნდმა სტუმრებს ვერაფერი დააკლო და 12:23 წააგო. გიორგაძე თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, ფეიქრიშვილი კი მოედანზე შვიდი წუთის შემდეგ გამოჩნდა.

საბოლოოდ „კასტრს“ 11 ქულა დაუგროვდა და მესამე ადგილს დასჯერდა. მას სამი ქულით გაუსწრო უელსურმა „კარდიფ ბლუზმა“, რომელმაც სტუმრად მოუგო შოტლანდიურ „ედინბურგს“ - 21:14.

**A ჯგუფი**

**კასტრი-ნორსჰემპთონი 12:23, კარდიფი-ედინბურგი 21:14**

**სატურნირო მდგომარეობა**

**ნორსჰემპთონი - 25 ქულა, კარდიფი - 14, კასტრი - 11, ედინბურგი - 8.**

B ჯგუფში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“ ბოლო ტურში, სტუმრად სძლია ინგლისურ „სარასენზს“ - 24:14. „ვულკანებმა“ 19 ქულით მეორე ადგილი კი დაიკავეს, მაგრამ ეს მეოთხედფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო ირლანდიურმა „ლენსტერმა“, რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად მოუგო ფრანგულ „მეტრო რასინგს“ - 36:11.

**B ჯგუფი**

**სარასენზი-კლერმონი 14:24, მეტრო რასინგი-ლენსტერი 11:36**

**სატურნირო მდგომარეობა**

**ლენსტერი - 24 ქულა, კლერმონი - 19, მეტრო რასინგი - 9, სარასენზი - 6.**

C ჯგუფში წარმატებით იასპარეზა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“. ჩვენებურის გუნდმა პლეი ოფის საგზური ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვა და ბოლო ტურში მისი თამაში სტუმრად უელსურ „ოსფრიზთან“ უბრალო ფორმალობა იყო.

მიუხედავად ამისა, ტულონელები პირველ ტაიმში დიდი მონდომებით გაისარჯნენ და 17:9 მოიგეს. თუმცა შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მაინც მოახერხეს მატჩში გარდატეხის შეტანა და მეოთხედფინალისტი გუნდი 29:17 დაამარცხეს. ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო.

„ტულონმა“ 17 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას ერთი ქულით ჩამორჩა ირლანდიური „მანსტერი“, რომელმაც შინ მოუგო ინგლისის „ლონდონ აირიშს“ - 28:14.

**C ჯგუფი**

**მანსტერი-ლონდონ აირიში 28:14, ოსფრიზი-ტულონი 29:17**

**სატურნირო მდგომარეობა**

**ტულონი - 17 ქულა, მანსტერი - 16, ოსფრიზი - 14, ლონდონ აირიში - 9.**

ბოლო ტური „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ **ბექა შეყლაშვილის** „აჟენის“ მატჩით გაიხსნა. ჩვენებურის გუნდმა, რომელიც E ჯგუფში ასპარეზობს, სტუმრად ითამაშა ინგლისურ „გლოსტერთან“ და დიდი ანგარიშით დამარცხდა - 7:60. აჟენელებმა საბოლოოდ 15 ქულა დააგროვეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ. შეყლაშვილმა სრულად ითამაშა.

ჯგუფში პირველი ადგილი მეორე ფრანგულმა კლუბმა „ლა როშელმა“ დაიკავა, რომელმაც ბოლო ტურში შინ გაანადგურა აუტსაიდერი იტალიური „როვიგო“ - 71:17.

**E ჯგუფი**

**გლოსტერი-აჟენი 60:7, ლა როშელი-როვიგო 71:17**

**სატურნირო მდგომარეობა**

ლა როშელი - 24 ქულა, გლოსტერი - 21, აჟენი - 15, როვიგო - 0.

B ჯგუფში შესანიშნავად იასპარეზა **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“, რომელმაც ექვსი თამაშიდან ექვსივე მოიგო. ბრიველებმა ბოლო მატჩში სტუმრად დაამარცხეს იტალიური „პადოვა“ - 24:10. ჩვენებურთა გუნდს 27 ქულა დაუგროვდა და მეორე ადგილზე გასულ ინგლისურ „სეილ შარქსს“ ექვსი ქულით გაუსწრო.

კაკოვინი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო, ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

„სეილ შარქსმა“ სტუმრად მოუგო ესპანურ „ელ სალვადორს“ - 50:5 და მეოთხედფინალში საუკეთესო მეორე ადგილით გავიდა.

**B ჯგუფი**

**პადოვა-ბრივი 20:24, ელ სალვადორი-სეილ შარქსი 5:50**

**სატურნირო მდგომარეობა**

**ბრივი - 27 ქულა, სეილ შარქსი - 21, პადოვა - 6, ელ სალვადორი - 4.**

C ჯგუფში პირველი ადგილი არავის დაუთმო **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“. ჩვენებურთა გუნდს პირველ ადგილს ინგლისური „ექსეტერი“ ეცილებოდა. ბოლო ტურში მონპელიელებმა სწორედ ინგლისელებს უმასპინძლეს.

პირველი ტაიმი სტუმრებმა მინიმალური სხვაობით - 17:16 მოიგეს. მეორე ტაიმში მათ ანგარიშში სხვაობის გაზრდა შეძლეს და მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ხუთი ქულით დაწინაურდნენ - 30:25. „მონპელიემ“ მაინც მოახერხა ძალების მობილიზება და შეცვლაზე შესულმა გარემარბმა **კვენტინ დუმაირუმ** გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა, მგეზავმა **რაფაელ ლაგარდმა** გარდასახა - 32:30, ასე დასრულდა ეს შეხვედრა და ქართველთა გუნდმა მეოთხედფინალში გაიკაფა გზა.

შველიძე თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო, ჩხაიძე მოედანზე რვა წუთის შემდეგ გამოჩნდა, გორგოძეს, ჟღენტს და ნარიაშვილს არ უთამაშიათ.

ამავე ჯგუფის მეორე შეხევდრა ფრანგულ „ბურგუენსა“ და ინგლისურ „ნიუკასლს“ შორის დიდთოვლობის გამო გადაიდო.

**C ჯგუფი**

**მონპელიე-ექსეტერი 32:30, ბურგუენი-ნიუკასლი (გადაიდო)**

**სატურნირო მდგომარეობა**

**მონპელიე - 21 ქულა, ექსეტერი - 16, ნიუკასლი - 9, ბურგუენი - 6.**



აქვსენტი გიორგაძე (მარჯვნივ)

● 24 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



სკოტ ჯიბსი

## 1889 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრებმა შინ უმძიმეს ბრძოლაში მოუგო „დიკსტრიქტს“ - 8:7. ეს გუნდი იორკშირის ოლქისა და ინგლისის ჩემპიონი იყო.

## 1954 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა. „ლე ბლემ“ პარიზში ირლანდიის ნაკრები დაამარცხა - 8:0. ეს მათი პირველი გამარჯვება იყო „სამყურებთან“ 1931 წლის შემდეგ. შეხვედრაში გამორჩეული ფრანგთა შუამარბი **მორის პრატი** იყო, რომელმაც ორი ლელო მიითვალა.

## 1965 წელი

**მიკ დოილს** ირლანდიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. მან ლენსდაუნ როუდზე საფრანგეთის ნაკრებს ლელო გაუტანა და „სამყურები“ მარცხისგან იხსნა - 3:3. მან ეროვნულ გუნდში სულ 20 კეპი მოიხვეჭა და 1968 წელს „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაშიც ითამაშა. 1985 წელს ნაკრებთან ერთად ხუთი ერის გათამაშებაში დიდი სლემი შეასრულა. 1987 წლის მსოფლიო თასს კი გულის შეტევის გამო დააკლდა.

მიკ დოილი ცნობილი იყო ასევე, როგორც გაზეთების - „ივნინგ ჰერალდისა“ და „სანდეი ინდეპენდენტის“ საკმაოდ ენამწარე ჟურნალისტი.

## 1971 წელი

ამ დღეს დაიბადა უელსისა და „ბრიტანელი“ ლომების შუამარბი **სკოტ ჯიბსი.** ეროვნულ ნაკრებში მისი დებიუტი 20 წლის ასაკში, 1991 წელს შედგა. ორი წლის შემდეგ კი პირველად ითამაშა „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში. 1994-96 წლებში ჯიბსი დროებით ჩამოშორდა რაგბის, თუმცა დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო მძლავრად ათამაშდა.

1997 წელს ის „ბრიტანელ ლომებთან“ ერთად სამხრეთაფრიკულ ტურნეში გაემგზავრა, სადაც საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. უელსის ნაკრების კვართით, ყველაზე გამორჩეული, „უემბლიზე“ ინგლისთან მატჩში მის მიერ გატანილი ლელო იყო, რომლის წყალობითაც უელსელებმა 32:31 მოიგეს.

## 1982 წელი

ირლანდიის ნაკრებს ეს შეხვედრა ერთი კვირით ადრე უნდა გაემართა, თუმცა დიდთოვლობის გამო გადაიტანეს. „სამყურებმა“ უელსის ნაკრებს 20:12 მოუგეს და 34-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად დაიწყეს გამარჯვებით ხუთი ერის გათამაშება.

## 1999 წელი

„ლესტერ ტაიგერზმა“, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატი მოიგო, უძნელეს ბრძოლაში სძლია „ველფორდ როუდზე“ „გლოსტერს“ - 23:16. კანადის მოთამაშე **დეივ ლოიდმა** ორი ლელოთი გამოიჩინა თავი, **ჯოელ სტრანსკიმ** - ერთით, **ტიმ სიმფსონის** ანგარიშზე კი ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმოა.

## 2009 წელი

„კარდიფ ბლუზმა“ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში, ჯგუფურ ტურნირში, პირველი ადგილი გაინაღდა იტალიურ „კალვიზანოსთან“ გამარჯვებით - 62:20. კარდიფელებს მეოთხედფინალში თითქმის ყველაზე ძლიერი მეტოქე ერგო. ფრანგული „ტულუზი“, თავის ჯგუფში, მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

● მსოფლიო თასი

# ფიჯის თამაშში ახალ ზელანდიაში საეჭვოა

ფიჯის ნაკრებმა შესაძლოა ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე ვერ იასპარეზოს. ამის შესახებ IRB-ს ფიჯის რაგბის კავშირმა აცნობა.

ფიჯის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა მთელი შემადგენლობით გადადგა, მას შემდეგ, რაც ფიჯის ხელისუფლებამ უარი უთხრა ეროვნული ნაკრების დაფინანსებაზე. რაგბის კავშირმა, გუნდის სათანადოდ მოსამზადებლად, სახელმწიფოსგან 3 მილიონი ამერიკული დოლარი მოითხოვა.



ფიჯის სპორტის მინისტრის **ფილიპ ბოლეს** აქტიური ძალისხმევით რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაში ახალი ადამიანები მივიდნენ. თუმცა, როგორც IRB-ს მიერ გავრცელებულ კომუნიკეშია ნათქვამი, სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგება ფიჯის IRB-დან გარიცხვის საკითხი.

IRB-ს პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** და აღმასრულებელი დირექტორი **მაიკ მილერი** ფიჯის რაგბის კავშირის ახალ შემადგენლობას თებერვალში შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასზე ფიჯის ნაკრები D ჯგუფში სამხრეთ აფრიკის, უელსის, სამოასა და ნამიბიის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

კრივი



საბედისწერო შეჯახება

# არშემდგარი ბრძოლა

კრივის მოყვარულთა იმედები არ გაამართლა გასული უქმეების მთავარმა საკრივო ორთაბრძოლამ. ამერიკის ქალაქ უაით სულფურ-სპრინგში ერთმანეთს ხვდებოდნენ სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, 48 წლის **ევანდერ ჰოლიფილდი** და 39 წლის **შერმან უილიამსი**.

ყველაფერი მეორე რაუნდში დასრულდა ისე, რომ გამარჯვებულიც არ გამოვლინდა. საქმე ისაა, რომ რაუნდის ბოლოს მოკრივეები თავებით შეეჯახნენ ერთმანეთს, რის გამოც ჰოლიფილდს ჭრილობიდან ძლიერი სისხლისდენა დაეწყო და შეხვედრის გაგრძელება ვერ მოახერხა. წესების თანახმად, მსაჯებმა ბრძოლა არშემდგარად გამოაცხადეს.

აღვნიშნავთ, რომ ევანდერისთვის ეს იყო ერთგვარი გასახურებელი ბრძოლა - უკვე 5 მარტს მას კოპენჰაგენში უწევს შეხვედრა დანიელ **ბრაიან ნილსენთან**, რის შემდეგაც სატიტულო ბრძოლის ჩატარებას გეგმავს რომელიმე **კლიჩკოსთან** ან ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან**.

*„ეს ჩემი პირადი წარუმატებლობაა. ძალიან მონდომებით ვემზადებოდი ამ ბრძოლისთვის და მისგან ვერაფერი მივიღე. არადა, შემეძლო ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება. ევანდერს თავი გავუტეხე, თუმცა მას უდიდეს პატივს ვცემ,* - განაცხადა ბრძოლის შემდეგ უილიამსმა. - *ოდესღაც ჰოლიფილდის გულშემატკივარი ვიყავი. ის თითქმის 50 წლისაა, მაგრამ დღემდე მზად არის რინგზე გასასვლელად. აღფრთოვანებული ვარ მისი ასეთი ფორმით, მაგრამ ახალგაზრდა მოკრივეების დრო მოვიდა და ევანდერმა არ უნდა ითმინოს ჩვენი დარტყმები. აშკარა იყო, რომ მე უკეთესად გამოვიყურებოდი. ამ ბრძოლით შეიძლებოდა დასრულებულიყო ჩვენი ისტორია, მაგრამ თუ მას განმეორებითი შეხვედრა უნდა, შეიძლება ამის ორგანიზება“.*

უფრო მოკლე კომენტარი ჰქონდა ჰოლიფილდს: *„მან ეს შეგნებულად გააკეთა. თავი დახარა და ისე დამარტყა. არ ვიცი, იქნება თუ არა განმეორებითი ბრძოლა, თუმცა შემიძლია შერმანს რევანშის შანსი მივცე“.*

ჩოგბურთი



ნადალი სარეკლამო კამპანიაში

# ნადალმა რონალდო და ბექჰემი შეცვალა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** მონაწილეობა მიიღო Emporio Armani-ის თეთრეულის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის რეკლამაში. აგრეთვე ესპანელმა ჩოგბურთელმა Armani Jeans-ის კოლექციაც წარმოადგინა. როგორც ესპანური პრესა წერს, რაფაელი პირველად გადაიღეს Armani-ის რეკლამაში. ადრე ამ კომპანიის თეთრეულსა და ჯინსებს რეკლამას უკეთებდნენ ფეხბურთელები - **დევიდ ბექჰემი** და **კრისტიანო რონალდო**.

ნადალი ამ ბრენდის სახედ გასული წლის დეკემბერში აირჩიეს. ჩოგბურთელი შეუერთდა ამერიკელ მსახიობ **მეგან ფოქსს**, რომელმაც „არმანისთან“ თანამშრომლობა 2010 წლის თებერვალში დაიწყო. ფოქსამდე „არმანის“ სარეკლამო კამპანიაში დევიდ ბექჰემის მეუღლე **ვიქტორია ბექჰემი** მონაწილეობდა. ბექჰემები ერთობლივ ფოტოსესიებში მონაწილეობდნენ.

ნადალთან და ფოქსთან ერთად „არმანის“ სარეკლამო კამპანია თებერვალში დაიწყება.

ფორმულა 1

## დიდი ცირკი პოპულარულია

გასული სეზონი ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იყო და ბუნებრივია, ამან მსოფლიოს ჩემპიონატის პოპულარიზაციაზე დადებითად იმოქმედა. Formula One Management-ის ინფორმაციით, 2010 წელს ეტაპებს ჯამში 527 მილიონმა ადამიანმა ადევნა თვალი მსოფლიოს 187 ქვეყნიდან. ეთერის საერთო დრომ 16 ათას საათს გადააჭარბა.

*„გასული წელი ჩვენთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და დარწმუნებული ვარ, ეს მიღწევა 2011 წელს საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო დავაინტერესოთ მაყურებელი ფორმულა 1-ის რბოლებით“,* - განაცხადა Formula One Management-ის ხელმძღვანელმა **ბერნი ექლსტოუნმა**.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჯერ მოიგო, შემდეგ წააგო

გუშინ რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მოულოდნელი შედეგი „ვაშინგტონისა“ და „ბოსტონის“ შეხვედრაში დაფიქსირდა. 16-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, დედაქალაქურმა კლუბმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და დაამარცხა სეზონის ფავორიტი. **გარნეტისა** და მისი პარტნიორების შედეგიანობამ, თითქოს დიდ შესვენებამდე დაასამარა ამ მატჩში ინტრიგა - დღევანდელი „სელტიქსი“ არ არის გუნდი, რომელიც აუტსაიდერს წაგებული მატჩის გადარჩენის საშუალებას მისცემს.

მიუხედავად ამისა, მასპინძლებს დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ. თამაში თავის თავზე აიღეს **ჯონ უოლმა** და **რაშარდ ლუისმა**. განსაკუთრებით გაგვაოცა ლუისმა, რომელიც ჯერ კიდევ „ორლანდოში“ გამოსვლისას „კელტების“ წინააღმდეგ ყოველთვის სუსტად თამაშობდა. მესამე მეოთხედში ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირების შემდეგ „უიზარდს“ ბოლო მეოთხედში ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, გამარჯვების მთავარი ფაქტორი კი დაცვაში კარგი თამაში გახდა. მასპინძლებმა „ბოსტონს“ არ მისცეს ქულების იოლად დაგროვების საშუალება და მაქსიმალურად გაურთულეს საქმე შეტევაში. საბოლოოდ, სტუმრებმა ბოლო 12 წუთში მხოლოდ 11 ქულა დააგროვეს. თუმცა **პოლ პირსს** ბოლოს შეეძლო თავისი გუნდისთვის გამარჯვების მოპოვება, მაგრამ მისი ტყორცნა ასცდა მიზანს.

არანაკლებ დაძაბული და საინტერესო შეხვედრა ვიხილეთ ოკლაჰომაში“, სადაც ადგილობრივ „თანდერს“ სტუმრად „ნიუ იორკი“ ეწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო და თავიდან უფრო კომფორტულად თავს „ნიუ იორკი“ გრძნობდა. მართალია, თამაში არ წაუვიდა „ნიქსის“ ძირითად გამთამაშებელ **რეიმონდ ფელტონს**, მაგრამ მისი წარუმატებლობის კომპენსირებას **დანილო გალინარი** ზუსტი თამაშით ახერხებდა. ასე რომ, მთელი მატჩის განმავლობაში, ფინალურ სირენამდე ნიუიორკელები მუდმივად წინ იყვნენ.

როგორც ყოველთვის, მდგომარეობის გამოსწორება **რასელ უესტბრუკმა** და **კევინ დურანტმა** ითავეს. თუმცა, ამ უკანასკნელს ბოლომდე კარგად არ გამოსდიოდა თამაში. ორმაგი დუბლისა და 30 ქულის მიუხედავად, „ოკლაჰომას“ ვარსკვლავმა 25-დან მხოლოდ 10 ტყორცნა ჩააგდო. მაგრამ სწორედ მისი მეათე ტყორცნა აღმოჩნდა გადამწყვეტი ამ შეხვედრაში. 98:98-ზე ბოლო შეტევის უფლება მასპინძლებმა მიიღეს. ბუნებრივია, ბოლო ტყორცნა დურანტს მიანდეს, რომელმაც ცოტა ხანი ატარა ბურთი და უკანასკნელ წამზე გალინარის აქტიური მეურვეობის მიუხედავად, ფანტასტიკური სამქულიანი ჩააგდო!

მოულოდნელად ძალიან იოლად გაუსწორდა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ „სან ანტონიოს“ „ნიუ ორლეანი“, რომელიც ბრწყინვალე ფორმაში შევიდა და გუშინ ზედიზედ მერვე გამარჯვება იზეიმა. ვინ იფიქრებდა, რომ თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ნახევარში თამაში ცალ ფარში წარიმართებოდა. პირველ ორ მეოთხედში რთული იყო რომელიმე გუნდისთვის უპირატესობის მინიჭება, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. ტექსასელებმა უბრალოდ დაანებეს თამაშს თავი და ამის გამო მესამე მეოთხედში მეტოქის 21:0 გაქცევა მიიღეს. ასეთი დარტყმისგან გონს მოსვლა რთული საქმეა, მით უმეტეს, რომ „სპურსის“ რიგებში არც ერთ კალათბურთელს არ წაუვიდა სროლა და მის რიგებში მხოლოდ ორმა მოთამაშემ - **ტიაგო სპლიტერმა** და **ტონი პარკერმა** გადალახეს 10-ქულიანი ზღვარი. გამარჯვებულთა რიგებში მთავარი დამრტყმელი ძალა გახდა **დევიდ უესტისა** და **მარკუს ტორნტონის** დუეტი. ასევე უნდა გამოვყოთ **კრის პოლის** კარგი თამაში.

ძალიან იოლად შეწყვიტა ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია „მაიამი ჰიტმა“. თანაც ეს „დიდი ტრიოს“ ორი წევრის - **დუეინ უეიდისა** და **კრის ბოშის** გარეშე გააკეთა. ამ კალათბურთელებმა უკვე რამდენიმე ვარჯიში გამოტოვეს. ბოშს ფეხის ტრავმა აწუხებს, უეიდი კი ავადმყოფობს და თან მუხლის ძველ ტრავმასთან დაკავშირებული პრობლემებიც აქვს.

ამ დუეტის არყოფნაში **ლებრონ ჯეიმსმა** 38 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა და ოთხი პასი არ ეყო სამმაგ დუბლამდე. „მეფეს“ მხარში **მილერი** ამოუდგა, რომელმაც ასევე ორმაგი დუბლი გააკეთა. მატჩის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა ფლორიდელთა უპირატესობამ 26 ქულა შეადგინა.

### 21 იანვარი

**ნიუ ჯერსი-დეტროიტი 89:74**

21:18, 25:23, 21:19, 22:14

**ნ-ჯ:** ლოპესი (15), ჰარისი (12+9 პასი), ჰემფრიზი (11+12 მოხსნა), მოროუ (10).

**დ:** პრინსი (16), მაკგრეიდი (10+6 პასი), სტაკი (14), მონრო (5+10 მოხსნა).

**ორლანდო-ტორონტო 112:72**

26:18, 21:23, 26:16, 39:15

**ო:** ჰოვარდი (31+19 მოხსნა), ანდერსონი (21+10 მოხსნა), რედიკი (12), ბასი (10+9 მოხსნა).

**ტ:** დეროზანი (16), ბარნიანი (11), რაიტი (6+10 მოხსნა), ჯონსონი (11).

**ატლანტა-ნიუ ორლეანი 59:100**

17:19, 17:30, 11:21, 14:30

**ა:** კროუფორდი (14), სმიტი (13+8 მოხსნა).

**ნ-ო:** პოლი (16+8 პასი), ბელინელი (15), უესტი (15+8 მოხსნა), ტორნტონი (11+7 მოხსნა).

**ბოსტონი-იუტა 110:86**

30:19, 29:22, 26:22, 25:23

**ბ:** გარნეტი (21), პირსი (20), დევისი (15), ერდენი (14+7 მოხსნა), რონდო (4+12 პასი).

**ი:** უოტსონი (12), ჰეივორდი (11), კირილენკო (11+7 მოხსნა), მილსეპი (11).

**კლივლენდი-მილუოკი 88:103**

25:27, 16:26, 29:26, 18:23

**კ:** სეშენსი (22), ჯეიმისონი (22), გიბსონი (15+8 პასი).

**მ:** ბოგუტი (23+6 მოხსნა), მაგეტი (20), დულინგი (12+11 მოხსნა), მბა ა მუტე (6+9 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ფინიქსი 91:109**

33:22, 20:30, 18:31, 20:26

**ვ:** იანგი (25+8 მოხსნა), ლუისი (16+12 მოხსნა), ბლეტჩი (14+5 პასი), უოლი (11+14 პასი).

**ფ:** ფრაი (25+8 მოხსნა), ნეში (17+14 პასი), გორტატი (13+14 მოხსნა), ჰილი (12), დრაგიჩი (11+5 პასი).

**მემფისი-ჰიუსტონი 115:110**

32:37, 26:30, 29:21, 28:22

**მ:** რენდოლფი (29+19 მოხსნა), გეი (22+5 პასი), კონლი (17+5 პასი), მაიო (13).

**ჰ:** მარტინი (32), სკოლა (19), ბატიე (15+8 მოხსნა), ლოური (5+8 პასი).

**სან ანტონიო-ნიუ იორკი 101:92**

29:27, 32:23, 16:21, 24:21

**ს-ა:** პარკერი (21+13 პასი), დანკანი (21+16 მოხსნა+8 პასი), ბლეირი (18+13 მოხსნა), ჯინობილი (16+6 პასი).

**ნ-ი:** ფელტონი (23+7 პასი), სტაუდმაიერი (18+15 მოხსნა), ტურიაფი (10+10 მოხსნა), გალინარი (16).

**დენვერი-ლეიკერსი 97:107**

25:22, 27:27, 20:33, 25:25

**დ:** ენტონი (23+6 მოხსნა+5 პასი), აფლალო (22), ბილაპსი (16), ლოუსონი (15).

**ლ:** არტესტი (19), გასოლი (19+13 მოხსნა), ბინუმი (17), ბრაიანტი (18+6 მოხსნა+7 პასი), ოდომი (18+10 მოხსნა).

**გ. სტეიტი-საკრამენ. 119:112 (ო)**

27:28, 24:23, 31:23, 22:30, 15:8

**გ-ს:** კარი (34+4 ჩაჭრა), ელისი (28+9 პასი), ლი (22+10 მოხსნა), რაიტი (13+12 მოხსნა).

**ს:** ევანსი (35+5 პასი), კაზინსი (21+8 მოხსნა+5 პასი), ტომპსონი (12+12 მოხსნა), კასპი (14+9 მოხსნა).

### 22 იანვარი

**ნიუ ჯერსი-დალასი 86:87**

26:22, 19:26, 23:20, 18:19

**ნ-ჯ:** ლოპესი (24+6 მოხსნა), ჰარისი (15+11 პასი).

**დ:** ნოვიცკი (23+7 მოხსნა), ჩენდლერი (19+8 მოხსნა), ტერი (11), მერიონი (6+11 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 85:83**

20:35, 26:21, 24:16, 15:11

**ვ:** ლუისი (18+11 მოხსნა), მაკგი (16+6 მოხსნა), უოლი (16+6 მოხსნა), ბლეტჩი (11).

**ბ:** გარნეტი (17), ალენი (16), რონდო (13+9 პასი), პირსი (12+8 მოხსნა), ერდენი (6+11 მოხსნა).

**შარლოტი-ატლანტა 87:103**

29:24, 20:20, 18:32, 20:27

**შ:** ოგუსტინი (20+7 პასი), დიაო (12+7 მოხსნა), მუჰამედი (10+7 მოხსნა), ჯექსონი (10).

**ა:** ჯონსონი (32+5 პასი), სმიტი (16+7 მოხსნა), ბიბი (14+8 მოხსნა), კროუფორდი (14).

**დეტროიტი-ფინიქსი 75:74**

21:17, 15:21, 11:23, 28:13

**დ:** პრინსი (17+13 მოხსნა+5 პასი), ბინუმი (12), სტაკი (11), დეი (11).

**ფ:** ნეში (14+8 პასი), დადლი (13), გორტატი (11+13 მოხსნა).

**მაიამი-ტორონტო 120:103**

32:17, 34:23, 26:37, 28:26

**მ:** ჯეიმსი (38+11 მოხსნა+6 პასი), მილერი (32+10 მოხსნა), ჯონსი (15), ჰაუსი (13), ჩელმერსი (10+9 პასი).

**ტ:** დეროზანი (30), ბარნიანი (28), კალდერონი (14+13 პასი), ჯონსონი (14+6 მოხსნა), დევისი (6+10 მოხსნა).

**ფილადელფია-იუტა 96:85**

26:22, 21:19, 23:22, 26:22

**ფ:** იგუოდალა (22+5 პასი), უილიამსი (20), ბრენდი (19+8 მოხსნა), ჰაუსი (8+11 მოხსნა).

**ი:** უილიამსი (20+14 პასი+6 მოხსნა), ჯეფერსონი (19+13 მოხსნა), მილსეპი (18+12 მოხსნა), კირილენკო (12).

**ნიუ ორლეანი-სან ანტონიო 96:72**

13:12, 28:26, 31:10, 24:24

**ნ-ო:** უესტი (18+10 მოხსნა), ტორნტონი (18), არიზა (15+8 მოხსნა), პოლი (11+6 პასი+6 მოხსნა), ოკაფორი (9+12 მოხსნა+5 დაფარება).

**ს-ა:** სპლიტერი (11+6 მოხსნა), პარკერი (10).

**ჩიკაგო-კლივლენდი 92:79**

22:17, 26:21, 24:24, 20:17

**ჩ:** როუზი (24+8 პასი), დენგი (20+12 მოხსნა), ბუზერი (20+10 მოხსნა), კორვერი (11).

**კ:** ჯეიმისონი (31+11 მოხსნა+5 პასი), ჰიქსონი (13+20 მოხსნა), გიბსონი (10+5 პასი).

**ოკლაჰომა-ნიუ იორკი 101:98**

31:30, 22:30, 22:17, 26:21

**ო:** დურანტი (30+12 მოხსნა), უესტბრუკი (28+5 პასი), კრსტიჩი (12+6 მოხსნა), იბაკა (11+15 მოხსნა).

**ნ-ი:** გალინარი (23), სტაუდმაიერი (18+12 მოხსნა), უოკერი (12), ფილდსი (11), ფელტონი (10+7 პასი), დაგლასი (10+6 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ორლანდო 104:118**

26:34, 25:34, 25:32, 28:18

**ჰ:** ბადინგერი (19), მარტინი (18), სკოლა (15+9 მოხსნა), ლი (13), ლაური (12), ჰეისი (10+7 მოხსნა).

**ო:** ჰოვარდი (22+14 მოხსნა), თურქოგლუ (21+5 პასი), ბასი (18+7 მოხსნა), რიჩარდსონი (18), რედიკი (13), ანდერსონი (12+6 მოხსნა), ნელსონი (10+9 პასი).

**მილუოკი-მემფისი 81:94**

19:21, 21:22, 19:29, 22:22

**მილ:** ბოიკინსი (23), ბოგუტი (14+9 მოხსნა), მაგეტი (12+8 მოხსნა+5 პასი), სანდერსი (12+6 მოხსნა).

**მემ:** გასოლი (24+16 მოხსნა), რენდოლფი (16+11 მოხსნა), არტური (14), გეი (11+7 მოხსნა), მაიო (11).

**პორტლენდი-ინდიანა 97:92**

19:28, 27:25, 21:17, 30:22

**პ:** ოლდრიჯი (25+12 მოხსნა), ბატუმი (23+6 მოხსნა), მეტიუზი (19+9 პასი), ფერნანდესი (11+8 პასი+6 მოხსნა), კანინგემი (10).

**ი:** გრეინჯერი (24), კოლისონი (14+7 პასი), დანლივი (14), ჰიბერტი (11+10 მოხსნა).

**კლიპერსი-გ. სტეიტი 113:109**

34:22, 31:34, 21:26, 27:27

**კ:** გრიფინი (30+18 მოხსნა+8 პასი), გორდონი (23), გომესი (15+8 მოხსნა), ფოიე (10).

**გ-ს:** კარი (32+8 პასი+6 მოხსნა), ელისი (17), ლი (16+15 მოხსნა), უილიამსი (16), რაიტი (14+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



დურანტი მილოცვებს იღებს

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფორსბერგი კოლორადოშია


პეტერ ფორსბერგი

ლეგენდარული შვედი ჰოკეისტი **პეტერ ფორსბერგი** კიდევ ერთხელ შეეცდება დიდ სპორტში დაბრუნებას. როგორც გაირკვა, 36 წლის ფორვარდი „კოლორადო ეველანშის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად გადის წვრთნას და ამ სეზონის ბოლომდე სწორედ ამ გუნდში აპირებს თამაშს.

თავად ფორსბერგი აცხადებს, რომ ამ ნაბიჯით თავისი ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება სურს. შეგახსენებთ, დეკემბრის ბოლოს შვედურმა პრესამ დაწერა, რომ პეტერმა მიატოვა თავისი ამჟამინდელი კლუბი „მოდო", რადგან ისევ გაუმიზეზდა ფეხის ქრონიკული ტრავმა. მაშინ იტყობინებოდნენ, რომ ფორსბერგს სერიოზულად ჰქონდა გადაწყვეტილი კარიერის დასრულება. ამიტომაც „კოლორადოს" რიგებში ვარჯიშის შესახებ ცნობა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

*„უბრალოდ, ვარჯიში გადავწყვიტე საკუთარი ფიზიკური კონდიციების შესამოწმებლად, - ამბობს შვედი ბომბარდირი. - მინდა გავიგო, კიდევ შემიძლია თუ არა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თამაში. ასაკი მემატება და შესაბამისად, ყინულზე დაბრუნების შანსი სულ უფრო მცირდება. ვფიქრობ, ეს კარიერის განახლების ბოლო შესაძლებლობაა. კლუბთან მომავალი კონტრაქტის პირობები ჯერ არ განხილულა. ყველა მეუბნება, რომ ისევ ჰოკეის თამაში სიგიჟეა, მაგრამ მიყვარს ჩემი საქმე და ბოლომდე ვიბრძოლებ".*

სამწუხაროდ, მუდმივმა ტრავმებმა სერიოზულად შეაფერხეს ფორსბერგის კარიერა. NHL-ში გატარებული 12 წლის განმავლობაში შვედმა მხოლოდ ერთხელ ჩაატარა სრულფასოვანი სეზონი. სულ კი ოკეანის გაღმა 706 მატჩი ითამაშა და 885 ქულა დააგროვა, პლეი ოფში კი 151 მატჩში 171 ქულა აქვს.

■ ■ ■

როგორც უკვე ვწერდით, ცნობილი რუსი მეკარე **ევგენი ნაბოკოვი** „დეტროიტ რედ უინგზში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ გოლკიპერმა ვერ გაიარა „უეივერის" პროცედურა და ვერ ჩაირიცხა ამერიკული გუნდის რიგებში. საბოლოოდ, ნაბოკოვი „ნიუ იორკ აილენდერსს" ერგო და სეზონის ბოლომდე მისი კონტრაქტი სწორედ ამ კლუბს ეკუთვნის.

„აილენდერსი" არ აპირებდა ახალი მეკარის აყვანას, მაგრამ ბოლო მომენტში ტრავმა მიიღო ძირითადმა გოლკიპერმა **ნათან ლოუსონმა**.

ადრე 35 წლის ნაბოკოვი 10 წელი თამაშობდა „სან ხოსეში", წელს კი რუსეთში სანკტ-პეტერბურგის სკა-ს ღირსებას იცავდა.

### 21 იანვარი

**ბაფალო-აილენდერსი 2:5**

0:2, 0:1, 2:2

**გოლები:** 0:1 გრაბნერი-13 (შრემპი-11), 0:2 მოულსონი-15 (ენდრიუ მაკდონალდი-15, ჰამონიკი-8), 0:3 პარენტო-12 (ტავრაესი-16), 0:4 ჰილენი-2 (კომო-17, შრემპი-12), 1:4 გერბე-4 (მ. უებერი-4), 2:4 გერბე-5 (გრირი-8), 2:5 გრაბნერი-14 (ოკსოპო-1).

**ფლორიდა-ტამპა ბეი 1:2 (ბ)**

1:1 0:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 სტილმანი-6 (მატიასი-9, გარისონი-5), 1:1 დაუნი-4 (სტემკოსი-29, სტ. ლუისი-39).
**ბულიტები გაიტანეს:** მური (ტამპა ბეი).

**ოტავა-მონრეალი 1:7**

1:2, 0:3, 0:2

**გოლები:** 0:1 პუიო-10 (დერჩი-10, ი. უებერი-5), 0:2 პლეკანეცი-15 (ა. კოსტიცინი-14), 1:2 კელი-10 (კამპოლი-7, სმიტი-1), 1:3 ჯონტა-16 (გომესი-18, პასიორეტი-5), 1:4 პასიორეტი-4 (გომესი-19, ვიშნიევსკი-27), 1:5 პლეკანეცი-16, 1:6 ა. კოსტიცინი-13, 1:7 სუბანი-5 (ვიშნიევსკი-28, დეშარნე-2).

**კალგარი-დალასი 7:4**

2:2, 3:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ტანგეი-12 (ბ. მორისონი-18, რეგერი-6), 1:1 მოროუ-19 (რიბეირო-32, ბენი-20), 1:2 ბ. რიჩარდსი-19 (რიბეირო-33, რობიდასი-20), 2:2 ო. იოკინენი-9 (მოსი-6), 3:2 ბეკლუნდი-5 (ტ. ჯეკმენი-8, პარდი-4), 4:2 მოსი-9 (ჰაგმანი-13, სერიჩი-9), 5:2 ბ. მორისონი-6 (ტანგეი-23, იგინლა-24), 5:3 გროსმანი-1 (რიბეირო-34), 5:4 ჯ. ნილი-20 (ლანგენბრუნერი-11, ბ. რიჩარდსი-37), 6:4 იგინლა-20, 7:4 მოსი-10 (ო. იოკინენი-19, ჯორდანო-19).

### 22 იანვარი

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 1:3**

0:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ტალინდერი-2, 0:2 ელიაში-11 (ფეინი-2, როლსტონი-8), 1:2 ვან რიმსდიკი-12 (ჟირუ-24, მ. რიჩარდსი-28), 1:3 ელიაში-12 (როლსტონი-9, ტალინდერი-5).

**დეტროიტი-ჩიკაგო 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ემერტონი-1 (რაფალსკი-28, ჯ. ერიქსონი-10), 1:1 ბოლანდი-10 (ბროუერი-13, კეიტი-24), 1:2 კოპეცკი-9 (ბოლანდი-13, კეიტი-25), 1:3 კოპეცკი-10 (მარიან ჰოსა-16, შარპი-20), 1:4 ბროუერი-14 (ტეუვზი-21, პ. კეინი-23).

**კოლორადო-ბოსტონი 2:6**

1:2, 0:2, 1:2

**გოლები:** 1:0 პ. შჩასტნი-17 (შატენკირკი-18, კ. სტიუარტი-16), 1:1 მარჩანდი-11 (რეკი-21, პ. ბერჟერონი-22), 1:2 ლუჩიჩი-18 (კრეისი-24, რეკი-22), 1:3 რეკი-10 (მარჩანდი-11), 1:4 ლუჩიჩი-19 (კრეისი-25, პ. ბერჟერონი-23), 2:4 შატენკირკი-6 (ჰეიდუკი-26), 2:5 პ. ბერჟერონი-16 (მარჩანდი-12, ბოიჩუკი-8), 2:6 მარჩანდი-12 (გ. კემპბელი-11, ფერენსი-6).

**ატლანტა-რეინჯერსი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ანტროპოვი-8 (ენსტრიომი-33, სტეპლტონი-1), 1:1 ვოლსკი-9 (სტეპანი-16, ჟირარდი-20), 2:1 ე. სტიუარტი-12 (ლიტლი-15, ლედი-23), 2:2 ბ. ბოილი-17 (ნიუბერი-1, ზაუერი-4).
**ბულიტები გაიტანეს:** ცუკარელო (რეინჯერსი).

**მონრეალი-ანაჰაიმი 3:4 (ბ)**

0:1, 1:2, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ფაულერი-4 (ვიშნოვსკი-33, სელიანე-28), 1:1 პასიორეტი-5 (გომესი-20), 1:2 რაიანი-22 (ლუპული-8), 1:3 პერი-25 (ს. კოივუ-14, სელიანე-29), 2:3 დერჩი-8 (ი. უებერი-6, ა. კოსტიცინი-15), 3:3 პასიორეტი-6 (პლეკანეცი-23, სუბანი-14).
**ბულიტები გაიტანეს:** რაიანი (ანაჰაიმი).

**პიტსბურგი-კაროლინა 3:2**

0:0, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 ჯეფრი-2 (ორპიკი-9), 2:0 ლეტესტუ-10 (კუნიტცი-17, ლეტანგი-34), 3:0 დუპუი-10 (ჯ. სტაალი-4, მარტინი-14), 3:1 სამსონოვი-9 (ტლუსტი-2), 3:2 ე. სტაალი-23 (კორვო-17, პიტკანენი-17).

**ტორონტო-ვაშინგტონი 1:4**

0:1, 0:0, 1:3

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-17 (შულცი-6, ბექსტრიომი-33), 0:2 ოვეჩკინი-18 (მაიკ გრინი-14, ჩიმერა-10), 1:2 ბრენტი-4 (როუზშილი-1, ფანოფი-9), 1:3 ჰენდრიქსი-6, 1:4 ოვეჩკინი-19 (ბექსტრიომი-34, ჯ. კარლსონი-16).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 3:4**

1:3, 2:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯასტინ უილიამსი-18 (რ. სმიტი-13), 0:2 დაუტი-4 (კოპიტარი-32, რიჩარდსონი-5), 0:3 მარტინენი-3 (მეტ გრინი-4), 1:3 სტემპნიაკი-13 (პიატი-6, ბელანჟე-16), 2:3 ჰანჟალი-11 (იენდლი-32, რეი უიტნი-25), 3:3 სტემპნიაკი-14 (პიატი-7, იენდლი-33), 3:4 სტოლი-14 (რ. სმიტი-14, ჯ. ჯონსონი-29).

**სტ. ლუისი-კოლამბუსი 2:5**

2:1, 0:1, 0:3

**გოლები:** 1:0 ბრიუერი-7 (სტინი-20, ბოიესი-17), 2:0 ბერგლუნდი-11 (სტინი-21, პიეტრანჯელო-18), 2:1 ვერმეტი-11 (უმბერგერი-16, ჰუსელიუსი-6), 2:2 ბოლი-5 (მაკენზი-4, კალვერტი-1), 2:3 მიურეი-3 (ჰეიდა-7, პალსონი-7), 2:4 ნეში-22 (ბრასარი-20, ვორაჩეკი-21), 2:5 ტიუტინი-5 (ბრასარი-21, ვორაჩეკი-22).

**ვანკუვერი-კალგარი 3:4 (ბ)**

1:2, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ედლერი-7 (ჰ. სედინი-48, დ. სედინი-34), 1:1 ბ. მორისონი-7 (ტ. ჯეკმენი-9, იგინლა-25), 1:2 გლენკროსი-11 (სტაიანი-18), 2:2 ედლერი-8 (ბაროუზი-16, ერჰოფი-20), 2:3 ტ. ჯეკმენი-7 (პარდი-5, ბეკლუნდი-6), 3:3 კესლერი-26 (ბაროუზი-17, ლუონგო-3).
**ბულიტები გაიტანეს:** ტამბელინი (ვანკუვერი), ბურკი (კალგარი), ტანგეი (კალგარი).

**სან ხოსე-მინესოტა 4:3**

1:1, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კუტური-22 (დემერსი-14), 1:1 მ. კოივუ-13 (ბერნსი-27), 2:1 სეტოგუჩი-8 (მარლო-17, დ. ბოილი-27), 3:1 სეტოგუჩი-9 (პაველსკი-22, მარლო-18), 3:2 მ. კოივუ-14 (კულენი-20, ბერნსი-17), 4:2 ფერეირო-5 (ჯ. ტორნტონი-31, მაკგინი-5), 4:3 ბერნსი-14 (კლატერბეკი-8, ბუშარი-11).

ველოსპორტი

# დააკანონეთ დოპინგი


ფლოიდ ლენდისი

სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ველომრბოლი **ფლოიდ ლენდისი** აცხადებს, რომ მსოფლიო ველოსპორტი მხოლოდ მოგებული დარჩება, თუ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი აკრძალული პრეპარატების ლეგალიზაციას შეუწყობს ხელს.

ფლოიდ ლენდისმა, რომელსაც 2006 წელს ტურ დე ფრანსზე მოპოვებული ტიტული ჩამოართვეს, განაცხადა, რომ დოპინგთან ბრძოლა დროის ფუჭი ხარჯვაა. საქმე ისაა, რომ სპორტსმენები არაადამიანური დატვირთვების გასაძლებად ყოველთვის იყენებდნენ და გამოიყენებენ აკრძალულ პრეპარატებს.

*„დოპინგის ლეგალურად გამოცხადება უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე მასთან ბრძოლა, - განაცხადა ამერიკელმა. - გარდა ამისა, აღარ იარსებებს სპეკულაციის საშუალება. ყველამ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთი სპორტსმენი ყოველთვის იღებდა დოპინგს, მაგრამ არასოდეს დასჯილა იმის გამო, რომ კარგი კავშირები ჰქონდა ანტისადოპინგო კომიტეტთან".*

ამ სიტყვებში ლენდისი **ლენს არმსტრონგს** გულისხმობს. ცნობილია, რომ შარშან მან ლეგენდარული თანამემამულე დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა და გამოძიების ჩატარება მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ ლენდისმა გასულ კვირას გამოაცხადა დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| მარუსი-პანიონიოსი | 68:59 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 97:70 |
| **იტალია** | |
| კანტუ-ბოლონია | 83:67 |
| ბიელა-კაზერტა | 81:83 |
| სასარი-მონტეგრანარო | 80:81 |
| ბრინდიზი-რომა | 80:84 |
| მილანი-ტერამო | 87:74 |
| სკავოლინი-ვარეზე | 74:72 |
| მონტეპასკი-ვანოლი | 70:62 |
| **ესპანეთი** | |
| უნიკახა-სარაგოსა | 105:80 |
| ალიკანტე-კახა ლაბორალი | 88:68 |
| ხირონა-ფუენლაბრადა | 74:94 |
| ბილბაო-მანრესა | 74:60 |
| ხუვენტუდი-კახასოლი | 59:79 |
| გრან კანარია-ბარსელონა | 54:75 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-ბანვითი | 83:70 |
| ბეშიქთაში-ტ. ტელეკომი | 82:75 |
| ტრაბზონი-ბორნოვა | 95:83 |
| **ისრაელი** | |
| ელიცური-მაკაბი (თ-ა) | 71:85 |
| ირონი-მაკაბი (რ) | 88:89 |
| ჰაპოელი (ი)-მაკაბი (ჰ) | 95:90 |

### ხელბური

| მს. ჩემპიონატი. კაცები | |
|---|---|
| რუმინეთი-ტუნისი | 30:29 |
| ავსტრალია-ბაჰრეინი | 23:33 |
| სლოვაკეთი-ავსტრია | 39:35 |
| ბრაზილია-ჩილე | 28:18 |
| შვედეთი-ხორვატია | 29:25 |
| არგენტინა-დანია | 24:31 |
| პოლონეთი-სერბეთი | 27:26 |

### ჰოკეი

| NHL | |
|---|---|
| ჩიკაგო-ფილადელფია | 1:4 |
| ნიუ ჯერსი-ფლორიდა | 5:2 |
| აილენდერსი-ბაფალო | 3:5 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ჰვ71 | 3:2 |
| **[illegible]** | |
| ავანგარდი-ავტომობილისტი | 5:4 |
| ბარისი-აკ ბარსი | 2:3 (ბ) |
| იუგრა-ნეფტეხიმიკი | 4:2 |
| ატლანტი-მეტალურგი (ნ) | 2:1 (ბ) |
| ლოკომოტივი-სიბირი | 2:4 |
| სევერსტალი-ტრაქტორი | 3:6 |
| სკა-ს. იულაევი | 1:4 |
| სპარტაკი-მეტალურგი (მ) | 2:0 |
| ტორპედო-ამური | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-კლაგენფიურტი | 6:4 |
| ვილახი-ლინცი | 1:5 |
| ზაგრები-ვენა | 2:6 |
| გრაცი-ზალცბურგი | 6:2 |
| ოლიმპია-აკრონი | 3:4 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 4:1 |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 4:3 |
| აუგსბურგი-კრეფელდი | 2:5 |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 5:2 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 3:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-კოშიცე | 3:4 (ბ) |
| ბისტრიცა-ნიტრა | 2:0 |
| სკალიცა-ზვოლენი | 3:2 |
| ტრენჩინი-მარტინი | 4:2 |
| სლოვანი-ჟილინა | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-მანგლერუდი | 3:1 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 5:1 |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 5:3 |
| სტიორნენი-რუსენბორგი | 4:3 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ვიტკოვიცე | 4:3 |
| კარლოვი ვარი-ბრნო | 2:4 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 3:5 |
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 2:1 |
| ზლინი-ბოლესლავი | 2:1 |
| სპარტა-ტრშინეცი | 3:5 |
| ლიტვინოვი-პლზენი | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| ბილი-ფრიბურგი | 4:3 (ბ) |
| დავოსი-ციურიხი | 7:1 |

TV პროგრამა

### 24 იანვარი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

19:25 საერთაშორისო ტურნირი. პერსეპოლისი-ზენიტი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ერკულესი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:55 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. ისლანდია-ესპანეთი. შვედეთი (LIVE).
23:25 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-საფრანგეთი. შვედეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

19:25 საერთაშორისო ტურნირი. პერსეპოლისი-ზენიტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

05:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა (LIVE).

**SPORT+**

19:55 ბურთის ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი-ფინეთი. რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).
12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).

ავტოსპორტი

# შუმიმ ბავშვობა გაიხსენა


მიხაელი რბოლის დროს

**მიხაელ შუმახერის** სიყვარული კარტინგის მიმართ საყოველთაოდ არის ცნობილი. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, როგორც კი ამის შესაძლებლობა აქვს, კარტის საჭესთან დაჯდომის შანსს არ უშვებს ხელიდან, ხანდახან კი ტურნირებშიც მონაწილეობს გუნდ KSM Motorsport-ის სახელით. მიხაელი ამ საჯინიბოს თანამფლობელია. გასულ უქმეებზე 42 წლის გერმანელმა მონაწილეობა მიიღო ტრადიციულ „ზამთრის თასზე", რომელიც შუმის მშობლიურ ქალაქ კერპენში გაიმართა.

შუმახერი კარტის ახალი მოდელის - Tony EVRR-ის საჭესთან იჯდა. გერმანელმა კვალიფიკაციაში მეორე დრო აჩვენა და ამავე პოზიციაზე დაასრულა პირველი რბოლა. მეორე ცდაზე მიხაელი ერთი პირობა ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ტექნიკური პრობლემების გამო ჩამოშორდა რბოლას. მიუხედავად ამისა, ტიტულოვან მრბოლელს ხასიათი არ გაფუჭებია.

*„სამწუხაროდ, ტექნიკურმა პრობლემამ კარგი შედეგის ჩვენების საშუალება არ მოგვცა, - განაცხადა შუმახერმა. - მიუხედავად ამისა, რბოლებისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# სუპერმარათონი ფრანჩესკამ მოიგო


ანდრეა პეტკოვიჩი

გასულ უქმეებზე ავსტრალიის ღია პირველობაზე მესამე წრე დასრულდა და მერვედფინალური ეტაპი დაიწყო.

შაბათს ყველაზე დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა ჩეხმა **პეტრა კვიტოვამ**, რომელმაც ადგილობრივი გულშემატკივრები გაანბილა. მან ორ სეტში (7:6, 6:3) დაამარცხა მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი, როლან გაროსის ფინალისტი **სამანტა სტოსური**. თუმცა სამანტა ადრე არასოდეს ბრწყინავდა მელბურნში და ეს სეზონიც მაინც და მაინც წარმატებით ვერ დაიწყო, ასე რომ, ამ შედეგს სენსაციურს ვერ ვუწოდებთ. ამ დღეს კიდევ ერთი ავსტრალიელი გამოეთიშა ბრძოლას, თუმცა სტოსურისგან განსხვავებით, მისგან მოგებას არავინ ელოდა. ლაპარაკია 18 წლის **ბერნარდ ტომიჩზე**, რომელსაც მეტოქედ მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ჰყავდა. ავსტრალიური ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა მატჩის მხოლოდ ერთი მონაკვეთი წარმართა კარგად, კერძოდ, მეორე სეტში 4:0 დაწინაურდა, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და სამ სეტში წააგო.

მამაკაცთა ბადეში ასევე იოლი მოგებით დაასრულეს მესამე წრე **რობინ სიოდერლინგმა** და **ენდი მიურეიმ**, რითაც მეოთხედფინალში ერთმანეთთან შესახვედრად მორიგი ნაბიჯი გადადგეს. ამისთვის მათ მერვედფინალური ეტაპის გავლა მოუწევთ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შვედს ამ ეტაპზე მეტოქედ არა ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, არამედ უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** ერგო. მან ავსტრალიის ღიას ყოფილი ფინალისტი ხუთ სეტში დაამარცხა, ამასთან ცონგა მეოთხე და მეხუთე სეტებში თითქმის აღარ იბრძოდა. ასევე შინ გაემგზავრა ავსტრალიის ღიას კიდევ ერთი ყოფილი ფინალისტი **მარკოს ბაღდატისი**. კვიპროსელმა პირველი სეტი მოუგო **იურგენ მელცერს**, შემდეგ იოლად დათმო ორი პარტია, ორჯერ გამოიძახა ექიმი, მეოთხე სეტში კი ავსტრიელის ბრეიკის შემდეგ მარცხი აღიარა. ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** მორიგი მარათონული მატჩი გამართა, ოღონდ ამჯერად თავად გამოვიდა დამარცხებული. მისი შეხვედრა **მარინ ჩილიჩთან** ოთხსაათნახევარს გაგრძელდა და ხორვატმა გადამწყვეტ პარტიაში 9:7 გაიმარჯვა.

■ ■ ■

გუშინ ავსტრალიის ღიაზე მერვედფინალი დაიწყო. გაცილებით საინტერესო მატჩები ქალების ბადეში გაიმართა, ერთი შეხვედრა კი განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ. როლან გაროსის ჩემპიონი **ფრანჩესკა სკიავონე** მხოლოდ რეიტინგში ადგილით სჯობდა თავის მეტოქე **სვეტლანა კუზნეცოვას**, სხვა ფაქტორები რუსი ჩოგბურთელის სასარგებლოდ მეტყველებდა. სხვა თუ არაფერი, მესამე წრეში მან თვით **ჟუსტინ ანენი** გამოთიშა ბრძოლას, გარდა ამისა, ურთიერთშეხვედრებში 8:4-ს უგებდა იტალიელს.

სკიავონემ არც ისე დამაჯერებლად დაიწყო ტურნირი და პირველ ორ წრეში დიდი გაჭირვებით გაიარა **არანჩა პარასანტონხასა** და **რებეკა მარიოს** ბარიერები. მიუხედავად ამისა, ფრანჩესკა მებრძოლი ხასიათის გამო ყოველთვის უხერხული მეტოქედ მიიჩნევა, ხოლო საფრანგეთის ღია პირველობის მოგების შემდეგ საკუთარი თავის რწმენა გაუჩნდა.

პირველ სეტში იტალიელი რამდენჯერმე გავიდა წინ ბრეიკით და კუზნეცოვა მუდმივად მდევრის როლში იყო და თითქმის გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ბოლოს მესამედ წააგო საკუთარი მოწოდება, როცა სეტბოლზე უხეში შეცდომა დაუშვა.

მეორე პარტიაში რუსმა აქტიურობასა და სიზუსტეს უმატა. ყველა გეიმში ბრძოლა იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მხოლოდ კუზნეცოვას უმართლებდა და სვეტლანამ სეტი 6:1 მოიგო. ასეთი ანგარიშის მიუხედავად, ეს პარტია 53 წუთი გაგრძელდა!

უკვე ამ მომენტისთვის შეიძლებოდა იმის თქმა, რომ შეხვედრა დროში გაიწელა, მაგრამ მესამე სეტში ყველას განსაკუთრებული წარმოდგენა ელოდა. თავიდან ბრეიკით ხან ერთი ჩოგბურთელი გადიოდა წინ, ხან მეორე. 5:5-ზე გამოიკვეთა კუზნეცოვას მცირედი უპირატესობა. ამის მიზეზი სკიავონეს დაღლილობა იყო, თუმცა იტალიელს თავისი მებრძოლი ხასიათის გამო ეს ნაკლებად ეტყობოდა. უფრო მეტიც, ფრანჩესკა კონტრშეტევებზეც მიდიოდა. მაგრამ აპენინელს კრიტიკული მომენტი მაინც დაუდგა. მე-16 გეიმში კუზნეცოვამ სამმაგი მატჩბოლი მიიღო, მაგრამ რისკზე წავლა ვერ გაბედა, სკიავონემ კი უშეცდომოდ ითამაშა.

9:8-ზე რუსს მატჩბოლების მორიგი პორცია ჰქონდა - თავიდან ორმაგი, შემდეგ ერთმაგი. იტალიელი სასწაულებს ახდენდა და ყველა საფრთხეს იგერიებდა. ცოტა ხანში კი შეხვედრის გადარჩენაზე ზრუნვამ კუზნეცოვას მოუწია - მისმა მეტოქემ ბრეიკი გააკეთა და მატჩზე ჩაწოდების საშუალება მიიღო. კუზნეცოვამ მტკიცე ხასიათი გამოავლინა და 30:0-დან გადაარჩინა გეიმი. ამის შემდეგ ფრანჩესკამ კიდევ ერთი ბრეიკი აილო და... ისევ ვერ ჩააწოდა მატჩზე.

თამაში დაწყნარდა და მეტოქეებმა ზედიზედ რამდენიმე საკუთარი გეიმი აიღეს. 29-ე გეიმში სკიავონემ ისევ ბრეიკი გააკეთა და მესამედ გაემზადა მატჩზე ჩასაწოდებლად. პირველი ორი ქულა კუზნეცოვამ აილო, მაგრამ ზედიზედ სამი გათამაშება წააგო და სკიავონემ პირველი მატჩბოლი მიიღო. კუზნეცოვამ ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ მესამე მატჩბოლზე ველარ მოიგერია მეტოქის შეტევა - 6:4, 1:6, 16:14. მესამე სეტი სამი (!) საათი გაგრძელდა, მთლიანად მატჩი - 4 საათი და 44 წუთი. ეს არამარტო ავსტრალიის ღია პირველობაზე, არამედ „დიდი სლემის“ ტურნირებზე მატჩის ხანგრძლივობის აბსოლუტური რეკორდია. წინა რეკორდი შარშან დამყარდა, როცა **რეგინა კულიკოვამ** და **ბარბორა ზახვალოვამ** 4 საათი და 18 წუთი მოანდომეს ურთიერთობის გარკვევას. მაგრამ კუზნეცოვასთვის ყველაზე დასანანი ციფრი - ექვსი გამოუყენებელი მატჩბოლია.

სკიავონეს მეოთხედფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** ელის. დანიელმა გუშინ იოლად დაამარცხა ლატვიელი **ანასტასია სევასტოვა** - 6:3, 6:4. თქმა არ უნდა, რომ სკიავონესა და კუზნეცოვას მარათონი ყველაზე მეტად ვოზნიაცკის გაუხარდა, რადგან მეტოქედ გამოფიტული და დაღლილი იტალიელი მიილო.

კუზნეცოვა არ ყოფილა გუშინ რუსების ერთადერთი დანაკლისი. ბრძოლას გამოეთიშა **მარია შარაპოვა**, რომელმაც მესამე წრეში რთულად გაიარა გერმანელი **იულია გორგესის** ბარიერი, ამჯერად კი მეორე გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** არანაირი შანსი არ ჰქონია. ეს უკანასკნელი დასვენებული შეხვდა შარაპოვასთან მატჩს, რადგან წინა ეტაპზე გეიმნახევარი ითამაშა **ვენუს უილიამსის** წინააღმდეგ, რის შემდეგაც ამერიკელმა თავი დამარცხებულად გამოაცხადა.

მხოლოდ მატჩის დასაწყისში იყო თანაბარი თამაში. როგორც კი გერმანელმა შეცდომებს უკლო, შეხვედრის ბოლომდე მისი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა. მარია ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, განსაკუთრებით პირველი სეტის ბოლოსა და მეორის დასაწყისში. საკმარისია აღინიშნოს, რომ რუსს სამჯერ მეტი უნებლიე შეცდომა ჰქონდა, ვიდრე მის მეტოქეს (30 9-ის წინააღმდეგ). საბოლოოდ, 2:2-დან მოყოლებული პეტკოვიჩმა ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და პირველი სეტი 6:4 აილო, მეორეში 5:1 დაწინაურდა და მატჩბოლი ჰქონდა, როცა მარია გამოფხიზლდა და ზედიზედ ორი გეიმი მოიგო. მაგრამ ეს რუსის დროებითი გაბრძოლება იყო და აშკარად ჩანდა, რომ შარაპოვა პეტკოვიჩს ვერ შეაჩერებდა. გერმანელი პირველად ითამაშებს „დიდი სლემის“ ტურნირის მეოთხედფინალში.

მამაკაცებს შორის გუშინ მოულოდნელობები არ ყოფილა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ **როჯერ ფედერერის** ერთ წაგებულ სეტს **ტომი რობრედოსთან**. თუმცა ამ ტურნირზე შვეიცარიელმა ასეთ ჩავარდნებს მიგვაჩვია. რობრედოს გარდა კიდევ ორმა ესპანელმა წააგო - **ნიკოლას ალმაგრომ** და **ფერნანდო ვერდასკომ**. ისინი შესაბამისად **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** და **ტომაშ ბერდიხთან** დამარცხდნენ. შემდეგ წრეში ნოვაკი და ტომაში ერთმანეთში ითამაშებენ. ფედერერი მეოთხედფინალში თანამემამულე **სტანისლას ვავრინკას** შეხვდება.

### კაცები

#### III წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:2, 7:5, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)**-ჯონ ისნერი (აშშ, 20) 4:6, 6:2, 6:7(5), 7:6(2), 9:7; **მილოშ რაონიჩი (კან)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 10) 6:4, 7:5, 4:6, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-რიჩარდ ბერანკისი (ლიტ) 6:2, 6:2, 6:1; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 4)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:3, 6:1, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 13) 3:6, 6:3, 3:6, 6:1, 6:1; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 11)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 21) 6:7(5), 6:2, 6:1, 4:3 უარი; **ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ, 32) 6:1, 6:1, 6:2.

#### 1/8 ფინალი

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 9) 6:4, 6:2, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 14) 6:3, 6:4, 6:0; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-ენდი როდიკი (აშშ, 8) 6:3, 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ტომი რობრედო (ესპ) 6:3, 3:6, 6:3, 6:2.

### ქალები

#### III წრე

**შუაი პენგი (ჩინ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1, 3:6, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:1, 6:2; **ეკატერნა მაკაროვა (რუს)**-ნადია პეტროვა (რუს, 13) 6:2, 3:6, 8:6; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)**-ალიზ კორნე (საფ) 7:6(3), 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 25)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 5) 7:6(5), 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 22)**-შაარ პეერი (ისრ, 10) 3:6, 7:6(3), 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 16) 6:3, 1:6, 7:5; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 31) 6:3, 7:6(9).

#### 1/8 ფინალი

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:3, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 23) 6:4, 1:6, 16:14; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 30)**-მარია შარაპოვა (რუს, 14) 6:2, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 9)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8) 6:3, 6:3.

# ამერიკა კრიზისშია

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** გააუმჯობესა ლეგენდარული შვედი **სტეფან ედბერგის** რეკორდი - ახლა მას ყველაზე მეტი მატჩი აქვს მოგებული ავსტრალიის ღია პირველობაზე. 1/16 ფინალში როჯერმა სამ სეტში დაამარცხა ბელგიელი **ქსავიე მალისე** და „მელბრუნ-პარკზე“ კარიერაში 57-ე გამარჯვებას მიაღწია. ედბერგს ავსტრალიის ღიაზე 56 მატჩი ჰქონდა მოგებული.

მალისეს დამარცხების შემდეგ შვეიცარიელმა აღიარა, რომ მოხარულია რეკორდის დამყარებით, მაგრამ ედბერგი დღემდე მის კერპად რჩება.

29 წლის ფედერერი ავსტრალიის ღია პირველობის ოთხგზის ჩემპიონია - მელბურნში მას 2004, 2006, 2007 და 2010 წლებში გაუმარჯვია. 45 წლის ედბერგი ორჯერ - 1985 და 1987 წლებში იყო ავსტრალიის ჩემპიონი.

■ ■ ■

ამავე ეტაპზე კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა, უფრო სწორედ ანტირეკორდი. პირველად „დიდი სლემის“ ტურნირების ისტორიაში, ქალთა ერთეულთა თანრიგის მერვედფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა ვერც ერთი ამერიკელი ჩოგბურთელი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა** ტრავმის გამო ვერ დაასრულა მატჩი გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან**.

უფროსი უილიამსი ერთადერთი ამერიკელი იყო, ვინც 1/16 ფინალში თამაშობდა. პეტკოვიჩმა პირველი გეიმი აილო, მეორეს დროს კი ვენუსმა ფეხში ტკივილი იგრძნო და ბრძოლა შეწყვიტა. თამაშის შემდეგ ამერიკელმა აღიარა, რომ დიდი გაჭირვებით გადაადგილდებოდა კორტზე.

ასე რომ, ვენუს უილიამსმა ვერც ამჯერად შეძლო ავსტრალიის ღია პირველობის მოგება. მისმა უმცროსმა დამ - **სერენა უილიამსმა** კი მელბურნის კორტები ხუთჯერ დაიპყრო, თუმცა წელს სერენამ ტრავმის გამო ვერ შეძლო შარშანდელი ტიტულის დაცვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ვენუს უილიამსი